По направлению формирования информационной базы следует выделятькритериальные и экспертные методы оценки конкурентоспособности предприятия. Критериальные методы характеризуются тем, что информационная база анализа формируется на основе отчетной или плановой документации предприятия. Применение этих методов связано с большим объемом расчетов, подготовки и обработки больших объемов информации, и поэтому их использование целесообразно на предприятиях массового и крупносерийного производства или при больших масштабах производства.

Экспертные методы основаны на стохастических данных по оценке экспертов. Данная группа методов не может обеспечить высокой точности анализа, но с большой вероятностью позволит оценить состояние предприятия единичного производства или небольшого бизнеса. Эти методы широко используются для анализа возможностей конкурентов, поскольку, в отличие от анализа собственного предприятия, по многим позициям информационной базы получить нужную информацию законным путем невозможно. Недостатком данной группы методов является субъективное влияние на оценку конкурентоспособности предприятия со стороны экспертов, а также трудности, связанные с ограниченной доступностью необходимых данных о деятельности оцениваемого предприятия.

По способу отражения конечных результатов следует выделятьграфические, экономико-математические, логистические и матричные методы оценки.

Графические методы предусматривают построение многоугольника конкурентоспособности, с помощью

которого предприятия имеют возможность определить конкурентные преимущества (как собственные, так и конкурентов) на основе определенного круга показателей.

Экономико-математические методы базируются на факторных моделях оценки, которые заключаются в расчете на одного (интегрального) показателя или нескольких цифровых значений показателей, на основе которых формируется окончательная оценка. Эти методы считают точными, хотя иногда они нуждаются обременительных математических вычислений, то есть специальной подготовки работников.

Логистические методы основаны на логических посылках и выводах. Данная группа методов обеспечивает получение быстрого результата без больших затрат. Применение этих методов дают положительные результаты, когда процессы трудно поддаются моделированию, или показатели не подлежат формализации

Матричные методы базируются на формировании двумерного или многомерного пространства и являются необходимой предпосылкой и базой для осуществления дальнейших аналитических и диагностических процедур, расчетов, построения экономико-математических моделей и т.д.

По уровню охвата всех составляющих функционирования предприятия выделяемдифференциальные и комплексныеметоды.

Дифференциальные методы оценки конкурентоспособности предприятия основаны на сопоставлении единичных параметров анализируемого и аналогового предприятия. Использование дифференциальных методовпозволяет установить:достигнут ли уровень параметров исследуемого предприятия параметров базового; по каким параметрам не достигнут;какие из параметров наиболее отличаются от аналога.

Такая оценка позволяет констатировать факт конкурентоспособности анализируемого предприятия, давая только поверхностное представление о реальном положении дел, позволяющее лишь сделать выводы о преимуществах и недостатках оцениваемых предприятий по отдельным показателям. Чтобы преодолеть эти недостатки и получить информацию более глубокого содержания нужно использовать комплексный метод.

Комплексные методы оценки конкурентоспособности предприятия основаны на применении групповых, интегральных, смешанных показателей. Комплексные методы являются наиболее глубокими, ведь они ориентированы на анализе всего спектра важнейших параметров функционирования предприятия. К этой группе методов относятся метод, основанный на теории эффективной конкуренции, методы на основании концепции „национального ромба” Г. Портера,метод радара конкурентоспособности Г. Урсе и А. Ван Блокsталя.

В зависимости от субъектов оценкиследует различать методы самодиагностики и методы внешней диагностики.

Методы самодиагностики направленные на оценки конкурентоспособности предприятия и его работниками по сравнению с конкурентами, эталонным предприятием или данным за предыдущие периоды. Такие методы являются более распространенными, поскольку владение информацией о состоянии и параметрах собственной конкурентоспособности является необходимой предпосылкой для выживания на соответствующем рынке.

Методы внешней диагностики связанные с оцениванием конкурентоспособности предприятия представителями внешней среды. Прежде всего, речь идет о рейтинговых агентствах, которые составляют рейтинги конкурентоспособности стран, регионов, предприятий в целом и по отраслевому признаку. Такие методы не обязательно базируются на сравнение с эталоном, а могут предусматривать ранжирования предприятий по признаку - от лучших к худшим параметрам функционирования предприятий.

В зависимости от базы сравнения методы конкурентоспособности предприятия следует подразделять на методы сравнения с конкурентами и методы сравнения с эталоном.Первая группа методов основывается на сравнении оценочных параметров с лидером или лидерами конкретной отраслии рынка. Эталонные методы предусматривают, что сравнительный анализосуществляется с параметрами идеального эталонного предприятия.

По возможности разработки управленческих решений методы оценки конкурентоспособности следует делить на статические и стратегические.

Статические методы оценивают только фактическое положение дел, не обеспечивая возможности разработки мероприятий на перспективу.

Стратегические методы позволяют не только осуществить оценку состояния конкурентоспособности потенциала предприятия на конкретную дату, но и разработать стратегические мероприятия по его повышению.

За детализацией результатов оценки методы оценки конкурентоспособности предприятия следует делить на многокомпонентные и интегральные равнокомпонентные. Многокомпонентные методы основываются на

частичных разновекторных оценках, которые отражают разнообразные составляющие, сферы, виды деятельности, параметры функционирования предприятий.К таким методам можно отнести методы, основанные на анализе сравнительных преимуществ; матричные, таксономические методы и т.д. Использование указанных методов не позволяет получить информацию об определенном конкретном уровни конкурентоспособности, но создают возможности для определения конкурентных преимуществ и слабых мест предприятия, по сравнению с базовым объектом.

Интегральные однокомпонентные методы основаны на вычислении единого показателя (уровня, коэффициента, степени) конкурентоспособности предприятия, на основании которого можно сформировать представление об рейтинг предприятий, которые принимали участие в тестировании, или совокупную преимущество или изменения предприятия, по сравнению с базой оценки.

## Выводы

Научная новизна исследования заключается в том, что в статье предложена многокритериальная классификация существующих методов оценки конкурентоспособности предприятия. Результаты теоретического исследования свидетельствуют, о том, что существует множество методов оценки конкурентоспособности предприятия. Выполненные исследования позволяют выделить ключевые факторы, которые определяют выбор соответствующих методов оценки конкурентоспособности возможности предприятия, которые могут использоваться во время планирования этой сферы.

**Перспективы дальнейших научных разработок по данному направлению**. Вопросы оценки конкурентоспособности требуют более детального изучения, поскольку нерешенными остаются проблемы выбора универсального показателя и набора факторов конкурентоспособности предприятия, а также преодоления субъективизма при оценке.

## Список использованной литературы


1. Беленов О. Н. Конкурентные преимущества и конкурентоспособность промышленных предприятий: подходы, анализ, оценка / О. Н. Беленов, В. В. Долгих. – Воронеж : Изд-во Воронеж.гос. ун-та, 2004. – 80 с.
2. Ефименко А. Методические подходы к оценке конкурентоспособности автотранспортных услуг в АПК [Электронный ресурс] / А. Ефименко // Управление экономическими системами : электронный научный журнал. - 2009. - № 4 (20). - Режим доступа: http://uecs.mcnip.ru
3. Кухарук А. Д. Класифікація та аналізметодівоцінкиконкурентоспроможностіпромисловихпідприємств [Електронний ресурс] / А. Д. Кухарук // Режим доступу: http:// www.nbuv.gov.ua/ ejournals /PSPE /2011_1/ Kuharuk_111.htm.
4. Математичніметодиоптимізаціїконкурентоспроможностіпідприємства: автореф. дис... канд. екон. наук: 08.00.11 [Електронний ресурс] / Н.Б. Бідник; Львів. нац. ун-т ім. І.Франка. — Л., 2007. — 20 с. — укр.
5. Мошнов, В.А. Комплексная оценка конкурентоспособности предприятия [Электронный ресурс] / В.А. Мошнов. Режим доступа: http://www.cfin.ru/management/strategy/estimate_competitiveness.shtml
6. ПіддубнийІ.О.Управлінняміжнародноюконкурентоспроможністюпідприємства / О.І. Піддубний, А.І. Піддубна / заред. проф. О.І. Піддубного. – Харків : ВД «Інжек», 2004. – 264 с
7. Фатхутдинов, Р.А. Управление конкурентоспособностью организации: учеб. / Р.А. Фатхутдинов. - М.: Маркет ДС, 2008. -432 с.
8. Хорев А. И. Управление конкурентоспособностью предприятия на основе функционального подхода : монография / А. И. Хорев, Е. А. Резникова. – Воронеж : ВГТА, 2008. – 152 с.

***კახაბერ ერაძე***
საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

# დამსაქმებლის საჭიროებათა კვლევა ადამიანური რესურსის საკვანძო კომპეტენციებთან დაკავშირებით

დღეს უმუშევრობა ქვეყნის ერთ-ერთ უმიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 15% შეადგენს, თუმცა ექსპერტთა აზრით რეალურად ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია და პრობლემა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიაში უნდა ვეძებოთ, რაც სამწუხაროდ, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნის სურათის შექმნის საქმეს ემსახურება.

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა ეხება უმუშევრობის გამომწვევ მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას. მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით საქართველო შედის ქვეყნების ჯგუფში, სადაც ბიზნესის 20-30% თვლის, რომ კადრების არასათანადო კვალიფიკაცია ბიზნესის განვითარების გზაზე მთავარ ან სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს. (წყარო: მურატი და სოდერგრადი, 2010).

კვლევის განხორციელების მიზნით კითხვარების მომზადებისას კონსულტაციები გავიარეთ ადამიანური რესურსების პროფესიონალთა გილდიასთან, ბიზნესის წარმოადგენლებთან კომუნიკაციაში ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებში ჩაერთო თი-ბი-სი ბანკი.

როგორც ცნობილია, პირის კვალიფიკაცია დარგობრივი და საკვანძო კომპეტენციების ერთობლიობას წარმოადგენს. დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი მნიშვნელოვანია, თუმცა აქ გადამწყვეტ როლს მაინც სამუშაო გარემოში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ასრულებს. რაც შეეხება ზოგად კომპეტენციებს, ის მნიშვნელოვანწილად სწორედ აკადემიურ სივრცეში ყალიბდება.

საკვანძო კომპეტენციები აერთიანებს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ინდივიდს სჭირდება პიროვნული სრულყოფისა და განვითარებისათვის, იმისთვის, რომ იყოს აქტიური მოქალაქე, იყოს სოციალურად ჩართული და **ჰქონდეს დასაქმების უნარი.** ეს უნარები ერთნაირია ყველა პროფესიისათვის, ამიტომაც მათ **ტრანსფერული** უნარები ეწოდებათ.

წინასწარი გამოკითხვებით ბიზნესის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა (72%) თვლის, რომ ადამიანური რესურსის დაბალი კვალიფიკაციის მთავარი მიზეზი განათლების სისტემაში არსებული პრობლემებია. ისინი მზად არიან დასაქმების დროს უპირატესობა მიანიჭონ პირებს, რომლებსაც მეტად აქვს განვითარებული საკვანძო კომპეტენციები, ვიდრე დარგობრივი უნარები. მეტიც, საქართველოს განათლების სისტემამ დააგვიანა რა რეაგირება ბიზნესის მზარდ მოთხოვნებზე ადამიანური რესურსების კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, მსხვილმა ბიზნესმა ან მათმა გაერთიანებებმა უკვე შექმნეს საკუთარი სასწავლო ცენტრები, სადაც წარმატებით ახორციელებენ სამუშაო ძალის გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას დარგობრივი კომპეტენციების ნაწილში, თუმცა არ ჰყოფნით სიმძლავრეები საკვანძო კომპეტენციების განსავითარებლად. ამიტომაც ქვეყნის სკოლის შემდგომი განათლების სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტად ისინი პირებისათვის სწორედ საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე აქცენტების გაძლიერებას მიიჩნევენ.

თუკი განათლების სისტემის მთავარი დანიშნულებაა პირის მომზადება დასაქმებისათვის, დამკვეთი სწორედ ბიზნესია. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრა სწორედ ბიზნესთან მჭიდრო კოორდინაციაში უნდა განხორციელდეს.

ამ მიზეზთა გამო კვლევის განხორციელების საწყის ეტაპზე სწორედ საკვანძო კომპეტენციებზე შეჩერდა ჩვენი არჩევანი. ჩვენ ვგეგმავთ კვლევების გაგრძელებას დარგობრივი კომპეტენციების ნაწილშიც, თუმცა წინამდებარე შედეგები ძალაში დარჩება ნებისმიერი დარგისაათვის.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა კითხვარი, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: ზოგადი ინფორმაცია კომპანიის/ბისნესის შესახებ, დარგი, საქმიანობის სფერო და მისი ზომა (მიკრო და მცირე, საშუალო, მსხვილი). 20 საკვანძო კომპეტენცია განმარტებებით. გამოკითხულ კომპანიებს საშუალება ჰქონდათ თვითონვე დაემატებინათ ის კომპეტენციები, რასაც კითხვარი არ მოიცავდა, ასევე საშუალება ჰქონდათ მიეღოთ კონსულტაციები და განმარტებები, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ.

გამოკითხულებს თითოეული კომპეტენციისათვის უნდა მიენიჭებინათ პრიორიტეტი, ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ ერთნაირი პრიორიტეტი მიენიჭებინათ ერთდროულად რამდენიმე კომპეტენციისათვის ან, თუკი ამ კომპეტენციას მათი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდნენ, საერთოდ არ მიენიჭებინათ მათთვის არანაირი პრიორიტეტი. გამოკითხულთა მიერ განსაზღვრულ თითოეულ პრიორიტეტს მიენიჭა შესაბამისი კოეფიციენტი, რათა თითოეული კომპეტენცია მათი პრიორიტეტულობის მიხედვით ასახულიყო საბოლოო მაჩვენებლებში.

გამოსაკითხი მიზნობრივი ჯგუფების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა მათი თანაფარდობა დასაქმებაში ხვედრითი წილის, ასევე სექტორების მიხედვით. საქართველოში დასაქმებულთა 17,4% მიკრო და მცირე ბიზნესზე, 23,8% საშუალო, ხოლო 58,8% მსხვილ ბიზნესზე მოდის (ტაურელი, ლემპინიენი, გალვინ არიბასი, 2013). შერჩეული იქნა ბიზნესი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მომსახურეობის სფეროდან, მათ შორის ენერგოგენერაცია და დისტრიბუცია, ფინანსური მომსახურეობა, ტურიზმი, ტელეკომუნიკაციები, ჯანდაცვა, ფარმაცევტული წარმოება,

კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, სამთო მომპოვებლობითი ინდუსტრია, გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა.

გამოკითხვების ანალიზის შედეგად საკვანძო კომპეტენციების პირველი ათეული შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:




როგორც კვლევამ აჩვენა, პირველ ათეულში ვერ მოხვდა ისეთი კომპეტენციები, რომლებზეც განსაკუთრებული აქცენტები კეთდება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებში და რომლებსაც ხშირად აუცილებელ კომპეტენციად განსაზღვრავენ დამსაქმებლები ვაკანსიების გამოცხადებისას როგორცაა სიტყვიერი კომუნიკაცია უცხო ენაზე (მე-14 პრიორიტეტი, 1,51 კ), წერითი კომუნიკაცია უცხო ენაზე (მე-17 პრიორიტეტი, 1,32 კ), უცხო ენაზე სიტყვიერ კომუნიკაციას წინ უსწრებენ რამდენიმე დავალების ერთდროულად თავის გართმევის უნარი, მათემატიკური კომპეტენცია და ანალიტიკური უნარი (შესაბამისად, მე-11, მე-12 და მე-13 პრიორიტეტები).

შედარების მიზნით დავინტერესდით ევროპაში განხორციელებული ანალოგიური კვლევებით, რომლებიც მსგავსი მეთოდოლოგიით განხორციელდა. კვლევის შედეგები ცალკეულ შემთხვევებში ჩვენი კვლევის შედეგების ანალოგიურია. ევროპული ერთ-ერთი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: სიტყვიერი კომუნიკაცია (ევროპული პრიორიტეტი 1/ქართული პრიორიტეტი 1), დროის მენეჯმენტი (2/2), ჯგუფში მუშაობის უნარი (3/8), პრეზენტაციის უნარი (4/18), რამოდენიმე დავალების ერთდროულად თავის გართმევა (5/11), დამოუკიდებლად სწავლის უნარი (6/6), წერითი კომუნიკაცია (7/5), დაგეგმვის უნარი (8/16), ციფრული კომპეტენცია (9/7) და გადაწყვეტილების მიღების უნარი (10/10). (წყარო: http://www.cityu.edu.uk/edge/workshop/step0809).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამუშაო ძალის კომპეტენციების კუთხით ბიზნესის საჭიროებათა სრულყოფილი ანალიზისათვის კვლევები უკვე ცალკეული დარგების მიხედვით, დარგობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით უნდა გაგრძელდეს, რაც შესაბამისი სექტორული კომიტეტების ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს.

**გამოყენებული წყაროები:**

1. სირია ტაურელი, პეტრი ლემპინიენი, ხოზე მანუელ გალვან არიბასი, უწყვეტი განათლება, ანალიტიკური ანგარიში აღმოსავლეთ ევროპისათვის, ევროპის განათლების ფონდი, მაისი, 2013;

2. მ. მურტი, ლ. სონდერგრადი, მთავარია არა დიპლომი, არამედ ცოდნა და უნარები: განათლების სისტემის რეფორმირების გზა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, საინფორმაციო მიმოხილვა, ტომი 20, მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 2010.

http://www.cityu.edu.uk/edge/workshop/step0809

***Kakhaber Eradze***
Business Academy of Georgia-SBA
Doctor of Economics, Professor

## SURVEY OF NEED OF EMPLOYERS REGARDING KEY COMPETENCIES OF HUMAN RESOURCES

Problem of unemployment is one of the key problems of Georgia. According to official statistics, approximate unemployment rate is 15%, but experts consider, that this rate in fact is much higher. Problem is in the methodology used by national statistics service, which due to some political considerations, aims to draw a picture of sustainable growing economy.

Our survey concerns one among several reasons of unemployment- qualification of the workforce. According to a research done by the World Bank, Georgia falls into te group of countries where 2- to 30% of business owners consider inadequate qualification of the workforce as a major of serious obstacle on the way of business development (source: Muratti, Sodergrad, 2010).

In the process of elaboration of questionnaires we had consultations with the Guild of the Human Resources, Georgian Employer's Association supported to communicate with businesses and TBC bank assisted in organizational matters.

It is known, that qualification consists of key and sectorial competencies. Role of educational institutions is very important in the development of sectorial competencies, but knowledge and skills gathered in the real working environment plays decisive role. Regarding key competencies, they are developed in academic ambiance.

The **Key Competencies** are a set of several generic competencies that people need to participate effectively in the workforce, to be able to develop personally and professionally. These competencies cover general skills that apply to most jobs therefore sometimes they are referred as transferable skills.

According to primary surveys, majority (72%) of businesses think, that main reason of existence of problem of low qualification of workforce is the system of education. They prefer to employ people with better developed key competencies than specific skills for sector. Since Georgian system of education does not adequately react on changing needs of businesses and for this reason majority of large businesses or their associations established own training centres, where they successfully conduct trainings and re-trainings for their staff in specific skills, but they have no capacities to develop key competencies. Therefore they consider that educational institutions should pay more attention on development key competencies of students.

If the main goal of educational system is preparation of persons for successful employment, business is the consumer. Therefore it is essential that learning outcomes of educational programs should be elaborated with close co-operation with and participation of representatives of businesses.

For above stated reasons we decided to do our survey on key competencies at the first stage. We plan to continue our research in the specific sectorial areas, but results of this survey will remain the same for any business areas.

The instrument used for this survey was the questionnaire which consists of following parts: general information about a company, sector, areas of activities and size (micro/small, medium, large); list of 20 key competencies with explanatory notes for proper interpretation. Companies were able to add relevant competencies, if the questionnaire did not list them. Trained team was available for additional consultations and explanations if respondents considered it is needed.

Respondents were asked to prioritize each competence. They could give the same priority to several competencies at the same time or not to give a priority at all if they did not consider a competence have importance for their company. Each priority, defined by a respondent was given a coefficient that enabled us to transfer each priority into the final results.

In the process of selection of target group, their rate in employment and sectors were taken into consideration. 17.4% of workforce are employed by small/micro business, 23.8%- by medium and 58.8% by large companies (Taurelli, Lempignen, Galvan Arribas, 2013). Businesses were selected from the sectors of agriculture, production and services, that included power generation and distribution, financial services, tourism, telecommunications, health services and pharmaceutical production, light and heavy industry, wholesale and retail services, mining, distribution and logistics etc.

According to the survey, 10 most demanded competencies are:




Some competences that are especially demanded when job vacancies are announced and special efforts are given in curriculums, such as oral communication in foreign language (mainly English) could not take place in the list, actually it is 14-th priority (1.51 points), and written communication in foreign language has 17-th priority (1,32 points). They are proceeded by coping with multiple tasks, numeracy and analytical competencies (11-th, 12-th and 13-th priorities accordingly);

For comparison we found similar research done abroad with almost the similar methodology and found some

similarities in competence needs. 10 most demanded competences by the research done (source: http://www.cityu.edu.hk/edge/workshop/step0809) are: oral communication (foreign priority 1/Georgian priority 1), time management (2/2), team working (3/8), presentation skills (4/18), coping with several tasks at the same time (5/11), independent learning (6/6), written communication (7/5), planning (8/16), digital competence (9/7), decision making (10/10).

Surveys of sectorial skills should be done to have clear picture of business needs and should be the function of sectorial councils.

**Sources:**

Taurelli, Lempignen, Galvan Arribas, Continuous Education, Analytical paper for eastern Europe, ETF, Torino, 2013

Muratti, Sondergrad, Main thing is not the diploma, but skills and knowledge, way of reforming system of education in Europe and Central Asia, Informational Survey, vol.20, World Bank, Washington DC, 2010

http://www.cityu.edu.hk/edge/workshop/step0809

***თეა ვალიშვილი***
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

## მარკეტინგის როლი უმაღლესი სასწავლებლის საქიანობაში

საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმამ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობამ და საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებამ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დააყენა უამრავი თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლებიც მკაცრ კონკურენციულ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.

საგანმანათლებლო საქმიანობის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მომხმარებლის (სტუდენტების, მსმენელების, მომავალი დამსაქმებლების, რეკრუტინგული სააგენტოების, აბიტურიენტების, მთლიანად საზოგადოების) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა დროულად და სწორად ვერ აფასებს თანამედროვე გამოწვევებს. ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ვერ ამჩნევს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს და გათვლებს ისევ განათლების ტრადიციულ მოდელზე აკეთებს. უმაღლესი სასწავლებლების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად მათ მოუწევთ სერიოზული ცვლილებების გატარება.

აღნიშნული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს უმაღლესი სასწავლებლის მიერ საკუთარი მდგომარეობის გაანალიზებასა და კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას განათლების ბაზარზე. აგრეთვე სწავლების პროცესისადმი დამოკიდებულების შეცვლას როგორც სტუდენტების, ისე პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან. უმაღლესი სასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო ბაზარზე წამყვანი მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება კურსდამთავრებულებსა და გარე ორგანიზაციებთან მყარი და გრძელვადიანი ურთიერთობების გარეშე, რაც შრომის ბაზარზე ცვლილებების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. სასწავლო დისციპლინების შინაარსში ცვლილებების შეტანა უმაღლესი სასწავლებლის მიერ უნდა განხორციელდეს მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნილებების კვლევის საფუძველზე და მას თან უნდა ახლდეს ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების დაუფლება. აქცენტის გადატანა სააუდიტორიო დატვირთვიდან დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურ ორგანიზებაზე მოითხოვს დამოუკიდებელი მუშაობის სასწავლო-მეთოდურ უზრუნველყოფას, ცოდნის შეფასებისა და პედაგოგთა შემადგენლობის სპეციალური მომზადებისა და სერთიფიცირების შეცვლას. პედაგოგის თანდასწრებით, მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარე სწავლებიდან უმაღლესი სასწავლებლები უნდა გადავიდნენ სასწავლო პროცესის ისეთ ორგანიზებაზე, რომელიც ითვალისწინებს თავად სტუდენტის პასუხისმგებლობას სწავლის ხარისხსა და შედეგებზე. ეს კი მოითხოვს მოტივაციისა და ცვლილებების მართვის ახალი სისტემის შექმნას.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს შრომის ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს საზოგადოებრივი მოხმარების საქონელი და მომსახურება, რომელთა წარმოება ხდება მოსახლეობის ერთი ნაწილის (გადასახადის გადამხდელების) ხარჯზე, ხოლო მათ მოიხმარს სხვა (მაგალითად, საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები). აწარმოებს რა საზოგადოებრივი მოხმარების პროდუქტს, საგანმანათლებლო დაწესებულება მუშაობს ერთდროულად ორ ბაზარზე: უმაღლესი სასწავლებელი სთავაზობს საზოგადოებას გარკვეული სახის მომსახურებას, რომლის მომხმარებლები არიან მოსწავლეები და სტუდენტები, და, ამავდროულად, თავისი მოღვაწეობის შედეგებს წარმოადგენს შრომის ბაზარზე, რომლის მომხმარებლებიც არიან ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები. ორმაგი ბუნება ქმნის გარკვეულ გაუგებრობას საქონლის, გასაღების მიზნობრივი ბაზრისა და და

მომხმარებელთა ჯგუფის განსაზღვრისას. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობს ორ ურთიერთდამოკიდებულ ბაზარზე (საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი და შრომის ბაზარი), უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია მხოლოდ ერთი პროდუქტი ორივე ბაზრისათვის. ყველა მკვლევარი ეთანხმება აზრს, რომ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებაა.

გლობალიზაციის კვალდაკვალ საგანმანათლებლო მომსახურებამ გადააბიჯა ნაციონალურ საზღვრებს, იცვლება განათლების როლიც თანამედროვე მსოფლიოში – ის ხდება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესი, ვინაიდან მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი აწყდება ცოდნის მოძველების, მისი განახლებისა და შევსების, ახალი პროფესიული დარგების დაუფლების აუცილებლობას. ბაზარზე სიტუაციის შეცვლამ გამოიწვია ინიციატივისა და ძალაუფლების გადასვლა მომხმარებლის ხელში – თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები აღარ წარმოადგენენ „ერთგვაროვან მასას“, არამედ მრავალრიცხოვანი ჯგუფებია, თავისი სპეციფიკური მოთხოვნებით. იზრდება მომხმარებლებთა ე.წ. არატრადიციული ჯგუფების წილი, რომელთა დემოგრაფიული მახასიათებლები, მოთხოვნები და მოხმარების პირობები განსხვავდება ტრადიციული სტუდენტებისაგან.

უმაღლესი სასწავლებლის მიერ საკუთარი თავის, როგორც მოთამაშის შეგრძნება საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე მოითხოვს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემოღებასა და მკაცრ დაცვას. ასეთი სტანდარტების სისტემის შერჩევა უნდა ხდებოდეს უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე. უმაღლეს სასწავლებელს ესაჭიროება სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს განვითარების ყველა მიმართულებას და პოზიციებს ბაზარზე, აგრეთვე ყოველი მიმართულების კონკრეტული ბიზნეს-მოდელების შემუშავებას და მათი მართვის პროცესებს. უმაღლეს სასწავლებელში ცვლილებების მართვის სისტემის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა საქმიანობის არსებული და ახალი მიმართულებების ანალიზისადმი სტრატეგიული მიდგომა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარი ინტენსიურად ვითარდება. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები თავის პროდუქტსა და მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს ეროვნული საზღვრებით შეზღუდვის გარეშე. რაც ნიშნავს, რომ სურთ თუ არა ეს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, მზად არიან თუ არა ისინი ამისათვის, აცნობიერებენ თუ არა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს, ისინი მუშაობენ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. მათ უნდა იბრძოლონ აბიტურიენტებისათვის არა მარტო ქართულ უმაღლეს სასწავლებლებთან, არამედ საზღვარგარეთულ უმაღლეს სასწავლებლებთანაც და მათ შუამავლებთან, რომლებით ქართულ ბაზარს სთავაზობენ თავიანთ მომსახურებას. უცხოური ინვესტორების თვალში რაც უფრო სტაბილური იქნება სიტუაცია საქართველოში, მით უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება ქართული საგანმანათლებლო ბაზარი უცხოური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ჩვენ კი ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ, რომ ღირსეულად ჩავებათ ამ კონკურენტულ ბრძოლაში.

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარებამ საქართველოში განსაზღვრა უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემაში სტრატეგიული მიდგომის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, სასწავლებლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და გატარება ძალზე აქტუალურია.

უმაღლესი სასწავლებლის პოზიციონირების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა შესაბამისი სეგმენტისათვის ჩატარებული სიტუაციური ანალიზის საფუძველზე სინთეზის შედეგს. ამასთან, სიტუაციური ანალიზის ფორმები შესაძლებელია იყოს სხვადასხვა (პორტფელური, ასორტიმენტული, კონკურენტული, საქონლის სრულყოფის მიმართელებების ანალიზი და ა.შ.) სტრატეგის შემდგომი დეტალიზაცია გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების ეფექტური პოზიციონირებისათვის მარკეტინგის კომპლექსის ყველა ელემენტის შემუშავებას. საგანმანათლებლო მომსახურების პოზიციონირება მდგომარეობს საგანმანათლებლო პროდუქტის და მარკეტინგის კომპლექსის ისეთი პარამეტრების შერჩევას, რომლებიც მიზნობრივი მომხმარებლების თვალთახედვით უზრუნველყოფენ აღნიშნული მომსახურების კონკურენტულ უპირატესობას. ეფექტური პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანია მარკეტინგ-მიქსი მთლიანად. საგანმანათლებლო მომსახურების მახასიათებლებს, ფასს და გასაღების არხებს საკუთარი როლი აკისრია, მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტია ბაზარზე წინწაწევის ღონისძიებები, ვინაიდან ისინი წარმოქმნიან მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც პოზიციონირება ზემოქმედებს მიზნობრივ აუდიტორიაზე. საგანმანათლებლო მომსახურების პოზიციების გასამყარებლად შესაძლებელია რეკლამის გააქტიურება, ფასების შემცირება, განაწილების გაფართოება და მომსახურების მოდიფიცირება. აქცენტების გადანაწილება დამოკიდებულია უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიულ მიზნებზე.

საგანმანათლებლო მომსახურების პოზიციონირების ერთერთი უმთავრესი ამოცანაა სასწავლებლის იდენტიფიცირება, როგორც უმაღლესი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების მწარმოებლის. წინწაწევის სტრატეგიის ფარგლებში ძირითადი მიზანია ახალი მომხმარებლების მოზიდვა და პოზიტიური იმიჯის შექმნა. ამგვარად, პოზიციონირების სტრატეგიის ამოსავალი ელემენტი უნდა გახდეს იმიჯის შექმნა, ანუ უმაღლესი სასწავლებლის, როგორც რიგ სპიალობებში უმაღლესი ხარისხის, უნიკალური საგანმანათლებლო მომსახურების მწარმოებელი ბრენდის ფორმირება და გამტკიცება. მომხმარებლის მიერ სასწავლებლის შესახებ ინფორმაციის

აღქმის ზუსტი განსაზღვრისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სპეციალური ინსტრუმენტი – "ბრენდის ბორბალი", რომელიც მომხმარებლის ბრენდთან დაკავშირებული შეგრძნებების წარმოდგენის ხერხს წაროადგენს. მისი მეშვეობით შესაძლებელია ავღწეროთ ეს შეგრძნებები, გავარკვიოთ, რაზე არიან ისინი დაფუძნებული, და გამოვიყენოთ ბრენდის შემდგომი განვითარების მიზნით. "ბორბალში" გამოიყენება ხუთი დონე: ატრიბუტები, სარგებელი, ფასეულობები, პიროვნება და ბრენდის არსი.

უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროდუქტის სრულყოფაზე და მისი უპირატესობების პოზიციონირებაზე საასორტიმენტო, საფასო, გასაღებითი და საკომუნიკაციო პოლიტიკის სრულყოფის მეშვეობით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Arimoto, Akira, «Cross-National Comparative Study on the Post Massification Stage of Higher Education», Research in Higher Education, No.25, pp. 1-22

2. Ansoff, I.H.: Implanting Strategic Management, Prentice-Hall, NewJersey, 1984, pp. 80-167.

3. Голубков Е.П. Сегментация и позиционирование // Маркетинг в России за рубежом. 2001. №4. С.124 – 139.

4. Dill, D. D. and Sporn, B. (eds.) Emerging Social Demands andUniversity Reform: Through a Glass Darkly. Oxford: Pergamon Press, 1995; pp. 61-102.

5. Peterson & Associates (Eds.), Improving academic management (pp. 113-163). San Francisco: Jossey- Bass, 1989, pp.34-37.

6. Азарьева В.В. Разработка брэнда высшего учебного заведения как элемент построения системы менеджмента качества. // Университетское управление: практика и анализ. 2004. №2. С.111.



***Tea Valishvili***

Doctor of Economics, Associate Professor at Kutaisi University
and Akaki Tsereteli State University


## THE ROLE OF MARKETING IN THE UNIVERSITY ACTIVITIES

The current fundamental reforms of the educational system in Georgia, the attempts to approach European standards and the formation of the market for educational services have caused several theoretical and methodological-organizational problems for the university, which is connected to the necessity of adaptation to tough competitive conditions.

The starting point of the educational activities should be the satisfaction of customers (users) (students, listeners, future employers, recruitive agencies, entrants and the whole society). Unfortunately, the majority of the universities of our country do not estimate modern challanges timely and properly. Many universities do not notice the current changes in the world and they focus on the traditional model of education. In order to solve the important tasks facing universities they will have to make serious changes.

The mentioned changes, first of all, should contain the analysis of the condition of universities and the determination of competitive advantages on the educational market. Also, the change of the attitude of the students and professors towards the educational process. The maintenance of the leading position on the educational market will be impossible without the strong and long-term communication with alumni and organizations, which will make it possible to observe changes on the educational market. The universities should change the content of academic disciplines on the basis of the market requirements and it should be accompanied by the acquiring of technology and teaching methods. Changing focus from academic workload to the effective organizing of individual work requires learning-methodological assurance of the individual work, change of the evaluation of knowledge and special training and certification of teachers. In the presence of a teacher, under a strict control universities should move from the current teaching to such a teaching process which will take into consideration the responsibility of students toward the quality of education and its results. And it requires the creation of a new system of management and motivation.

At the same time we should not forget the requirements of the labor market. There exists a product of public consumption and a service which is based on the expense of one part of population (taxpayers), on the other hand, they are used by another part of population (for example, the users of educational services). While producing a product of public usage, an educational facility works simultaneously on two markets: University offers the society a certain type of service, users of which are pupils and students. At the same time, university presents the results of its work on the labor market, users of which are representatives of factories and organizations of different economical fields. Dual nature creates a certain misunderstanding while determining products, targets of market and a group of users. Despite the fact that university works on two Interdependent markets (on the market for educational services and the labor market), it has

only one product for each market. All researchers agree with the idea that the principal direction of the work of university is to deliver educational service.

Alongside globalization educational service has crossed the national boundaries, the role of education is changing in modern world – it is becoming a long and continuous process. It's because during life a human faces the necessity of renewing and filling old knowledge and the necessity of mastering in new professional fields. The change on the market has caused the switch of power and initiation to the hands of users -modern informative technologies have significantly expanded the possibility of the selection of educational programs. It's important that the users of the educational service do not represent homogeneous mass", they are numerous groups with their specific requirements. The share of so called non-traditional groups is increasing whose demographic features, requirements and conditions of consumption is different from traditional students.

If an institution of higher education wants to feel itself as a player on the international educational market it requires to meet the quality of international standards and to protect these standards. The selection of such standards should be based on the strategic tasks of institutions. An institution of higher education needs a strategy, which takes into consideration all the directions of development and positions on the market, also, development of all concrete business-models and processes of their management. In an institution of higher education the most important condition for the efficiency in the management of changes is a strategic approach to current and new analysis of directions.

It's a well known fact that nowadays the world educational market is developing intensely. Institutions of higher education of different countries offer their product and service to users without the limitation of national boundaries. That means that Georgian universities without their will, whether they are ready or not, whether they realize the current changes in the world or not, work in the international competitive conditions. They should fight for the entrants not only with Georgian institutions, but also with the universities abroad and their partners offering new services to the Georgian market. If the situation is stable in Georgia the Georgian educational market will be more interesting for foreigner investors and institutions of higher education. We should use every possible way to be successfully involved in this competition.

In Georgia the development of the market for educational services determined the necessity of the strategic approach in the management system of the universities. Thus, it's very actual to develop and implement the educational strategy of the institutions.

Development of marketing strategy represents the result of the synthesis of situational analysis conducted for the users of educational service. In addition, the forms of situational analysis can be different (portfolio, assorted, competitive, the analysis of perfection of directions and etc).Further details of the strategy contains the development of all the elements of marketing complex useful for the effective positioning.

Positioning of educational services selects the options of educational product and marketing complex, which provide the advantage of the service for the users. Marketing-mix is important for the effective positioning. Educational Service features, such as price and selling have their roles but, in our opinion, the activities which focus on making success on the market is extremely important as they create a mechanism which influences the target audience. In order to strengthen the position of the educational service one may use advertisements, reduction of prices, extension of distribution and modification of services. The distribution of accents depends on the strategic purposes of universities.

One of the main tasks of the educational service positioning is the identification of an institution as a provider of educational service of high quality. The aim of the strategic advancing is to attract new users and to create a positive image. In other words, the starting point of the positioning strategy should become a creation of image; formation and strengthening of the image of university as a provider of education of high –quality. In order to get the exact information about the university we can use a special term "Brand wheel", which is a method of the brand and causes some senses in the user. With a help of it we can describe the senses and find out what it is based on and use it for the future development of the brand. Five levels are used in a wheel : attributes, benefits, values, individuality and the essence of brand.

The strategy of an institution of higher education should be oriented on the perfection of the educational product and on the positioning its advantages by the use of selective, selling, pricing and communicative politics.

*ნათელა ვაშაკიძე*
ეკონომიკის დოქტორი, აკ.წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

# შიდა აუდიტი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის მართვის ეფექტური მექანიზმი

სამეურნეო სუბიექტები ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური მართვისა და კანონმდებლობის დაცვისათვის აწარმოებენ ბუღალტრული აღრიცხვას, რათა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია, როგორც საგადასახადო ორგანოებს, ასევე მიმწოდებლებს, მყიდველებს და პარტნიორებს. ამ ინფორმაციის უტყუარობასა და საიმედობაზე ბევრად არის დამოკიდებული ფინანსური გადაწყვეტილებების მართებულობა და ამ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის მომავალი. ამიტომ, საჭიროა პერიოდულად ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შემოწმება რათა არ დაფიქსირდეს უზუსტობები, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს არასასურველი პირგასამტეხლოები, ჯარიმებისა და საურავების გადახდები. ეს მოითხოვს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი კონტროლის ფორმის აუდიტის გამოყენებას.

აუდიტს საკმაო ხნის ისტორია აქვს. პირველი დამოუკიდებელი აუდიტორები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაჩნდნენ ევროპის სააქციო კომპანიებში. აუდიტის წარმოქმნა განაპირობა სამეურნეო სუბიექტის უშუალო ხელმძღვანელთა და თანხების დამბანდებელი ინვესტორების ინტერესების გამოყოფამ. ინვესტორებს არ სურდათ დაყრდნობოდნენ მხოლოდ იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომელთაც მათ აწვიდნენ ხელმძღვანელები და ბუღალტრები. მათ წარმოეშვათ ამ ინფორმაციაზე დამატებითი საიმედობის მოთხოვნა, რისთვისაც ისინი იწვევენ ადამიანებს, რომლებიც პრფესიონალები აუდიტორები არიან და რომელთა ნდობა შეიძლება.

აუდიტის მიზანია დაადგინოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამისობა ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან.

აუდიტი და აღრიცხვა არის სამეურნეო სუბიექტის ადმინისტრირების განუყოფელი ნაწილი. მმართველებმა, მენეჯერებმა უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება და ეფექტურად წარმართონ კომპანიის საქმიანობა. ამისათვის მათ სამეურნეო და ფინანსური ჩანაწერების საფუძველზე უნდა მოახდინოს ინფორმაციის ზუსტი დახარისხება და ანალიზი. ეს ხელს შეუწყობს როგორც მმართველობითი საკითხების დარეგულირებას, ასევე ეხმარება მათ სამეურნეო სუბიექტის წინაშე მდგომი ფინანსური საკითხების ეფექტურ გადაჭრაში.

შეიძლება ჩატარდეს როგორც გარე ისე შიდა აუდიტი. გარე აუდიტისაგან განსხვავებით შიდა აუდიტორული საქმიანობა შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოსათვის. ამიტომ ეს პროფესია მუდმივად იცვლება და იხვეწება. შიდა აუდიტი აღიარებულია, როგორც თვითრეგულირებადი პროფესია. შიდა აუდიტის საქმიანობა სულ უფრო მაღალი სტატუსსა და მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორში.

შიდა აუდიტორი სამეურნეო სუბიექტის მნიშვნელოვანი წევრია. იგი ახორციელებს არსებული პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზსა და პრობლემის გამოვლენას, მხარს უჭერს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და კატალიზატორის როლს ასრულებს მდგომარების გასაუმჯობესებლად. ამდენად შიდა აუდიტორი სამეურნეო სუბექტს ეხმარება სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. შიდა აუდიტორი ღრმად ჩახედული უნდა იყოს სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიულ მიზნებში, რათა მისთვის ნათლად გასაგები იყოს სამეურნეო სუბიექტის ამა თუ იმ ნაწილის ოპერაციების შესაბამისობა საერთო სურათთან.

სამეურნეო სუბიექტის უმეტესობა ხშირად დგას რისკების წინაშე, როგორიცაა საბაზრო რისკი, საინფორმაციო ტექნოლოგიის რისკი, ფინანსური რისკი, რეპუტაციის რისკი და სხვა შიდა აუდიტის ფუნქციაა მენეჯმენტისათვის რწმუნების მიცემა ყველა რისკის ეფექტურად მართვის შესახებ. შიდა აუდიტი არის ხელმძღვანელობის მიერ დაფუძნებული დამოუკიდებული საქმიანობა, რომლის მიზანია სამეურნეო სუბიექტის რისკის მართვის პროცესისა და კონტროლის სისტემის შემოწმება, შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მათი მიზნების მისაღწევად.

**შიდა აუდიტის მიზნებია:**

- ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაციების მიწოდება იმის შესახებ, სამეურნეო სუბიექტს, თუ რამდენად ჯანსაღი შიდა კონტროლის სისტემა გააჩნია;
- კონსულტაციების გაწევა და რეკომენდაციების მომზადება შიდა კონტროლისა და მართვის საკითხებზე.

ამჟამად, შიდა აუდიტზე არ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნა. ჩვენი აზრით, მისი არსებობა აუცილებელია, რაც განპირობებულია ანგარიშვალდებულების პრინციპის განხორციელების მოთხოვნებიდან. ანგარიშვალდებულება შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც დაბალი რგოლები მმართველები ვალდებული არიან ზედა რგოლის ხელმძღვანელების, მესაკუთრეების ან სხვათა მიმართ. ასეთი ანგარიშვალდებულების პირობებში შიდა აუდიტი გამოდის კონტროლის მექანიზმის სახით და ამით ხელს უწყობს ანგარიშვალდებულობის რეალიზაციას.

შიდა აუდიტი მოიცავს სამეურნეო სუბიექტის ყველა სფეროს - როგორც საოპერაციო, ისე საფინანსოს.

როდესაც სამეურნეო სუბიექტსი არსებობს შიდა აუდიტი, მათ ყოველწლიურად უნდა მოისმინონ ინფორმაცია:

- შიდა აუდიტის ფუნქციის სამუშაოთა მასშტაბების შესახებ;
- მათთვის გამოყოფილი რესურსების თაობაზე;
- ამ სამსახურის უფლებამოსილებაის შესახებ.

შიდა აუდიტის საბოლოო პროდუქცია არის აუდიტორულ ანგარიში. აუდიტორული ანგარიშის მიზნები სხვადასხვაგვარია, კერძოდ:

- რეკომენდაციების მიწოდება და ზემოქმედება ორგანიზაციული ცვლილებებზე;

• პრობლემების შესწავლა და ყოვლისმომცველი მიმოხილვა;
• ხელმძღვანელების უზრუნველყოფა ინფორმაციით;
• აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად ჩასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

შიდა აუდიტი არის დამოკიდებული, საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც აუმჯობესებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებას, ეხმარება მათ მიზნების მიღწევაში.

სამერნეო სუბექტები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, რომ გამჭვირვალედ და სუფთად იმუშაონ, თუმცა მექანიკური შეცდომებისაგან დაზღვეული არავინაა. შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნას საგადასახადო კანონმდებლობის ან მასში ხშირად შეტანილი ცვლილებების არასწორად გაგებით და გამოყენებითაც. შიდა აუდიტი მმართველებს აძლევს შესაძლებლობას, რომ თავიდან აიცილონ ასეთი შეცდომებისაგან გამოწვეული ჯარიმები და საურავები.

ამრიგად, შიდა კონტროლის ანუ შიდა აუდიტის ეფექტური სისტემის არსებობისას შეცდომის დაშვების ალბათობა უმნიშვნელოა და ფინანსური ინფორმაცია საკმაოდ სრული და ზუსტია. საიმედო უტყუარი აღრიცხვა და ანგარიშგება ეხმარება სამეურნეო სუბიექტს რესურსების ეფექტიან განაწილებაში. ამდენად, შიდა აუდიტი არის სამეურნეო სუბიექტის დამატებითი გარანტიის ფუნქციის შემსრულებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება.

***Natela Vashakidze***
Doctor of Economics, associated professor of Akaki Tsereteli State Unversity

## INTERNAL AUDIT, AS AN EFFECTIVE MECHANISM OF ECONOMIC ACTIVITY

Economic subject produces accounting to provide relevant information, as to the tax authority, also suppliers, customers and partners. According to this, it is necessary to check financial accounting documents periodically in order to avoid inaccuracies which can cause problems and other fines. It needs to use audit which corresponds typical independent control of market economy.

The history of audit is very long. First independent auditors appeared at European companies in XIX century. The formation of auditors were caused by the interests of the leaders of business objects and investors. They did not want to rely only on the financial information which was provided by accouters and leaders. They needed extra guarantees about the information and financial documents to be more reliable for them, because of this they invented the professionals, who were able to conduct financial research in the company and they were more reliable for them.

The main purpose of audit is to establish the correspondence between the accounting documents and tax code.

Audit and accounting are indivisible parts of agricultural subjects. The rulers and the managers should make the right decisions and provide the work of the company effectively. According to the agricultural records, they should make the exact assortment and analyze of the information. This will help to regulate management issues and also to help the effective resolution of issues.

It is possible to held internal audit as well outer audit. As for Georgia internal audit is a new profession than outer one, so that is why this profession is improving and changing all the time. Internal audit is recognized as a self-regulated profession. Internal audit activities are highly statuses in the state, private and non-governmental sector.

Internal audit is a very important member of an economic. It makes the analyze of the existing practice and reveals a problem, supports the best introduction of practice and plays the role of catalogue in the process of improvement. So internal auditor helps the economic subject to achieve the strategic purposes.

Most of the economic subjects have to face some risks, such as : marketing risks, financial risks, risks connected with reputation and those connected with information technologies. The function of inner audit for management is to provide things that all risks will be governed effectively. Internal audit is independent activity established by the

governors and the aim of it is to check the risks of economic subject, evaluate them and study the mechanisms for solving them.

Internal audit aims:

1. To give recommendation to the authorities, the economic subject about the system of internal control.
2. To make consultation and prepare recommendations about internal control and governing issues

Nowadays, there is legislative demand about internal audit. To my mind, its existence is very important, it is caused by the fact of accountability principle. Accountability can be raised in a case when lower roll of governers are obliged to the higher ones. In such situations the internal audit is a kind of controller and in this way it helps realization of accountability.

Internal audit includes all spheres of economic.

When there is some geezer of internal audit, they should listen to the information on an annual basis:

• The scope of work of the internal audit function ;

• The allocation of resources ;

• The powers of this services. Internal audit is the visible report on the final product . The audit report has different aspects of internal auditing. Namely:

• Provide recommendations on the impact of organizational changes ;

• A comprehensive review of the study and problems

•To Provide the leaders with information

Internal audit is depended on the consultation activity which improves to help to achieve its goals.

Economic subjects should try to work very transplant and cleanly as much as possible. Though no one is safe from mistakes. Internal audit gives the opportunity to the rulers to avoid the fines, that are caused by the mistakes.

Thus, making mistakes are very unimportant in internal audit or internal control's effective system existence. Internal audit is an additional guarantee of an economic subject.

**ნაირა ვირსალაძე**
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და
აკ. წერეთლის სახელმწიფო ასოცირებული პროფესორი

## აღწერა - მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ძირითადი წყარო

მოსახლეობის აღწერა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, მეცნიერულად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებაა. მოსახლეობის აღწერას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ცივილიზაციას. მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს ფუნქციონირების და მართვის საქმეში ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში იყო ცნობილი.

მოსახლეობის აღწერების ისტორიაში გამოყოფენ ორ პერიოდს:

1. აღწერები,რომლებიც ჩატარდა ჩვ. წელთაღრიცხვის XVIII საუკუნის ბოლომდე - ფისკალური აღწერები;

2. მეცნიერულად ორგანიზებული აღწერები, რომლებიც იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან და გრძელდება დღემდე.

ისტორიული წყაროების მიხედვით აღწერების პრაქტიკა ჩაისახა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათას წელს ძველ ჩინეთში. ჩინეთის სახელმწიფო მოხელე კუანგ ჩუ აღნიშნავდა, რომ რა მმართველია ის, ვინც არ იცის თავის ქვეშევრდომთა რიცხვი. ეგვიპტეში აღწერების დასაწყისს უკავშირებენ ფარაონ ამაზისს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში). იუდეაში აღწერები უკავშირდება მოსეს და დავითის მოღვაწეობას. გარდა ამისა აღწერები ტარდებოდა აგრეთვე ძველ ინდოეთსა და მესოპოტომიაში. თავდაპირველად აღწერების მიზანს არმიაში გასაწვევ და გადასახადის გადამხდელ პირთა რიცხოვნობის დადგენა შეადგენდა.

ანტიკურ და მონათმფლობელურ პერიოდში მოსახლეობის აღწერა ყველაზე მაღალ დონეზე იდგა რომის იმპერიაში. რომში **მოსახლეობის აღწერას ცენზებს უწოდებდნენ. (ცენზი** ნიშნავს ხალხის დაყოფა ქონებრივი ან ასაკობრივი სტატუსის გათვალისწინებით). რომის მეფემ სერვიუს ტულიუსმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 550 წელს რომის მოსახლეობა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით ცენზებად დაყო. ცენზის სიებში შეიტანებოდა უძრავ-მოძრავი ქონება: სახნავი მიწები,ვენახი, ხეხილი, მინდვრები, სათიბები, საქონელი, მონები, და სხვა. ქონებრივი აღწერის მიზანი იყო გადასახადების გაწერა.

შუა საუკუნეებში მოსახლეობის აღწერების პრაქტიკა დაქვეითებას განიცდის, რასაც ხელს უწყობდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა. აღწერები ტარდებოდა მცირე ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. მნიშვნელოვანია ფრანკთა მეფის კარლოს დიდის (742-814 წწ.) განკარგულებით ჩატარებულ მოსახლეობის აღწერა, რომელმაც მოიცვა როგორც მეფის, ისე ფეოდალების სამფლობელოები.

ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვის პერიოდში (საჭირო გახდა თვისობრივად ახალი სახის ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ) დაიწყო მეორე პერიოდი მოსახლეობის აღწერების ისტორიაში და გრძელდება ღემდე. ამ პერიოდში პირველი აღწერები ჩატარდა: აშშ-ში - 1790 წელს, შვედეთში, ინგლისსა და შოტლანდიაში, დანიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში - 1800- 1801 წლებში. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში აღწერები ჩაატარეს ამერიკის და ევროპის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა; კუბა, კანადა, საბერძნეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსენბურგი, შვეიცარია, პორტუგალია და იუგოსლავია. მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ევროპის ყველა სახელმწიფომ (თურქეთის და რუმინეთის გარდა) ჩაატარა საყოველთაო აღწერები.

XIX საუკუნის დასასრულს მოსახლეობის აღწერების პრაქტიკა გავრცელდა აზიაში, ავსტრალიასა და ოკიანეთში. პირველი საყოველთაო აღწერები აზიის ქვეყნებიდან ჩატარდა სინგაპურსა და შრი ლანკაში

XX საუკუნის ოცდაათიან წლებში აღწერები ჩატარდა ვიეტნამში, ლაოსში, ტაილანდში, ლიბანში, ერაყში, კორეაში, მონღოლეთში, თურქეთსა და ჩინეთში.

ავსტრალიასა და ოკიანეთში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერების ჩატარება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში: ახალ ზელანდიაში ჩატარდა 1851 წელს, პოლინეზიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე - 1876 წელს, ავსტრალიაში -1881 წელს.

მაშასადამე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ისტორია ორ საუკუნეზე მეტს ითვლის. აღწერებმა დიდი როლი შეასრულეს მსოფლიოს მოსახლეობის შესწავლაში. თავდაპირველად (1830 წლისათვის) აღწერებით მოცული იყო მსოფლიო მოსახლეობის 10%, 1870 წლისათვის-20.0%, 1900 წლსათვის -60,0%, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ - 77,0%, ხოლო თანამედროვე პირობებში ამ ციფრმა 100,0% მიაღწია. ე. ი მოსახლეობის აღწერებით პრაქტიკულად შესწავლილია მსოფლიოს მთელი მოსახლეობა.

ისევე როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც მოსახლეობის აღწერებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აკადემიკოსს პაატა გუგუშვილის გამოკვლევით უკვე VII საუკუნის პირველ ნახევარში აღუწერიათ ქართლი - შეუდგენიათ მიწის კადასტრი, ვინაიდან იმ პერიოდში მიწის აღწერასთან ერთად ხალხის აღწერაც ხდებოდა საქართველოში მოსახლეობის აღწერების დასაწყისად VII საუკუნე მაინც უნდა მივიჩნიოთ.[1]

ისტორიული წყაროების მიხედვით აღწერები დავით აღმაშენებლის დროს, XI საუკუნეშიც მიმდინარეობდა. ცნობილია მონღოლების მიერ საქართველოს მოსახლეობის აღწერის ფაქტი 1254 წელს. აღიწერა საქართველოს მამრობითი სქესის მოსახლეობა 15-60 წლის ასაკისა, აგრეთვე პირუტყვი, ყანები, ვენახები და სხვა. აღწერის შედეგად მონღოლებმა 90 ათ. მეომარი შეაწერეს საქართველოს. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროს საქართველოში 5 მლნ-მდე მცხოვრები ყოფილა.

XVII საუკუნიდან საქართველოში მოსახლეობის აღწერებმა პერიოდული ხასიათი მიიღო. აღწერის შესახებ ცნობებს ერქვა დავთარი. აღწერა ეფუძვნებოდა ქართლის სამეფოს სადროშოებად დაყოფას. სადროშოს მოსახლეობის მონაცემები შეიტანებოდა ერთ დავთარში. სადროშოს სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ აღეწერა ხალხი[2].

ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1721 წელს ჩატარებულ აღწერაზე. ქართლის სამეფოს მეწინავე სადროშოს დავთრში აღნიშნულია, რომ ვახტანგ VI-მ მისი აღწერა უბრძანა - „ძესა თვისსა ბატონიშვილს სარდალს ვახუშტის და _მდივან-მწიგნობარს თუმანიშვილს გივის.'' ეს უკანასკნელი ამ აღწერის შესახებ აღნიშნავს: ,,აღვწერეთ ამ დავთართა შინა რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არ ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევეთ და არა აღვწერეთ წიგნსა ამასა შინა[3].

აღწერის წესიდან ჩანს, რომ დავთარში შეიტანებოდნენ მამაკაცები სრულასაკოვნობიდან მოხუცებულობამდე, არ შეიტანებოდნენ ბავშვები, ქალები და მოხუცები, რადგან მათ სამხედრო ბეგარის მოხდა არ შეეძლოთ. ფისკალურ და სამხედრო მიზნებიდან გამომდინარე მოსახლეობა ცდილობდა აღწერისგან თავის არიდებას, რასაც სამეფო ხელისუფლება მკაცრად ებრძოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული აღწერებიდან შემორჩენილია არაგვის ხეობის და ქსნის საერისთაოს აღწერის დავთარები. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს უკანასკნელი აღწერა მეფე გიორგი XIII-ის განკარგულებით ჩაუტარებიათ 1799 წელს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, არ არის აღმოჩენილი არც იმერეთის, არც სამეგრელოს, არც გურიის მოსახლეობის აღწერის მასალები. როგორც ჩანს ისინი განადგურდა ხშირი შემოსევებით, ასევე რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. ,,ის ზიანი, რომელიც ამით საქართველოს კულტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას მოუვიდა, რასაკვირველია აუნაზღაურებელია.''[4]

1801 წლიდან, მას შემდეგ რაც რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთის ადმინიტრაცია დაუყოვნებლივ შეუდგა საქართველოს მოსახლეობის შესწავლას. რუსეთის რევიზიებისაგან (აღწერებს რუსეთში რევიზიები ეწოდებოდა) განსხვავებით საქართველოში შემოიღეს კამერალური აღწერის პრაქტიკა.

კამერალური აღწერები, როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, ასრულებდნენ იგივე ფუნქციას, რასაც რევიზიები(აღწერები) რუსეთში. რევიზიებისგან განსვავებით მოსახლეობა შეისწავლებოდა ზოგადად და აღწერის მასალების საიმედობის ისეთი მკაცრი კონტროლი არ ხდებოდა, როგორც რუსეთში, რამდენადაც მეფის მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობი გამწვავებას ერიდებოდა[5]

1800-1880 წლებში საქართველოში ჩატარდა ათი კამერალური აღწერა.ეს აღწერები არ მოიცავდა სრულიად საქართველოს და შესაბამისად არ იძლეოდა მოსახლეობის სრულ სურათს.'

1886 წლიდან, მას შემდეგ რაც რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოში რუსულმა ადმინისტრაციამ

[1] გუგუშვილი პ., საქართველოს სსრ მოსახლეობისაღწარმოების საკითხები. თბ., 1973 გვ. 176.
[2] გამყრელიძე გ., დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ. 1955,გვ. 94.
[3] ივ. ჯავახიშვილის ,,საქართველოს ეკონომიკური ისტორია'' თბ., 1930, გვ.19.
[4] იქვე, გვ.44
[5] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. 1, თბ.,1949, გვ.676-677.

სამხედრო ვალდებულების კანონის განსახორციელებლად და გადასახადის გაწერის მოსაწესრიგებლად ჩაატარა მოსახლეობის აღწერა, რომელიც საოჯახო სიების სახელწოდებით არის ცნობილი. საოჯახო სიები შედგა საკმაოდ კარგი პროგრამით, მაგრამ ხარჯების შემცირების მიზნით რიგი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: კომლების კლასიფიკაცია საქმიანობის მიხედვით, მამაკაცთა განაწილება ასაკის, სალაპარაკო ენის და განათლების მიხედვით -არ დამუშავებულა.

მაშასადამე, მოსახლეობის აღწერებს, მისი ჩატარების ორგანიზაციას და ტექნიკას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, აქ დამოუკიდებლად არასოდეს ჩატარებულა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მოგვცემდა სრულ სურათს.

საქართველოში მოსახლეობის პირველი საყოველთაო და მეცნიერულად ორგანიზებული აღწერა ჩატარდა 1897 წელს, როდესაც საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის სახით შედიოდა რუსეთი იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ ღწერის მასალები შეკვეცილი პროგრამით დამუშავდა, იგი მაინც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა საქართველოს მოსახლეობის შესახებ.

XX საუკუნეში საქართველოში ჩატარებული (1926,1939,1959,1970,1979 და 1989 წწ.) ექვსი აღწერა მიუთითებს, რომ აქ ისინი რეგულარულად მიმდინარეობდა, მაგრამ საქართველო მასში მონაწილეობდა არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ როგორც ერთიანი ქვეყნის შემადგენელი ერთ-ერთი რეგიონი. 1989 წლის აღწერა უკანასკნელი იყო საბჭოთა საქართველოსათვის და მას ერთგვარი ისტორიულ- დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც 1989 წელი თითქმის ქრონოლოგიურად მიჯნავს ერთმანეთისაგან საბჭოთა და დამოუკიდებელ საქართველოს და მისი შედეგები ყოველთვის დარჩება შესადარ ბაზად, რომლიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მის შემდგომ პერიოდში საქართველოში მომხდარი ცვლილებები მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობისა და ტერიტორიულ გადაადგილებაში.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში 2002 წელს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. აღწერის მასალებმა ნათლად დაგვანახა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები.

მოსახლეობის აღწერა ყველა სახელმწიფოში ყოველთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს, ურთულეს და ძვირადღირებულ სტატისტიკურ ოპერაციას, რომლის შედეგებს ფართო სოციალურ-პოლიტიკური და მრავალმხრივი სახალხო მეურნეობრივი და დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. აღწერით მიღებული მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობის, ტერიტორიული გადაადგილების შესახებ განეკუთვნება ხანგრძლივი მოხმარების ინფორმაციას, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (სოციალური, ეკონომიკური,კულტურული, დემოგრაფიული და სხვა) აღმშენებლობითი ღონისძიებების შესამუშავებლად და განსახორციელებლად.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მომავალ 2014 წლის საყოველთაო აღწერას, რომელიც 2002 წლის შემდეგ მეორედ ტარდება დამოუკიდებელ საქართველოში, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დაძლევისა და რეფორმის მიმდინარეობის, ახალი კრიზისული დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებში, როგორც გაეროს სრულუფლებიან წევრ სახელმწიფოში. მოსახლეობის მომავალი საყოველთაო აღწერის სათანადო ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნათა დონეზე წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღწერის პრაქტიკაში დამკვიდრებული და აპრობირებული წესის შესაბამისად მოსახლეობაში ფართო პროპაგანდა და მასობრივი ახსნა-განმარტებითი სამუშაოს მიზანდასახულად წარმართვა აღწერის პროგრამის, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების მნიშვნელობის შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება დადგენილ ვადაში სათანადო დონეზე, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სტატისტიკისა და დემოგრაფიის ისტორიაში.

***Naira Virsaladze***
Doctor of Economics, associate professor of Akaki Tsereteli
State University and Kutaisi University

## DESCRIPTION – THE POPULATION MAIN SOURCE OF LEARNING

The description of national importance, scientifically organized statistical attention. The population census is as long a history as a civilization. The importance of the operation and management of the ancient states were known.

Emphasize the two censuses in the history of the period:

1. Descriptions, which are held in BC. Until the end of the XVIII century AD -Fiscal description;

2. Scientifically organized descriptions, which starts from the beginning of the XIX century and continues to this day.

Historical sources that describe the practices conceived 4 thousand years BC in China. Ancient Chinese Government Official Chu Kuang noted that it manages it , who does not know his Subordinated number . Censuses beginning with the pharaoh in Egypt Amaziss ( VI century BC ) . Judea in the descriptions associated with the work of Moses and David . In addition, the descriptions were held in ancient India and Mesopotomia .

Antiquity and the slave period, the population stood at the highest levels in the Roman Empire . The requirement that a census was called . ( Requirement means the division of property in consideration of status or age ) . Requirement were held regularly , once in 5 years . Requirement lists Entering real estate - immovable property : arable lands , vineyards , fruit trees , fields, meadows , goods , slaves , and more. The aim of the census was discharged property taxes . At the head of household requirement in the field of Mars with an oath confirmed the correctness of the answers . Census subject to the registration of name , family member's age and real - movable property.

According to the census conducted by the antique Greece. Censuses would have been impossible without a highly developed state of organization and management. Likurg and solon reforms that relies on the division of classes , it is impossible to evaluate the property (BC. sec. Longer - up to 850 and 594 sec.) .

In the Middle Ages the practice censuses decreased , which supported the feudal Divided . Descriptions were carried out by small territorial units . It is important The French King Charlemagne the Great ( 742-814 years ). Ordered the census , which covered both the king and the feudal fiefdom. Enumeration lists entering : residential and commercial buildings , the land of their usefulness and profitability , as well as a working cattle were described , and their children are at the disposal of real property, and other fishery . Also notable in the years 1083-1086 , conducted by Wilhelm conquerors of England census . This description is known , a terrible trial ," the name of the book . In it we meet the administrative division , land distribution and the number of them forest , arable and pasture . The book also provides mills , fishing pond , the land price , number of children , working cattle , bee hives and the other list .

At the end of the XVIII century and the beginning of the XIX century , feudal and capitalist production relations faults embryonic period, it was necessary to qualitatively new kinds of information about the population , the population censuses in the second period , which lasts until ghe . At this time , the first census was conducted in the U.S. - in - in 1790 , in Sweden , England and Scotland, Denmark, France, Norway - 1800 - 1801 years. In the 19th century, 50 - ies conducted descriptions of the U.S. and European countries such as Cuba, Canada, Greece, Ireland, Netherlands, Belgium, Luxembourg , Switzerland , Portugal and Yugoslavia . The beginning of the 20th century, all European countries ( except Romania and Turkey ) carried out a census .

At the end of the XIX century censuses practice spread to Asia, Australia, and the Ocean . First census was conducted in Singapore and Sri Lanka in Asia

Thirty years of the XX century census was carried out in Vietnam , Laos , Thailand , Lebanon, Iraq , Korea , Mongolia, Turkey and China.

The first population census conducted in Australia and Ocean began in the second half of the XIX century : in 1851 in New Zealand , and the Pacific islands of Polynesia - 1876, Australia -1881 year.

Thus , the census counts for more than two centuries in history . Description played an important role in the study of the world's population . Initially ( 1830 est.) 10% of the world's population census included , for the year 1870, -20.0 % , -60.0 % for tslsa 1900 , before the start of the Second World War - 77.0 % and 100.0% in terms of these numbers are achieved . Minutes . I actually researched descriptions of the world's entire population .

As well as in the world, Georgia has a long history of census . The Institute estimated that in the first half of VII century academician of the way Kartli - draw the land cadastre. Since that time the people of the land , together with a description of what is happening in Georgia aghtse censuses should be regarded as the beginning of the VII century .

Iv suggested that the Census David the Builder , XI century, as well . In fact by the Mongol Census in 1254 . Description of the male population 15-60 years of age, as well as cattle, fields, vineyards and more. Census as 90 thousand Mongolians . Sheatseres warrior of the accounts that each farmer with 9 full backing of the Community must be off . According to this information , it appears that the Georgia 5 million - living up to it.

In XVII century the population of Georgia periodic character. Descriptions of fiscal and military purposes . The notice called the census ledger . Description based on the division of the kingdom of Kartli Sporting Clubs . Flag the data submit one ledger . Once the commander was entitled to to carry out a description of seven years.

Iv . History tells the king of Kartli Vakhtang VI- The order of the census of 1721 . At that time, the Kingdom of Kartli was divided into 4 Sporting Clubs . Description Vakhtang VI- forward flag to his son , Prince Vakhushti asked for .

Description of the procedure shows that the log submit Men Full-old to old age , and not submit children, women and

the elderly , because they were not able to military taxes . Fiscal and military purposes of the census, the population was trying to avoidance , which strongly opposed the royal government .

The second half of the XVIII century from eastern Georgia to the census there was a Aragvi and Ksani census ledger. East of the Kingdom of the last census carried out in 1799 by order of King George XIII- ‘s year.

As for West Georgia, is not found in any of Imereti , Samegrelo, nor any regional census materials . It seems that they are destroyed by frequent invasions and annexation of Georgia by Russia . „ The damage that is doing to the culture and socio - economic history of the matter , of course compensated yet. ‘’

Since 1801 , after Russia invaded the Kartli - Kakheti Kingdom, the administration began to support Population study . Revision from Russia ( in Russia revision called descriptors ), in contrast to the practice in Georgia is introduced to describe the desk .

Descriptions of the desk as an academician. P. . Gugushvili notes, perform the same function , leading to revision ( description) in Russia . But a more general review of the unlike is studied and the reliability of census materials such strict control was not , as in Russia , as the king of the problems with the local people shy away from .

1800-1880 he held in Georgia on the desk description . These descriptions did not include the whole of the population and therefore did not give the full picture.

Since 1886 , the firm settled down after Russia and Georgia also issued a military commitment , the commitment of the Russian administration of the tax law in order to regulate the discharge summary, which lists the name of a prominent family . Family lists were a pretty good program, but in order to reduce the costs of a number of important issues such as the classification of listing households , according to the age distribution of men , according to the spoken language and education - not processed .

Georgia is the first comprehensive and scientifically organized census was conducted in 1897 , when Georgia was incorporated into the Russian Empire in Tbilisi and Kutaisi . Although the truncated program is developed to describe the materials , but it contained important information about the population .

In the XX century in Georgia (1926,1939,1959,1970,1979 and 1989.) Six description indicates that they are regularly held here, but Georgia has not engaged as an independent state, but as an integrated part of the country - one of the region. 1989 Census of the last Soviet Georgia, and it is a kind of historical - the demographic importance, since 1989, almost chronologically separating from each other Soviet and independent of, and the results will always remain a comparable basis, which will enable us to reveal its aftermath in Georgia changes in the size, composition and in the territorial move.

After the collapse of the Soviet empire in 2002, was living in Georgia . Clearly shown in the census materials, independent of socio - economic and social - political development as a result of changes in population structure and The number .

The description of every state is always the most important , most complicated and expensive statistical operation , which results in a wide range of socio - political and multilateral public Thrift and demographic importance. Data obtained from the census population size , composition , subject to the movement of long-term consumption of information , which is necessary in various areas of social life (social , economic , cultural , demographic , etc.) to develop and implement constructive measures .

All of these special national - national importance to our country, the future of the 2014 census , that of 2002, after the second time in independent Georgia , the new social - economic system , market economy , socio - economic consequences of reform , a new critical demographic situation conditions as a full member state in the UN . Population census to the next level of organizational and methodological requirements necessary to ensure the successful completion of the census and tested in accordance with the established practice of the broad mass of propaganda and explanations - Explanatory purposefully conducting census work program , goals, objectives and significance of the results .

We hope that the 2014 Census will be conducted within the time prescribed by the appropriate level, which is another step forward in the history of statistics and demographics .

*Заднепровская Елена*
к.э.н., доцент, Донецкий институт туристического бизнеса

## РЕАЛЬНОСТЬ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ АЛЬТЕРНАТИВНЫХ ВИДОВ ТУРИЗМА В МИРЕ И УКРАИНЕ

**Постановка проблемы**. Интерес к традиционным видам туризма, таким как культурный, исторический, познавательный постепенно снижается, но весомое значение начали набирать экологический, сельский, научный, образовательный, деловой и промышленный туризм, объединенные общим понятием «альтернативный туризм» [3]. Изучение опыта иностранных кампаний в области промышленного туризма и перспектив его влияния на современную политику турпредприятий Украины является достаточно актуальным.

**Цель исследования** – раскрыть сущность винного туризма как части промышленного, проанализировать направления его реализации в других странах, оценить перспективу развития в Украине.

**Анализ последних исследований и публикаций**. Промышленный винный туризм в Украине – это относительно новое направление. Только в последнее время активизировались научные исследования по поводу развития этого вида туризма в Украине. Так, возможности развития туризма на промышленных территориях было проанализировано и исследовано Коневой Е.В. [4], перспективы развития определены Коневой Е.С. [4], Пацюком В.С. [3], направления и опыт использования в Украине, а также возможности и перспективы развития исследованы Резниковой М.А. [5].

**Изложение основного материала исследования**. Промышленный винный туризм давно получил широкое распространение в мире. Традиционно винодельческие страны Европы и Нового Света многие годы принимают туристов на своих винодельческих предприятиях, туристические компании готовы предложить желающим как многодневные тематические туры в винодельческие регионы, так и однодневные экскурсионные программы на отдельные производства. В Украине винный туризм только начинает развиваться, однако и сами виноделы, и отдыхающие проявляют к нему все больший интерес.

Сегодня большинство украинских винодельческих хозяйств с готовностью открывают свои двери для туристических групп. Компании не скрывают, что таким образом увеличивается число почитателей именно их торговой марки, повышается доверие к производителю, который открыл для глаз экскурсантов тонкости своего производства и потребитель в будущем отдает предпочтение именно его напиткам. Потребителям же подобные экскурсии позволяют оценить технологическую культуру производства, лично познакомиться с виноделами, узнать о вековых традициях хозяйства, о полезных свойствах производимой продукции.

Сегодня разработаны интереснейшие маршруты по частным винодельням Закарпатья, открыты двери винодельческих предприятий Одесской, Николаевской и Херсонской областей. Перспективность этого направления бизнеса ни у кого не вызывает сомнений, поэтому компании с готовностью инвестируют в него средства, модернизируют производства, отстраивают дегустационные залы. Однако широкой рекламной поддержки винные туры пока не получили, поэтому сами туристы имеют весь отдаленное представление об их особенностях. Традиционный винный тур включает в себя посещение виноградников предприятия, завода первичного, вторичного виноделия, подвалов выдержки вин и дегустацию напитков.

Конечно, больше всего возможностей посетить винодельческие предприятия существует у гостей Крыма. Сегодня винный туризм в Крыму становится отдельным направлением, некоторые турагентства даже предлагают тематические многодневные туры на винодельческие предприятия автономии. Стоимость семидневного тура среднего уровня с ежедневным посещением одного из винодельческих предприятий составляет от 450 у.е. с человека. Кроме головного предприятия «Массандры» свои двери для туристов открыли ГП «Судак», входящее в объединение «Массандра», ОАО «Солнечная долина», ГП «Дом шампанских вин «Новый Свет», завод марочных вин и коньяков «Коктебель», ЗАО «Инкерман», ООО «Евпаторийский винзавод», Симферопольский винзавод, ГП «Севастопольский винодельческий завод» и многие другие компании.

Наибольший опыт приема туристов у виноделов западной Европы - Франции, Германии, Испании, Италии. По данным генерального секретаря Ассоциации виноградарей Германии Рудольфа Никенига, почти 20% вин немцы покупают непосредственно на винодельческих предприятиях. Это свидетельствует о том, что тамошние потребители являются частыми гостями виноделен, у них налажен тесный диалог с производителем. К тому же, это повышает культуру потребления алкогольных напитков. В Европе уже многие годы действует программа Европейский винный путь, направленная на повышение рентабельности предприятий отрасли виноделия и туризма.

Среди иностранных туристов пользуются спросом туры в страны Нового Света: Чили, Австралия, Аргентина и т.д. В последнее время туристов со всего мира активно приглашают и винодельческие предприятия Венгрии, Болгарии, других винодельческих стран. Так, в Болгарии успешно функционируют целые туристические комплексы с полной инфраструктурой на базе винодельческих заводов.

Экскурсии и дегустации на своей территории проводят и российские виноделы. Больше всего это развито на Кубани. Например, принимают туристов компании «Фанагория», «Запорожское», «Мысхако», «Геленджик», «Абрау-Дюрсо». Последней даже разработано семь разных туристических маршрутов по производственным помещениям и подвалам «Абрау-Дюрсо».

**Перспективы развития промышленного винного туризма.** В представлении большинства отдыхающих

винный туризм – это экскурсия по винному заводу с дегустацией. Для европейцев такой туризм заключается в посещении винных комплексов, где можно отдохнуть, пройти курс оздоровления, узнать секреты приготовления вина. У Крыма есть все возможности для создания полноценного винного курорта.

**Проект Chateau Wine Village**. На Международном инвестиционном форуме, который проходил в Севастополе 16-17 сентября 2011 года, председатель совета директоров «Первого национального винодельческого холдинга» (ПНВХ) Валерий Шамотий презентовал проект Chateau Wine Village («Винная деревня»). Окруженное виноградниками шато будет включать винные подвалы и все необходимое оборудование, а также дегустационные залы, рестораны высокого класса, гостиничные номера, комплексы SPA, благоустроенные парки и пр.

В шато гостям предложат винную терапию. С помощью вина будет проводиться оздоровление, лечение и омоложение. Винное SPA – это особые процедуры для релаксации и восстановления. Местоположение Chateau Wine Village еще не определено. В качестве вариантов рассматривается южное побережье Черного моря и западный Крым.

Пока в Украине число винных туристов составляет около 100 тысяч – это 1,5% от общего количества. В Австралии их доля достигает 10%. Ожидается, что к 2020 году около 30% винных туристов будут отдавать предпочтение санаторному винному туризму, что увеличит стоимость отдыха и повысит прибыль инвесторов. Прогнозный оборот винно-туристической отрасли к 2020 году – 2,9 млрд. грн. (рис.1)

Рис.1 Прогнозная динамика потребления тихих вин в Украине

Винный туризм как часть винодельческого кластера**.** Винный туризм – это лишь элемент Крымского винодельческого кластера, который предусматривает комплексное развитие виноделия. При условии тесного взаимодействия аграриев, перерабатывающих предприятий, производителей вина, туристических, образовательных, торговых организаций в Украине можно создать винодельческую отрасль, способную конкурировать с Европой по качеству и объемам вин (рис.2). Немаловажна поддержка государственных органов, региональных и отраслевых ассоциаций. Кластерный принцип успешно применяется в виноделии Австралии и Калифорнии (США). В целях развития виноделия «Первый национальный винодельческий холдинг» инициировал Стратегию развития украинского виноделия на 2010–2020 гг. Инвестиции только в производственные мощности по переработке винограда и розливу вина к 2020 году должны составить 774 млн. грн. В целом же до 2020 года объем производства вырастет с 32 до 121 млн. бутылок в год, а валовая выручка составит 420 млн. грн.

**Рис.2 Крымский винодельческий кластер**

В качестве примера доходности винного туризма представитель холдинга привел Францию, где винный отель на 50 номеров приносит ежегодно не менее 20 млн. евро. «В наших условиях можно создать предложения намного выше по уровню и за более доступные деньги (чем в Европе). Это обеспечит доходность всем участникам», – считает В. Шамотий. Представитель ПНВХ пригласил инвесторов к сотрудничеству и отметил, что вкладывать средства уже готовы представители Финляндии.

Что касается Крыма, то за время реализации стратегии развитие винодельческого комплекса позволит создать 13 тысяч рабочих мест. При этом прибыль кластера увеличится в 10 раз – с 408 млн. грн в 2011 году до 4,5 млрд. грн в 2019 году. Пропорционально возрастут поступления в бюджет налога на прибыль: со 100 млн. грн до 1,13 млрд. грн. Также ожидается десятикратный рост НДС с продукции виноделия. [5]

**Выводы.** В рамках данной работы были решены следующие задания:

1. Проанализирован подход к определению понятия винный туризм
2. Рассмотрены пути развития промышленного туризма на предприятиях виноделия в мире
3. Определены перспективные объекты винного туризма в Украине.

***М. И. Иовчу***
Комратский госуниверситет, старший преподаватель кафедры
информационных технологий математики и физики (Республика Молдова)
***Л. В. Федотова***
Комратский госуниверситет, доктор, доцент,

## ИНТЕЛЛЕКТ КАРТЫ В РЕАЛИЗАЦИИ ПРОЕКТНОГО МЕТОДА ОБУЧЕНИЯ В ВУЗЕ.

Начиная с 2005 года, с включением Республики Молдова в Болонский процесс, образовательные стандарты кардинальным образом изменили ориентиры отечественной системы образования. Вместо традиционных знаний, умений и навыков на первый план были выдвинуты компетенции.

Изменение вектора образовательного процесса с подхода, основанного на знаниях, на практико-ориентированный подход к результатам образовательного процесса, неизбежно привело к постановке проблемы технологий и методов обучения, которыми эта практико-ориентированность будет достигаться. Одним из таких методов является метод проектов.

**Метод проектов** — система обучения, при которой учащиеся приобретают знания и умения в процессе самостоятельного планирования и выполнения постепенно усложняющихся практических заданий — проектов[ 1].

Метод проектов представляет собой *социально значимую задачу*, связанную с будущей профессиональной деятельностью, предполагающую достаточно длительный период решения (до семестра) и большой объем работы, которая ведется самостоятельно, но с консультативным руководством преподавателя, с обязательной творческим отчетом (презентацией). Проект может быть индивидуальным и групповым. В публикации [ 2] отмечают основные этапы проведения проектного метода обучения:

мотивации и целеполагания;
планирования ;
принятия решения;
выполнения проекта;
защиты проекта;
проверки и оценки результатов.

Метод проектов, широко используемый сегодня в педагогической практике, обладает большим потенциалом для применения в подготовке молодых кадров. Его направленность на получение практического результата, а также ориентация на интересы и нужды студентов делает данный метод незаменимым в современных условиях. Проектная работа становится все более актуальной для реализации образовательной программы высшей школы. В результате применения метода проектов и других активных методов обучения у студентов наблюдается развитие познавательного интереса к изучению дисциплины, лучшее усвоение материала, развитие активности, инициативности, уверенности, самостоятельности.

Вместе с тем, применение вышеназванных активных методов в обучении сопровождается целым рядом

трудностей, сдерживающих их широкое внедрение. Во-первых, такой вид организации учебного процесса требует больше времени на подготовку по сравнению с традиционной лекцией, практическим занятием, коллоквиумом. Перед преподавателем встает задача разработки тем проектов, их структуры и формы реализации, составления списка источников информации, вплоть до создания собственного блога с целью корректирования деятельности обучающихся, проведения консультаций . При увеличении количества проектов различной тематики возрастают сложности в эффективности управления проектной работой студентов.

Результаты проведенных опросов среди педагогов практиков, использующих данный метод, показывают, что при реализации проектного метода трудности присутствуют практически на всех этапах реализации проектного метода обучения [4].

Анализ содержания проектного метода обучения показывает его масштабность и разно плановость решаемых задач, как для преподавателя, так и для студента. Отсюда следует, что для реализации задач и целей выбранного проекта необходим инструмент, который позволил бы обучающемуся спроектировать (под руководством преподавателя) свою образовательную траекторию, а преподавателю управление проектной деятельностью обучающегося. Причем такой инструмент должен отражать взаимосвязи целей, задач, знаний, умений и компетенций, которые должны быть получены как средство достижения этих целей. Для достижения результативности важен удобный инструментарий, позволяющий осуществлять текущий и эффективный мониторинг хода выполнения предусмотренных проектом задач. Важным преимуществом такого инструмента должно быть наглядность представления этих связей.

На наш взгляд таким инструментом являются интеллект-карты ( ИК ). Автором метода интеллект карт является английский психолог Тони Бьюзен [5]. ИК используются для решения широкого круга задач: обучения, презентации, планирования, мозгового штурма, принятия решения. Широкое применение в последнее время они нашли в образовании и бизнес среде.

Интеллект-карта - это графическое представление продуктов деятельности головного мозга, полученных в ходе радиантного мышления. Это мощный графический метод, с помощью которого высвобождается огромное количество информации, скрытой в нашем мозге. Данный метод можно применить в любой сфере жизни, где необходимо решать интеллектуальные задачи. Отличительные черты ИК: объект изучения находится в центре, связанные темы, представлены в виде ветвей, которые расходятся из центра с сопровождающими их ключевыми словами или условными обозначениями. Далее от ветвей более высокого порядка отходят ветви, несущие вторичные идеи и т. д. Формируется связанная узловая система.

Для улучшения восприятия ИК можно использовать различные цвета, рисунки, закодированные выражения и трехмерную глубину. С помощью данных средств увеличивается творческий запас и лучше запоминается информация [6].

Так, например, для студентов филологов по дисциплине «»Информационные технологии» после изучения текстового редактора, редактора презентаций и видео редактора были предложены различные темы проектных работ для создания видеосюжетов. Проект предполагал создание сценария будущего видеосюжета по выбранной тематике, сбор необходимой информации из различных источников по выбранной тематике: текстовой, видео, изображения, звукового сопровождения, презентации и т. п.. Были определены этапы создания видео сюжета. Ввиду того, что исполнители проекта по профилю будущие филологи английского, немецкого, румынского языков, то текстовый и звуковой комментарий в видеосюжете должен осуществляться на соответствующем языке.

Метод проектного обучения представлен нами в виде свернутой ИК [рис.1]. Каждый из ветвей предложенной ИК в свою очередь может быть представлен в более подробных деталях.




Рис. 1 Представление проектного метода в виде интеллект карты.

Теоретически такая детализация может иметь бесконечное число уровней. На рис.2 частично развернута одна из ветвей. На практике целесообразнее избегать такой многоуровневой детализации и представлять ее в виде ИК, вложенной в исходную. Так, например, на этапе планирования студентам могут быть предложены ИК « Эффективный метод поиска информации» и « Критерии оценки результата».

На этапе принятия решения могут оказаться полезными ИК «Как проводить «Мозговой штурм»» для преподавателя и ИК «Источники информации» для студента. Для этапа выполнения проекта преподаватель может вместе со студентом создать план выполнения проекта в виде ИК, которая потом облегчит процесс мониторинга хода выполнения проекта и для преподавателя и для студента. Для этапа защиты проекта могут оказаться полезными ИК «План подготовки доклада для защиты проекта» и «Как подготовить эффективную презентацию».




Рис.2. Интеллект-карта с частично развернутой ветвью.

Таким образом, использование ИК в проектном методе обучения предоставляют нам возможность:

• целостного и объемного понимания решаемых в проекте проблем;

• существенной экономии времени (как при восприятии нового материала, так и при повторении/запоминании уже знакомого);

• активизации творческих и интеллектуальных способностей;

• легкого и удобного восприятие представленного материала, т.к. интеллект карта представляет информацию в удобочитаемом для мозга формате;

• помогает выявить недостаток информации и понять, какой информации не хватает;

• визуального и интуитивно понятного распределения задач по исполнителям ;

• удобного внесения новой информации и гармоничного связывания ее с уже имеющейся;

• возможность коллективной работы над ней.

**Литература:**

1. Ю. В. Гущин. Интерактивные методы обучения в высшей школе. *Психологический журнал* Международного университета природы, общества и человека «Дубна» № 2, 2012. - стр. 10.Режим доступа: http://www.fgosvpo.ru/uploadfiles/mnenie%20%20expertov/2012n2a1.pdf

2. Хащенко Т.Г., Макарова Е.В.. Интерактивные методы обучения в образовательном процессе вуза (методические рекомендации для преподавателей Ульяновской ГСХА). − Ульяновск, УГСХА, 2011. − стр. 32. Режим доступа: http://www.ugsha.ru/DOC/umo/haschenko_intera-metod.doc

3. Инновационные технологии организации обучения в техническом вузе: материалы междунар. науч.-метод. конф. 24-25 апреля 2012 г., Пенза /[ред. кол.: С.А. Болдырев (отв. ред.) и др.]. – Пенза: ПГУАС, 2012. – стр. 274. Режим доступа: http://www.twirpx.com/file/867503/

4. Митрофанова Г. Г. Трудности использования проектной деятельности в обучении [Текст] / Г. Г. Митрофанова // Молодой ученый. — 2011. — №5. Т.2. — С. 148-151 Режим доступа: http://www.moluch.ru/archive/28/3160/

5.Бьюзен Т., Бьюзен Б. Супермышление - М.: Попурри, 2007.- 320с. Режим доступа: http://www.twirpx.com/file/34017/

6. Никифоров О.Ю., Корепина Т.А. Использование современных интернет-сервисов для работы с интеллект-картами // Современные научные исследования и инновации. – Апрель 2013. - № 4 . Режим доступа: http://web.snauka.ru/issues/2013/04/23559

**რევაზ კაკულია**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

# ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი დაძლევის გზები

დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეულმა ტრანსფორმაციამ და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ფორმირების სიძნელეებმა ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა.

ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ტემპების ვარდნა ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში 2012 წლის მესამე კვარტლიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. „ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის – დამარცხებისა და ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ“[1].

როგორც წესი, არსებული ეკონომიკური სისტემის ახლით შეცვლა გარკვეულ დროს მოითხოვს. სწორედ ამაზე ქვეყნის პრემიერმა ქართველი ხალხი ჯერ-კიდევ 2012 წლის დასაწყისში გააფრთხილა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდებოდა, თუმცა იგი საკუთარი წარმოების გაფართოებისა და განვითარების ბაზაზე არ ხდებოდა თუნდაც იმის გამო, რომ დასაქმების მაჩვენებელი 2012 წელს 2004 წელთან შედარებით 70 ათასით შემცირდა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო გარდაქმნების მთავარი ეკონომიკური სფერო ფინანსებია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პრობლემების აღმოფხვრას, როგორიცაა - სამომხმარებლო ფასების არასტაბილურობა, საკუთარი საინვესტიციო რესურსების არადამაკმაყოფილებელი მობილიზაცია, ინფლაციის კლების ტენდენციის ჩამოყალიბება და ეკონომიკური ზრდის შენელების რეცესიაში გადაზრდის საშიშროება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ს შეადგენს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკისათვის ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპებია დამახასიათებელი, 2013-2014 წლების მონეტარული პოლიტიკით მიზნობრივი ინფლაცია განსაზღვრულია 6 პროცენტით, რომელიც 2015 წელს 5 %-მდე შემცირდება[2].

იმის გამო, რომ 2012 წელს ინფლაცია შენარჩუნებული იყო მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა, ეროვნულმა ბანკმა ჯერ-კიდევ 2011 წლის ივლისში დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება, თუმცა მთლიანი ინფლაცია მაინც აღემატებოდა მიზნობრივ დონეს[3].

2011 წლის დასაწყისიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე შეიმჩნეოდა ფასების კლების ტენდენცია ნავთობპროდუქტებსა და შაქარზე. ამასთან, რუსეთმა და უკრაინამ ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს მოხსნით და პურპროდუქტების ფასების შემცირებით ხელი შეუწყვეს ინფლაციის დაცემას. 2012 წლის ბოლოსათვის სურსათის დეფლაციის მაჩვენებელი 4,1%-ს არ აღემატებოდა. შესაბამისად, სურსათის გავლენა წლიური დეფლაციის მაჩვენებელზე 1,3%-ს შეადგენდა.

საყურადღებოა ისიც, რომ 2012 წელს დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში – აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში, რის გამოც იმპორტირებული საქონლის ინფლაცია 2012 წლის ბოლოს 2%-ს შეადგენდა. სწორედ ამიტომ, საქართველოში ამ ქვეყნებიდან იმპორტი დაბალი ინფლაციის ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რის გამოც მისი წვლილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელში 0,7%-ს შეადგენდა[4].

ინფლაციაზე მოთხოვნის მხრიდან მოქმედი გრძელვადიანი ფაქტორებიდან საყურადღებოა ბიუჯეტის დეფიციტი და გაცვლითი კურსის ცვლილება.

2013 წლის აპრილიდან ბიუჯეტის შემოსავლები ყოველთვიურად მცირდებოდა წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით და მიმდინარე წლის 5 თვეში ბიუჯეტის დეფიციტმა 100 მლნ. ლარს გადაამეტა.

2010-2012 წლებში მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია განხორციელდა, რაც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5% შემცირებაში გამოისახა. ამასთან, ბოლო 3 წლის მანძილზე ნომინალური გაცვლითი კურსი 9%-მდე გამყარდა.

ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებისა და გაცვლითი კურსის გამყარების შედეგად ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებას არ გამოუწვევია საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრა. ეროვნულმა ბანკმა 2011 წლიდან დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება, რაც მისი განაკვეთის შემცირებაში აისახა. სწორედ ამიტომ, 2011 წლიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2,75 პროცენტით შემცირდა[5].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2011-2012 წლებში მონეტარული პოლიტიკის შერბილება შეესაბამებოდა არსებულ პროგნოზებს. 2012 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის მაჩვენებელი დაიწყებდა ზრდას და 2013 წლის პირველ კვარტალში მიზნობრივ მაჩვენებელს გაუტოლდებოდა, მაგრამ 2012 წლის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა საბანკო სესხებზე მოთხოვნის შემცირების ტენდენცია. სწორედ აღნიშნულმა შეასუსტა მონეტარული პოლიტიკის შერბილების გავლენა რეალურ ეკონომიკაზე, რასაც არ მოჰყოლია ეკონომიკის დაკრედიტების ტემპების გაუმჯობესება, რომელიც უზრუნველყოფდა ერთობლივი მოთხოვნის ზრდას და, შესაბამისად, ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონემდე მატებას[6].

ქვეყნის მთავარმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ახლახანს კიდევ შეამცირა 25 პუნქტით, რაც ივლისში ფასების შემცირების ტენდენციის გაგრძელებამ განაპირობა. სამომხმარებლო ფასების ინდექსის მთლიანი ინფლაცია 0,2%-ის, ხოლო თვით ინფლაცია – 1,3%-ის დონეზე დაფიქსირდა. სპეციალისტების პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მიმდინარე წლის განმავლობაში დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდება და მიზნობრივ დონეს მხოლოდ 2014 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება[7].

იმ ურთულეს პრობლემებს შორის, რომლებმაც ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა გამოიწვია, საყურადღებოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სერიოზული კლება. მაგალითად, 2012 წლის ბოლო ორი და 2013 წლის პირველ-მეორე კვარტლებში უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2011-2012 წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით 35%-ით შემცირდა[8].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უკანასკნელ წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფა, მაგრამ 2012 წლის ბოლოს და 2013 წლის განვლილ პერიოდში ანალოგიური პროექტების დაფინანსება ფაქტობრივად შეწყდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური აქტიურობის შესუსტება[9].

ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბების, ფულის მიმოქცევის განმტკიცებისა და ბიზნესის სტიმულირებისათვის საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა გადასახადის გადამხდელების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ და ზედმეტად გადახდილი 1,3 მილიარდი ლარის მათზე დაბრუნება, რომელიც გამოიწვევს ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის წახალისებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას, საწარმოების საბრუნავი სახსრების გადიდებას და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობას პრიორიტეტულ დარგებში.

ცალკე შევეხოთ ინფლაციის საპირისპირო მოვლენას - დეფლაციას.

დეფლაცია არის მიმოქცევაში არსებული ზედმეტი ქაღალდის ფულის ამოღება. პირველ რიგში, საჭიროა ფულის ემისიის შეწყვეტა, ხოლო შემდეგ ზედმეტი ფულის მიმოქცევიდან ამოღება. თანაც აუცილებელია ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება და ხარჯების შემცირება.

დეფლაციის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები: საგადასახადო დაბეგვრის ზრდა სახელმწიფო შემოსავლების გადიდებისა და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირების მიზნით; სოციალურ ღონისძიებებზე ხარჯების შემცირება; სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ღია ბაზარზე; ხელფასების გაყინვა, ბანკების სააღრიცხვო განაკვეთებისა და მათი სავალდებულო რეზერვების გადიდება.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა შეუძლებელია ინვესტორთა ნდობის აღდგენის გარეშე. ამასთან, ეკონომიკას სასწრაფოდ სჭირდება სტიმულირება. მით უმეტეს, რომ უკვე ერთ წელზე მეტია ქვეყანაში შეინიშნება აშკარა დეფლაციური ტრენდი, რომლის ერთ-ერთი მიზეზია შიგა მოთხოვნის სისუსტე. „ახალი მთავრობის აქტიურმა სოციალურმა პოლიტიკამ, რაც ბიუჯეტის სოციალური ხარჯების მზარდ დინამიკაში აისახა, როგორც ჩანს, ვერ გადაფარა ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების შეყოვნებისა და მთავრობის მოხმარების (საქონლისა და მომსახურების შესყიდვები) შემცირების უარყოფითი მაკროეკონომიკური ეფექტი და შიგა მოთხოვნაზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა“[10].

ქვეყნის ახალი ხელისუფლება თუ არ დააჩქარებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას და სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის გადიდებას, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების დაძლევა და რეცესიის თავიდან აცილება გაჭირდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპების ვარდნა დეფლაციური ტრენდის ფონზე მნიშვნელოვან პრობლემებს შექმნის ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციის პოზიციიდან, რასაც თან მოჰყვება ხარჯების შემცირება. ეს კი ხელს შეუწყობს ეკონომიკაში რეცესიული პროცესების აღზევებას. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გარკვეულ ზრდაზე.

ფილიპ კოტლერი, საკუთარ განმარტებას აძლევა სოციალურ მარკეტინგს „სოციალური მარკეტინგი – ესაა ადამიანებთან ახლოს მისვლა და მათთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათგან ახალი შხედულებების ადვილად ათვისებას. მათი პოზიციების ცვლილება გვაიძულებს შევცვალოთ ჩვენი ქცევა, რაც გავლენას ახდენს იმ სოციალურ პრობლემაზე რომელშიც ჩართულია ნებისმიერი ჩვენგანი". სწორედ კოტლერმა ჩამოაყალიბა წარმოდგენა სოციალურ მარკეტინგზე, როგორც საზოგადოებრივი იდეების მარკეტიგნზე, რომელმაც განვითარება ჰპოვა სხვათა შრომებშიც. იგი აქცენტს აკეთებს სამომხმარებლო ორიენტაციის პრინციპზე და ცდილობს გაიგოს, თუ რატომ აქვს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს დეტერმინირებული დამოკიდებულება რაიმესადმი და როგორი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მათი დამოკიდებულებების შცვლისას. ის უწოდებს საოციალურ

მარკეტინგს არაკომერციული სფეროების მარკეტინგს. განიხილავს სოციალური მარკეტინგის ორიენტაციას, როგორც ერთ კონკრეტულ ადამიანზე, ასევე საზოგადოებაზე მთლიანად. კოტლერის აზრით სოციალური მარკეტინგი ეს არა ორმხრივი (მომწოდებელი–მომხმარებელი), არამედ სამმხრივი პროცესია (მომწოდებელი–მომხმარებელი–საზოგადოება), რადგანც მომხმარებლის მოთხოვნები და მოთხოვნილებეი ხშირად არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს.

მრავალი უცხოელი მეცნიერი სოციალურ მარკეტინგს აღწერს, როგორც იდეების მარკეტინგს და აყალიბებს მის შემდეგ მახასიათებლებს: 1. საზოგადოების მიერ სოციალური გარდაქმნების რეგულირება დარწმუნების ან სხვადასხვა ტიპის სტიმულირების გზით; 2. სოციალური პრობლემების გადაჭრაში არაშემოსავლიანი სექტორების როლის გაძლიერება; 3. საბაზრო ურთიერთობების შეჭრა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. სოციალური იდეის დაწინაურების დროს, გადახდის საშუალებად გამოდის არა ფული, არამედ გადახდის სხვა საშუალებები - მაგ. ეკლესიისადმი, როგორც სოციალური ინსტიტუტისადმი, ნდობის კრედიტი, რომელიც ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების გამყარებას და ზოგადად საზოგადოების რეალურ მდგომარეობას.

უცხოელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სოციალურ სფეროში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მარკეტინგის სრული კომპლექსი, ხოლო სოციალური მიმართულება მარკეტინგისა წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური სფეროს ორგანიზაციების პრეროგატივას.

სოციალური მარკეტინგი განიხილება როგორც ორგანიზაციის, მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოების, ინტერესების შეთანხმება და დაკავშირება. ყოველივე ამას კოტლერი განიხილავს, როგორც მარკეტინგის სოციალურ-ეთიკურ კონცეფციას. მოცემული კონცეფციას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად მოიხსენიებს, მაგალითად: ა. პანკრუხინი - სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი; ე. გოლუბკოვი - სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგი; ვ. მარტინოვი - საზოგადოებრივი მარკეტინგი.

ანტონიო ტეტას შემოაქვს ცნება „საზოგადოებაზე ორიენტირებული სოციალური მარკეტინგი“. ის აღნიშნავს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული მარკეტინგის პრინციპებით, შესაძლებელია აღმოჩენილ და დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოების მოთხოვნები. მისივე აზრით, მარკეტინგის საზოგადოებაზე ორიენტაციის აუცილებლობა დღითიდღე იზრდება. ძლიერდება საზოგადოების არაკომერციული ჯგუფების, ისეთების როგორებიცაა ხელისუფლება ან პროფკავშირები, ბიზნეს–ერთეულებით დაინტერესება და მათზე ზემოქმედება. ანტონიო ტეტამ გამოყო თანამედროვე მარკეტინგის განვითარების ორი მიმართულება:

1. მარკეტინგის თავადპირველი კონცეფციების სოციალურ სფეროზე გავრცელება;
2. საზოგადოებაზე–ინტეგრირებული გაზომვების მეთოდების ინტეგრირება მარკეტინგში.

ჟან–ჟაკ ლამბენი კი მარკეტინგს განიხილავს, არა როგორც ეკონომიკურ, არამედ სოციალურ მოვლენას. „მარკეტინგი ესაა სოციალური პროცესი, მიმართული ადამიანებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისაკენ, გარკვეული ფასეულობის მქონე საქონლისა და მომსახურების კონკურენტულად გაცვლის გზით“.

სოციალური მარკეტინგის კონცეფცია არ ეხება ურთიერთკავშირებს კომერციულ და არაკომერციულ საქმიანობას, აგრეთვე მარკეტინგი კომერციულ და არაკომერციულ შემადგენლებს შორის. ამავე დროს არაკომერციული მარკეტინგის კონცეფცია მოიცავს სოციალური მარკეტინგის თეორიებსა და მეთოდოლოგიას. სოციალური მარკეტინგი – ესაა არაკომერციული სუბიექტების მარკეტინგული საქმიანობის არაკომერციული შემადგენელი.

ადრე არაკომერციული ორგანიზაციები არ იყენებდნენ მარკეტინგს საკუთარ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგის დანერგივთ შესაძლებელია სარგებელი მიიღონ: პოლიტიკოსებმა, საკუთარი თავის არჩევნებში მონაწილეობის დროს; უნივერსიტეტები, რომლებიც იზიდავენ აბიტურიენტებს სხვადასხვა ღონისძიებებით; მუზეუმები, რომლებიც ეძებენ სპონსორებს და ა.შ.

სოციალური მარკეტინგის ახალი სკოლის მიმდევრები თვლიან, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ საბაზრო ურთიერთობებს, შეუძლიატ აამაღლონ საკუთარი ეფექტურობა, თუკი გამოიყენებენ მარკეტინგის ინსტრუმენტებს. მეორე მხრივ, ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ტრადიციული მარკეტინგის გამოყენებაც კი უამრავ პრობლემას ქმნის, ამიტომაც აუცილებელია მისი გამოყენების დონის შემცირება.

სოციალური მარკეტინგის განსაზღვრის დროს შესაძლებელია გამოიყოს რამოდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

- სოციალური მარკეტინგი ესაა, გადაწყვეტილების მიღების სისტემატიზირებული პროცესი, რომელიც დაფუძნებულია სიტუაციის ანალიზზე და მიზნების ფორმულირებზე;
- სოციალური მარკეტინგი მიმართულია საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

ძირითადი განსხვავება სოციალურ და კომერციულ მარკეტინგს შორის მდგომარეობს მის სპეციფიკურ პროდუქტში – სოციალურ იდეებში. რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ საქონელს დავრცელდება როგორც გაცვლის პროდუქტი. მისი მიზანია მთელი ძალისხმევის მიმართვა საზოგადოებაში სოციალური ეფექტის მიღწევაში.

სოციალური მარკეტინგი საკუთარ თავში მოიცავს ბევრ საერთოს და მრავალ განსაკუთრებულ მახასიათებელს. ის უნივერსალურია საკუთარი ბუნებით, სოციალური კომპანიები მთელ მსოფლიოში ერთმანეთს გვანან. მაგრამ ქვეყნების მიხედვით არსებობს განსხვავებებიც. განვითარებადი ქვეყნებისადმი აქტუალურია შემდეგი ძირითადი სოციალური პრობლემები: ოჯახის დაგეგმვა და ჰიგიენა. მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებში გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანების ფიზიკური ფორმის შენარჩუნება და სიგარეტის დემარკეტინგი.

საქართველოში სოციალური სფერო განვითარებულია, მატერიალური წარმოების სფეროდან გადანაწილებული შემოსავლების ხარჯზე. ის მოიცავს: ჯანდაცვას, განათლებას, კულტურას, გარკვეულ დონეზე მასმედიას და სპორტს. სახელმწიფო დაფინანსება ამ სფეროებს არ ყოფნით, ამიტომაც მათ მიეცათ კომერციული საქმიანობის უფლება.

პრობლემაა ამ სფეროს მენეჯმენტი, რადგან ის მიჩვეული იყო ბიუჯეტის ხარჯზე არსებობას და არ აღმოჩნდა მზად საბაზრო ურთიერთობებისადმი. მასმედიამ სწრაფად აუღო ალღო ახალ რეალობას, ისწავლეს ფულის გამომუშავება

და ამ სფეროში სწრაფი ზრდა განიცადა. სხვა სფეროები კი ნელნელა გადადიან ახალ ურთიერთობებზე.

საქართველოში სოციალური მარკეტინგის თავისებურებაა ის, რომ იგი ვრცელდება სოციალური სფეროს დარგებზე. არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგის ანუ სოციალური მარკეტინგის ცნების ქვეშ იგულისხმება სპორტის, ჯანდაცვის, განთლების და ა.შ. მარკეტინგი. სინამდვილესი კი ამ სფეროს თავისებურება გამოიხატება ფასიანი და უფასო მომსახურების ერთდროულ მიწოდებაში, რომლებიც პირობითად კონკურირებენ ურთიერთშორის.

უფასო მომსახურების მიუწოდებლობის პრაქტიკა და მომხმარებლის იძულება მიიროს მხოლოდ ფასიანი მომსახურება გააჩნია ტენდენციური ხასიათი.

საბაზრო ურთიერთობებმა აიძულეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, განახორციელონ საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსური თუ სხვა საშუალებების მუდმივი ძიება.

ბაზარმა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მატი დიდი სოციალური მისიებით, გაათანაბრა ფაბრიკებთან და ქარხნებთან. ამიტომაც დღეს გადარჩებიან მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც უფრო მეტ სარგებელს ნახავენ არსებული მდგომარეობიდან, და სოციალური მარკეტინგის სასუალებების გამოყენებით ეფექტურად მოახდენენ გარემოსათან ურთიერთმედებას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანდათან პოულობენ საკუთარ ადგილს ბაზარზე, უფრო მეტად უგებენ საკუთარ კლიენტებს, ავრცელებენ ინფორმაციას საკუთარი თავისა და შეხედულებების სსახებ, რაც ყველაფერი ერთად ხელს უწყობს მომხრეების გაჩენას და მოხალისეების მიზიდვას.

***Tengiz Kuprasvili***
Ak. Tsereteli State University Academic Doctor of Economics, Associate Professor

## ESSENCE AND THE CONTENT OF SOCIAL MARKETING IN STRUCTURE OF SERVICES

Social marketing as the new direction appeared in the course of marketing evolution, and is the further perspective stage of this development having the concept, objects of classification and an emergence condition. It is caused by a variety of reasons. In the analysis of stages of development of marketing becomes obvious that originally firms based the market decisions mainly on the terms of profit extraction. Subsequently awareness of the strategic importance of satisfaction of consumer requirements therefore there was a concept of social marketing came.

In spite of the fact that social marketing most often is meant as use of standard marketing methods for achievement and realization of non-commercial purposes, such understanding of social marketing is too simplified.

Till 80th of the XX century marketing was considered strictly as the business activity, however it was clear to much that it can be applied and in other spheres, thanks to universality of the principle — aiming at needs and needs of the person.

For the first time the term “social marketing” was used in 1971 and designated attempt of application of the principles of marketing and its technology for assistance in the solution of social tasks, ideas or practical actions. During this period activity of the organizations even more often began to coordinate with the solution of various public problems.

Phillip Kotler, one of founders of social marketing, gives the definition to this phenomenon: “Social marketing — this understanding of people and such communication with them which conducts to assimilation of new views by them. Change of their position forces to change own behavior that has impact on the solution of that social problem in which you are involved”. At F.Kotler idea of social marketing as about marketing of public ideas which was used and has further development in works of other authors for the first time is formed. It places emphasis on the principle of consumer orientation and tries to understand why certain groups of people have a determined relation to something and what problems will arise in connection with change of this relation. He calls social marketing by marketing for non-profit organizations. Considering need of orientation of social marketing both on the certain person, and on society as a whole, F.Kotler points to some necessary additions of traditional marketing tools. In his opinion, social marketing it not bilateral (the supplier — the consumer), and tripartite process of relationship (the supplier — the consumer — society) as needs, desires and interests of consumers not always coincide with interests of society as a whole.

Many foreign scientists treats social marketing as marketing of ideas and calls the following its characteristics:

1. Regulation by society of social changes by methods of belief, different stimulation.
2. Strengthening of a role of non-profitable sector in the solution of the majority of social problems.
3. Penetration of the market relations into all spheres of life of society. At advance of social ideas money, and other instruments of payment act as means of payment — for example, credibility to church as to the social institute, capable to strengthen the sphere of the family relations and as a whole a real condition of society not.

Thus, V.E.Gordin claims that in the social sphere all complex of marketing is possible, and the social orientation of marketing isn’t more a prerogative of marketing of services of the organizations of the social sector.

Social marketing is considered as the concept of coordination and coordination of interests of the organization,

consumers and all society, consider as the concept of social and ethic marketing. Among other names of this concept meet: ethic and social marketing (I.Berezin), public the focused social marketing (A.Teta), social the focused marketing (A.P.Pankrukhin), public marketing (V.I.Martynov). All definitions in that, or other measure emphasize social essence of the phenomenon.

Antonio Teta enters concept public the focused social marketing. He notes that using the principles public the focused marketing, it is possible to find and satisfy interests of society. Need of public orientation of marketing, according to the author, constantly increases. Impact on the organization and manifestation of interest to it amplifies from noncommercial groups such, as the government or labor unions. Antonio Teta defined two directions of development of modern marketing: first, this distribution of the initial marketing concept on social area; secondly, integration into marketing of obshchestvennointegrirovanny measurement.

Jean-Jacques Lamben gives marketing definition as the phenomena not economic, but social: "Marketing — the social process directed on satisfaction of requirements and desires of people and the organizations by providing a free competitive exchange of goods and services, of value for the buyer".

The concept of social marketing doesn't mention interdependence and communications of noncommercial and commercial activity, noncommercial and commercial components of marketing. At the same time, the concept of noncommercial marketing contains a frame of reference on the theory and methodology of social marketing. Social marketing — is a noncommercial component of marketing activity of noncommercial subjects in functional and technological sense. In ideological sense, social marketing represents a teoretiko-methodological basis of this component.

Earlier non-profit organizations refused marketing application in the activity. Meanwhile advantage of its introduction can receive: the politicians advancing the candidates on elections; the higher education institutions attracting entrants; the various governmental departments improving the image; the museums which are looking for sponsors.

Supporters of new school of social marketing (marketing of the social relations) considered that the public organizations which are carrying out market activity, can increase its efficiency, using instruments of marketing. On the other hand, opponents claimed that from application of traditional marketing and so problems suffice and it needs to be limited.

At definition of social marketing it is possible to allocate some characteristic signs:

— social marketing is considered as systematic decision-making process, on the basis of the analysis of situations and a formulation is more whole;

— social marketing is directed on the solution of social problems in society;

Radical difference of social marketing from the commercial is concluded in its specific product – social ideas which are public goods and can extend by means of market levers as exchange products. The purpose of social marketing, the aiming and an orientation of all efforts to achievement of social effect in society is.

Social marketing comprises the general and special. It is universal by the nature, and the social companies are around the world similar. However there are features in the various countries. So, problems of planning of a family and hygiene are actual for the population of developing countries. At the same time for many developed countries preservation of a physical form for people and a demarketing of cigarettes are more important.

In Georgia the social sphere was developed at the expense of redistribution of the income of production of goods to the social sphere. It included the state health system, educations, cultures, and also mass media and sports. However public financing of this system on a number of the objective reasons couldn't remain in the conditions of transition to market economy. Owing to what, business (commercial) activity in parallel with rendering free services legislatively was allowed the organizations of health care, education, culture, sports.

But management in this sphere got used to existence at the expense of budget funds and to rendering free services and isn't ready to introduction of market methods. Mass media the first learned to earn on advertizing, and this sphere was quickly expanded. However the television, a cinema and all sphere of culture still demand to itself additional resources from the budget. Gradualness in this process is important, but return to former, most likely, is already impossible.

Feature of definition of a subject of social marketing in Georgia that the subject is widespread on branch of the social sphere. Under marketing of non-profit organizations, or social marketing, often mean marketing in sports, health care, education. The valid feature of this sphere consists in simultaneous delivery of services on the paid and free basis, only conditionally competing with each other. Practice of short delivery of free service and compulsion of the consumer to her payment accepts tendentious character.

The market relations put public organizations in conditions of continuous search of means for the activity.

The market equated public organizations with their high social missions to factories and plants. Therefore those organizations which will acquire as today will survive to benefit by the new situation and, using means of social marketing, effectively to interact with the environment.

Public organizations gradually gain ability to define the place in the market, to understand inquiries of the clients, to extend own belief that promotes involvement of supporters and volunteers in their ranks.

***ნინო ლიპარტელიანი***
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი
***ნანა ახალაია***
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

# სახელმწიფო ვალის მდგრადობა და მართვა

თანამედროვე მსოფლიოში, თითქმის ყველა ქვეყანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებლად ადგილი აქვს ვალდებულებების აღებას, რომლებიც ორ კატეგორიად იყოფა - საგარეო და საშინაო ვალდებულებებად.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. სამინისტრო აწარმოებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას შიდა ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფასიანი ქაღალდების ემისია აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალი სანდოობის მქონე კაპიტალის მოზიდვის გზით. ვალის მოცულობა და მისი ფარდობითი მაჩვენებლების სტანდარტებში მოქცევა ყველა ქვეყნისთვის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ საკითხის აქტუალობა ევროზონის სავალო კრიზისმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრად მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ვალის მოცულობის 60-პროცენტიანი დონე მიიჩნევა.

ქვეყნის მდგომარეობა საგარეო დავალიანების კუთხით ითვლება არასტაბილურად, როდესაც ოფიციალური კრედიტორები (საერთაშორისო ორგანიზაციები ან სხვა სახელმწიფოების მთავრობები, სხვადასხვა დონორები) აღარ განაგრძობენ ქვეყნის მხარდაჭერას ახალი დაფინანსების მეშვეობით არსებული დეფიციტის დასაფარად, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც დავალიანების მომსახურება ზედმეტად დიდი ტვირთი ხდება ქვეყნისთვის. სახელმწიფო ვალს, საქართველო ძირითადად, ინსტიტუციური კრედიტორებისგან იღებდა, ესენი იყვნენ: სხვა ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა. შ. განვითარებული ქვეყნებისთვის სახელმწიფო ვალი იშვიათად იყოფა საშინაო და საგარეო ვალად. სამწუხაროდ, საქართველო ამგვარი ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნება. გარდა ამისა, თუ განვითარებული ქვეყნებისთვის სახელმწიფო ვალი ბიუჯეტების დეფიციტის ჯამია, საქართველოსთვის სახელმწიფო ვალის წარმოშობა განსხვავებულია. საქართველოში სახელმწიფო ვალი წარმოქმნილია როგორც ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულების ანაზღაურებისათვის (მაგალითად, სომხური ვალის ნაწილი), ან მოხმარებული ბუნებრივი აირის (თურქმენული ვალი) გადაუხდელი საფასურისგან, აგრეთვე ე.წ. სასაქონლო კრედიტის მიღებისაგან (მაგალითად, ჩინური ან თურქული კრედიტი).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს, საგარეო ვალის თვალსაზრისით, სუფთა ფურცლიდან არ დაუწყია (განსაკუთრებით რთული იყო შიდა ვალის პრობლემა, რომელიც ე.წ. სახელმწიფო შემნახველი ბანკის მეანაბრეებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობისგან ერგო მემკვიდრეობით საქართველოს). 2001 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ე.წ. „ნულოვანი ვარიანტი“, ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომლის თანახმადაც საქართველომ უარი თქვა როგორც სსრკ-ს აქტივებზე, ასევე მის ვალდებულებებზე. თუმცა ამ დროისათვის საქართველოს უკვე დიდი საკუთარი სახელმწიფო საგარეო ვალი ჰქონდა.

2010 და 2012 წლების მონაცემებთ: 2012 წლის ივნისის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი, ხანგძლივი პერიოდის შემდეგ პირველად, 0,4 პროცენტით შემცირდა, ერთი წლის წინათ ზრდა 20,7 პროცენტი იყო. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2012 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალი 4 163 829 000 აშშ დოლარია, 2011 წლის 30 ივნისს - 4 182 277 000 აშშ დოლარს შეადგენდა. 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კი, სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 3 464 795 000 აშშ დოლარი იყო, 2012 წლის 31 მაისის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი - 4 174 439 000 აშშ დოლარს შეადგენდა. მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალიდან 3 633 728 000 აშშ დოლარი მთავრობის საგარეო ვალია, 486,583 მლნ აშშ დოლარი კი - საქართველოს ეროვნული ბანკის. ეროვნული ბანკის მთლიანი ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდზე (სსფ) მოდის.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის 79%-ს. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 69% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ერთხელ უკვე გადაუვადეს სავალო ვალდებულებების მომსახურების თარიღი. მოხდა საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია პარიზის კლუბის მიერ 2004 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ამ ეტაპზე არავითარი გამოსავალი - გარდა იმისა, რომ დაიწყოს ვალდებულებების მომსახურება - არ აქვს. საგარეო ვალებთან ერთად, დიდი სისწრაფით იზრდება საქართველოს შიდა ვალდებულებებიც. წლის დასაწყისიდან სახელმწიფოს შიდა ვალის მოცულობა ერთბაშად ნახევარი მილიარდი ლარით არის გაზრდილი. შიდა ვალი კი ყოველ კვირა გამართული ფასიანი ქაღალდების აუქციონების მეშვეობით იზრდება. სახაზინო ვალდებულებების, სახაზინო ობლიგაციებისა და სახელწიფო ობლიგაციების მეშვეობით, ზუსტად წინასაარჩევნოდ შიდა ვალდებულებების მოცულობა 500 მლნ ლარით გაიზრდა. ცნობილია, რომ ევრობლიგაციების საპროცენტო

განაკვეთი წლიური 7,5%-ია და რომ 2013 წელს პროცენტებიცა და ძირითადი თანხაც ქვეყანამ აუცილებლად უნდა დაფაროს. ექსპერტების შეფასებით, წლიური 7,5 საკმაოდ მაღალი პროცენტია. 2009 წლიდან მოყოლებული, ეს 7,5% ბიუჯეტში ზის და ქვეყანა ყოველწლიურად 37,5 მილიონს იხდის.

2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4.5 მილიარდი აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალანსთან. იგი მოიცავს **სახელმწიფო** (სამთავრობო სექტორი და ეროვნული ბანკი) და **კერძო სექტორის** (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს. ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეისათვის სახელმწიფო სექტორის ვალი უფრო საგანგაშოა, ვიდრე კერძო სექტორის. „კერძო სექტორის ვალი - ძირითადად, ეს არის კომერციული ბანკების მიერ აღებული სესხი, რასაც ისინი საქმეში დებენ და მერე უკან აბრუნებენ.

საგარეო ვალის მომსახურების ნაწილში საქართველოსთვის რთული პერიოდი 2013 წელია, რადგან ქვეყანას სწორედ ამ წელს უწევს 83 მლნ აშშ დოლარის სრულად დაფარვა.საგარეო სახელმწიფო ვალის სიდიდით, საქართველო მსოფლიოში მხოლოდ 118–ე ადგილზეა. მაგალითად, უკრაინის საგარეო ვალი მშპ–ს 90 %–ია, დანიის – 196 %, ავსტრიის –212%, ჰონკონგის – 311 %, ინგლისის – 416%, ირლანდიის – 1004%, ლუქსემბურგის –3854% და ა.შ. ეს მონაცემები დიდ ვნებათაღელვას არ იწვევენ, რადგან ძირითადი ყურადღება ექცევა ქვეყნის განვითარების დონეს, მის ეკონომიკურ პოტენციალსა და მისდამი ნდობის ხარისხს. მთავარია,რომ ვალის გამცემმა იცოდეს, რომ ვალის მიმღები ქვეყანა ამ სახსრებს იმ დარგებში დააბანდებს, რომელთა მიმდინარე თუ პერსპექტიული, პირდაპირი თუ ირიბი რენტაბელობა გარანტირებულია და არავითარ შემთხვევაში არ მიმართავს ვალით აღებულ სახსრებს, პოლიტიკური პრობლემების და ხელისუფლების წარმომადგენლების პირადი ინტერესების ან კორუფციული სახის საქმიანობის სარეალიზაციოდ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საბიუჯეტო პოლიტიკა საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები. დავით ნარმანია. თბ., 2011.
2. ა.ჯიბუტი საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი. თბ., 2003.
3. საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ, 14.03.2013 წლის მდგომარეობით.
4. საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ინტერნეტრესურსები:

http://24saati.ge/index.php/category/business/2012-04-03/27356
http://ciesr.org/files/budget_policy_in_georgia_d.narmania.pdf
http://netgazeti.ge/GE/35/business/3345/
http://gyla.ge/geo/news?info=320
www.greenalt.org/webmill/data/file/sagareo - vali.pdf



***Nino Liparteliani***
Doctor of Economics, Full Professor, Gori State Teaching University
***Nana Akhalaia***
Doctor of Economics, associate professor, Gori State Teaching University


## SUSTAINABILITY AND MANAGEMENT OF NATIONAL DEBT

In contemporary world, in almost all the countries, there are cases, when for funding budget deficiency some obligations, divided into two categories – foreign and domestic obligations, take place.

Treasury obligations and treasury bonds are state securities denominated in GEL emitted by the Ministry of Finance. In order to support development of domestic financial and capital markets the Ministry emits treasury obligations and bonds. Emission of securities ensures diversification of budget funding sources attracting capital with high reliability denominated in the national currency. Debt capacity and bringing its relative index to standards is an important part of financial and economic policy for all the countries and the Euro zone debt crisis showed its urgency once more. According to the world practice the top limit of national debt towards gross domestic product is considered 60% level of debt capacity.

Situation in the country, from the point of foreign liabilities, is considered to be unstable, if official creditors (international organizations or other countries' governments, other donors) do not continue country's support to cover current deficiency as well as, in the case if liability service becomes too heavy burden for a country. Georgia used to receive national debt mainly from institutional creditors, such as: other countries' governments, International Monetary Fund, the World Bank, also from such international organizations as European Bank For Reconstruction And

Development, Asian Development Bank etc.

In developed countries debt is hardly ever divided into domestic and foreign ones. Unfortunately, Georgia is not in the list of these countries. In addition, if national debt is the sum of budget deficiencies for developed countries, the origin of government debts is different in Georgia.

In Georgia, national debt is originated not only from funding the budget deficiencies, but also from reimbursing the cost of cargoes lost in Georgia (e.g. a part of Armenian debt), or from unpaid bills for consummated natural gas (Turkmenistan debt), also from receiving so called commodity credit (e.g. Chinese or Turkish credits).

After announcement of independence, Georgia, from the point of national debt, did not start from scratch (internal debt problem was particularly complicated, which was inherited from so called Savings Bank and Cooperative Apartment Construction). In 2001 the parliament of Georgia ratified so called "Zero Option", contract between Georgia and Russian Federation according which Georgia declined the USSR assets and its liabilities, although it already had its own debt in great amounts by that time.

According to the 2010 and 2012 data: (2012 July data) during a year, for the first time after a long period Georgia's national debt was reduced by 0.4%. A year before growth had been 20.7%. According the data of Ministry of Finance, by June 30, 2012 country's national debt is $4 163 829 000, by June 30, 2011, it was $4 182 277 000 and by June 30, 2010 the national debt was $3 464 795 000. On May 31, 2012, the national debt was $4 174 439 000. From the gross of debt $3 633 728 000 is government debt and $486.583 million is National Bank's debt. National Bank's gross debt comes on International Monetary Fund.

The portfolio of Georgian national debt is 79% of gross government debt. The greatest part of this credit resource is received from multilateral and bilateral donors. 69% of national debt portfolio is credits of fixed interest rate. It is noteworthy that the date of service of debt obligations has already been postponed for Georgia. Paris Club restructured Georgia's national debt in 2004, which means that at this time, country has nothing to do but to start serving its obligations. Along with national debts, domestic liabilities are also increasing rapidly. Since the beginning of the year, domestic debt has suddenly increased by half a billion GEL. Domestic debt is increasing due to weekly held securities auctions. Through treasure liabilities, treasure bonds and government bills, the capacity of domestic obligations has increased by 500 million GEL in pre-election period. It is known that the interest rate of euro obligations is 7.3% and in 2013 the country has to cover the interest and primary sum as well. By the evaluation of experts, annual interest of 7.5% is too high. Since 2009 this 7.5% is in budget and the country is paying 37.5 million annually.

In 2008 for supporting Georgia Donors' International Conference was held in Brussels with participants and international donor organizations from more than 35 countries. Georgia has received promises about concessional financial support in total amount of $4.5 billion in order to promote the economic growth and improve competitiveness. The gross national debt statistics is harmonized with BOP. It includes the state (government and National Bank) and private sector (banking and other sectors) foreign debts. Experts claim that today government debt is more alarming than private sector debt. Private sector debt is mainly loans received by commercial banks. The credit is invested in business and is returned back.

In the part of national debt service, year of 2013 is the hardest period for Georgia because the country has to cover its debt in amount of $83 million totally. By the size of national debt, Georgia is taking only the 118$^{th}$ place worldwide. E.g. national debt of Ukraine is 90% of GDP; Denmark's debt is -196%; Austria's debt - 212%, Hong Kong's – 311%, England's – 416%, Ireland's – 1004%, Luxemburg's – 3854% etc. These data does not cause too much excitement, because the main attention is paid to the level of country's development, its economical potential and the level of trustworthy. The main point is that creditors to know beneficiary country will invest its credit in guaranteed direct or indirect, current or prospective rentable fields and the government will never use the funds for solving political problems or personal issues, or for realizing corruptible activities.

**Bibliography**:

1. Budget policy in Georgia: Problems and Trends. David Narmania, Tbilisi, 2011.
2. Georgia's National Debt. A. Jibuti, Tbilisi, 2003.
3. Law of Georgia on National Debt, by 14.03.2013 situation.
4. Georgia's State Budget in 2013.

**Other sources:**

http://24saati.ge/index.php/category/business/2012-04-03/27356
http://ciesr.org/files/budget_policy_in_georgia_d.narmania.pdf
http://netgazeti.ge/GE/35/business/3345/
http://gyla.ge/geo/news?info=320
www.greenalt.org/webmill/data/file/sagareo -vali.pdf

*ნანა ლუხუტაშვილი*
ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

# როგორ მივაღწიოთ წარმატებას-ოფისი ფენ-შუის სტილში

ფენ-შუი ცოცხალი ხელოვნება, რელიგია როდია. მისი ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. მას ჯერ კიდევ 3000 წლის წინ მიმართავდნენ.

ფენ-შუი დაოსებისა და ნატუროფილოსოფოსების ძველჩინურ ფილოსოფიურ დოქტრინებზე დაფუძნებული მეცნიერებაა. მისი დანიშნულებაა კომფორტული ცხოვრების მოწყობა საცხოვრებელი გარემოს სწორად ორგანიზებით.

ფენ-შუი არ მიეკუთვნება მხოლოდ ჩინურ კულტურას. დიდი ხნის განმავლობაში ძველ ბრძენთა ეს ცოდნა მხოლოდ ჩინელებისათვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს კი ყველას შეუძლია შეისწავლოს და მისი პრინციპები პრაქტიკაში გამოიყენოს.

ფენ-შუი ითარგმნება, როგორც "ქარი-წყალი". სახელწოდება მოდის შორეული წარსულიდან, იქიდან, როცა ადამიანი ბუნებაში მოქმედ ყველაზე ძლიერ ძალად ქარსა და წყალს მიიჩნევდა. მსუბუქი, თბილი ქარი კარგ მოსავალსა და პირუტყვისათვის უხვ საკვებს მოასწავებდა. ტბები, მდინარეები და ნაკადულები კი მაცოცხლებელ, ცხოველმყოფელ სინოტივეს აძლევს გამომშრალ ველ-მინდვრებს.

"ფენ" შეიძლება მივამსგავსოთ ენერგიის ნაკადს, რომელიც, როგორც ქარი, ვრცელდება ჩვენს თავზე, ხოლო "შუი"-წყალია, რომელიც მიწაშია და ასაზრდოებს მას.

როგორც ფენ-შუის მიმდევრები თვლიან, როდესაც გარემოცვა ჰარმონიულია, მუშაობა უკეთესობისაკენ მიდის. იმისათვის, რომ გავიგოთ, ფენ-შუის მიხედვით რა უშლის ოფისს წარმატებებისა და გამარჯვების მიღწევაში განვიხილოთ ოფისი.

თუ ოფისის ეპიცენტრში მოსახვედრად დერეფნის გავლა გვჭირდება, მაშინ მნიშვნელოვანია, შევქმნათ "მიზნისაკენ" მიმავალი მოძრაობა: დავკიდოთ, მაგალითად, სურათები დინამიური სიუჟეტებით (მოცურავე გემი, მფრინავი თვითმფრინავი, ჩანჩქერის ვარდნა და ა.შ.). თვალყური ვადევნოთ, რათა მოძრაობის მიმართულება დაემთხვეს ოფისისკენ მიმართულ გეზს. მოვსინჯოთ და იგრძნობთ, ყოველ შემომსვლელთან ერთად როგორ ძლიერდება დადებითი ენერგია.

თუკი თქვენი ოფისი სარდაფის სათავსოშია განთავსერბული, გააკეთეთ ისეთი განათება, რომელიც შექმნის ჰაერის ნაკადის მოძრაობის ილუზიას. ფენ-შუის მიხედვით, რეკომენდებულია გავანათოთ ინტერიერის ის დეტალები, რომლისკენაც გვინდა მივიზიდოთ ენერგია, კლიენტებისა და ვიზიტორების ყურადღების მისაქცევად. მაგალითად, სალაროს აპარატი, ლოგოტიპი ან ვიტრინები პროდუქციის ნიმუშებით. ოფისთან კიბეები აღჭურვეთ ფრიალო საფეხურებითა და ორმხრივი მოაჯირებით. ისინი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით შეასრულებენ დაცვით ფუნქციას. კლიენტს გაუჭირდება დადებითი გადაწყვეტილების მიღება თქვენი ფირმის სასარგებლოდ, თუკი ოფისში შესულს თავს "დაატყდება" ძალიან დაბალი ჭერი, ან მოლაპარაკებისას მასზე ჩამოწოლილი კოჭების კონსტრუქციები.

კარებისა და შირმის, გამანათებლების და მცენარეების სწორად განლაგებით ჩვენ შეგვიძლია, ენერგია მივმართოთ ისე, რომ მან ჩვენს აყვავებასა და წარმატებას შეუწყოს ხელი. იმისათვის, რომ ენერგია ფანჯრიდან გარეთ არ გაედინოს, დადგით მის გზაზე მცენარეები, შირმა ან თვალისათვის გასახარი ნებისმიერი საგანი. ოფისის შიგნით ისინი მიმართულებას შეუცვლიან ენერგეტიკულ ნაკადებს.

ორგანიზაციაში ყველაფრის თავი და თავი სამუშაო მაგიდაა. წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თქვენს ოფისში დადგმულ სამუშაო მაგიდის ზომებს. შევარჩიოთ მაგიდა, რომლის ზედაპირის ფართობი არანაკლებ 120x80 სმ-ია. გსურთ, რომ თქვენს აზრებს იზიარებდნენ?-მაშინ დაიდგით კიდევ უფრო დიდი მაგიდა, მაგალითად, ზომით 150x85 სმ.

რამდენიმე სიტყვით ვისაუბროთ ინტერიერში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტის-საოფისე მაგიდის განლაგებაზე. თუ ხელმძღვანელი ხართ, თამამად განთავსდით ოფისის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, რომელიც აღმოსავლურ ფილოსოფიაში იწოდება "მეპატრონის სექტორად" და შეუძლია, პროვოცირება გაუკეთოს ბრძნულ, სამართლიან და მომგებიან იდეებს.

არ ღირს, სამუშაო მაგიდა მოვათავსოთ ზურგით კარის ან ფანჯრისაკენ. მაგიდის ასეთი განლაგებისას ადამიანი კარგავს ენერგიას და საკუთარი ძალების რწმენას. მაგრამ, თუ სხვა ადგილის მოძებნა შეუძლებელია, ჩამოაფარეთ ფანჯარას აქელი ფარდები ან ჟალუზები. თუ ესეც ძნელად შესასრულებელია, მაშინ მაგიდაზე მოათავსეთ პატარა სარკე ისე, რომ მასში ცისფერი ცის ნაგლეჯი აირეკლოს. ეს თქვენს აზრებს მისცემს გასაქანს. საოფისე მაგიდის პირის კარისკენ დადგმით კი შეგიძლიათ, თქვენკენ მოიზიდოთ წარმატება და მატერიალური კეთილდღეობა, რადგან, ფენ-შუის სწავლებით, ადამიანები და ფული მიისწრაფის იმათკენ, ვინც პირველი ესალმება სტუმარს. უფრო საკეთილდღეოდ მიიჩნევა მაგიდის ზურგით კედლისკენ დადგმა, რადგანაც, ფენ-შუის მიხედვით, კედელი მთის სიმბოლოა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა დაცვასა და შეშველებას. არაა რეკომენდებული ღია კარადის ან თაროებისაკენ ზურგით ჯდომა. ჰორიზონტალური ზედაპირები დანის სიმბოლიზირებას ახდენენ, ისინი თქვენს ენერგეტიკულ ველში იჭრებიან და ჯანმრთელობას გიუარესებენ.

არ ღირს სამუშაო მაგიდის კიბის ახლოს დადგმაც, რადგან, ძალები, ენერგიულობა და მიზანსწრაფულობა შეიძლება ზევით ან ქვევით საფეხურებზე "გაგვექცეს".

ოფისში დეტალები ბევრს წყვეტენ! კომპიუტერი-ნებისმირი ბიზნესისათვის აუცილებელი ტექნიკაა, რომელიც როზეტიდან შთანთქავს ელექტროენერგიას და გენერირებას უკეთებს სულ სხვაგვარი ენერგიის შემოქმედებას. ამ

მძლავრი ენერგიის ნაკადის ბალანსირებისა და სწორი მიმართულების მისაცემად მაგიდაზე მოათავსეთ კაშკაშა, ხასხასა-წითელი, ლურჯი ფერის საგნები, ან მთის ბროლის კრისტალები. ისინი თქვენს აზრებს სიცხადეს მიანიჭებენ. მაგიდის ცენტრში, ფენ-შუის მიხედვით, ეს ზონა პასუხისმგებელია ცოდნაზე, კომპეტენტურობაზე, აღმაფრენასა და შთაგონებაზე, დადეთ რაიმე ნაცრისფერი, რუხი ან ლურჯი, მაგალითად, კომპიუტერის "თაგვის" ხალიჩა. ეს დაგეხმარებათ, უფრო სრულად გამოიყენოთ თქვენი შესაძლებლობები, მოზღვავებული კრეატიული ენერგია.

ტელეფონიც განსაზღვრულ ადგილას უნდა იდოს. თუ მემარჯვენე ხართ, დადეთ ის მარჯვნივ, თუ მემარცხენე-მარცხენა კუთხეში. ეს დაგეხმარებათ, მოიპოვოთ წარმატება, დაამყაროთ სასარგებლო კონტაქტები, მიაღწიოთ ფინანსურ სიძლიერეს. ნებისმიერ შემთხვევაში დადგით ტელეფონი ისე, რომ არ მოგიწიოთ ყურმილის ასაღებად მარჯვენა ხელის გადაწევა მარცხნივ და პირიქით. სხეულის გადაკვეთით ხელი ბლოკირებას უკეთებს დადებით ენერგიას.

საოფისე აქსექსუარები-ფაილები, საქაღალდეები შეარჩიეთ ხასხასა ფერის. შეეცადეთ, თავიდან მოიშოროთ მასიური "დოსიე" და საცნობარო ლიტერატურა, შეინახოთ ისინი მოშორებით, მარცხენა კუთხეში ან მაგიდის უჯრაში. ასეთი განლაგება იზიდავს წარმატებას და განაპირობებს კეთილდღეობის ზრდას.

ნებისმიერი გამოუსადეგარი ქარალდის ფურცელი მოისროლეთ ნაგვის ყუთში, რომელიც, ფენ-შუის რეკომენდაციით უნდა დავდგათ მაგიდის ქვეშ. საქმე იმაშია, რომ გამოუსადეგარი ქაღალდები იკრებს უარყოფით ენერგიას და დაუდევარ პატრონს საქმეების შეფერხებას უქადის.

სამუშაო მაგიდაზე დადგით წყლიანი ჭიქა. თუ თქვენ მას მაგიდის მარჯვენა მხარეს განათავსებთ, მაშინ ის ააქტიურებს შემოქმედებით ძალებსა და გამომგონებლობას, ხოლო მარცხენა კუთხეში-ცოდნას. მაგრამ დაიმახსოვრეთ: წყალი ყოველთვის უნდა იყოს ახალი! ნადგომი სითხე აკუმულირებას უკეთებს უარყოფით ენერგიას.

დადეთ სამუშაო მაგიდაზე ახლობლებისა და საყვარელი ადამიანების ფოტოებიც. ფენ-შუი ამტკიცებს, რომ ასე თავს არ იგრძნობთ მათგან მოწყვეტილად, შესაბამისად-ქვეცნობიერად არ იქნებით სამუშაოსადმი ნეგატიურად განწყობილი, იმის გამო, რომ იგი გაშორებთ ოჯახს.

თუ თქვენ ხშირად სარგებლობთ მისამართების წიგნით, მოათავსეთ ის მარჯვნივ, შუა ან მაგიდის ახლო ნაწილში-ე.ი. იმ ადგილას, რომელიც პასუხისმგებელია ფულის მოდინებაზე. ის მაქსიმალურ სარგებელს მოგიტანთ. და კიდევ ერთი უნივერსალური რეკომენდაცია: თქვენი, როგორც ფირმის ხელმძღვანელის, პოზიციების გასამყარებლად შეინარჩუნეთ ავტორიტეტი-როგორც საკუთარი, ისე მთლიანად ორგანიზაციისა. ფირმის ყველა ოფისში მოათავსეთ თქვენი ორგანიზაციის სიმბოლო-ლოგო. ფირმის ლოგოტიპი აუცილებლად უნდა იყოს სამუშაო მაგიდაზე, ადმინისტრატორის დგარზე, ჰოლში ან საპროცედურო კაბინეტებში.

გთავაზობთ 10 უნივერსალურ წესს, რომელთა მეშვეობითაც შეძლებთ მაქსიმალურად გაიუმჯობესოთ და მოაწყოთ საკუთარი სამუშაო ადგილი ოფისში, თქვენივე სურვილებისა და მიდრეკილებების მიხედვით:

1. დადგით მაგიდა ისე, რომ არ იყოს კაბინეტში შესასვლელის პირდაპირ
2. როდესაც სამუშაო ადგილზე ზიხართ, უნდა ხედავდეთ შესასვლელ კარს
3. არ უნდა იყოს თქვენს სკამს უკან გასასვლელი
4. დაიცავით თქვენი სამუშაო ადგილი სხვათა თვალისაგან
5. პირდაპირი სინათლე უნდა მოემართებოდეს თქვენი სამუშაო ხელისაკენ
6. დადგით ტელეფონი დომინირებული ყურის მხარეს
7. სამუშაო საგნები, ნივთები, რომლითაც თქვენ სარგებლობთ, ისეთნაირად განათავსეთ, რომ მოძრავი სავარძლით ადვილად მისწვდეთ
8. დადგით სამუშაო მაგიდაზე მცენარეების ქოთანი
9. დარწმუნდით, რომ ადგილი, სადაც თქვენი სამუშაო მაგიდაა განთავსებული, შეიძლება აუცილებლობის შემთხვევაში ურთიერთობებისათვის მოსახერხებელ ადგილად ვაქციოთ
10. სამუშაო ადგილი გქონდეთ მუდამ წესრიგში.

ერთი შეხედვით ყოველივე ეს თითქოს მიამიტობაა, მაგრამ, მართლაც დასაჯერებელი.

ამ წესების დაცვა მნიშვნელოვანია არა მარტო ესთეტიკის, არამედ ფსიქოლოგიისა და ჯანმრთელობის მხრივაც. ამასთან, თქვენ უსათუოდ იძენთ გონების სიცხადესა და სიბრძნეს, რომლებიც აუცილებელია კარიერაში წარმატების მისაღწევად.

**Nana Lukhutashvili**
Assistant-professor of Kutaisi University

## HOW TO ACHIEVE SUCCESS –IN FENG-SHUI STYLE OFFICE

**Feng-Shui** is a living art, it is not religion. Its history calculates several millennia. It was addressed as early as 3000 years ago.

Feng-Shui is an ancient Chinese science based on the Taoist philosophical doctrines and natural philosophy. Its destination is arrangement for comfortable living environment through proper organization of living space.

Feng-Shui does not belong to only Chinese culture. For a long time the knowledge of the ancient sages were available only to the Chinese, but now the situation is changing. Everyone can learn it, and anyone can apply its principles in

practice.

Feng-Shui is translated as “wind -water.” The name “Feng-Shui” comes from the ancient times, when a man was considering wind and water as most powerful forces in nature. Light, warm breeze promised a good harvest and abundant food for livestock. Lakes, rivers and streams were giving life-giving water to the fields.

“Feng” can be similar of energy flow, which as the wind is spreading over the head, and “Shui” looks like a water, which is in the ground and feeds it.

According to followers of feng-shui, when environment is harmonious, work is getting better. Let’s take a look at your office to see what prevents him attract success and good luck.

If you need to get into the center of the office through the corridor it is important to create a movement toward the “goal”: you have to hang, for example, a picture with a dynamic movement (floating ship, flying plane, waterfall drop, etc.). Pay attention to the direction of motion. It must match to the directions to the office. Try and feel how with entering individuals positive energy is becoming stronger.

If your office is located in the basement, make such Illumination, which will create the illusion of moving air currents. By the way, Feng-Shui recommends illuminate precisely those parts of the interior, to which you want to attract the energy and attention of clients and visitors; it may be a cash register, display cases with logo or product samples. Equip office with staircase railings. They will perform defensive function in direct and figurative sense. The client will not be able to obtain a positive decision on your firm’s favor, if the office’s ceiling is too low and “pressures” on him or if, during negotiations over him is hanging beam structures.

By correctly positioning the doors or screens, lamps and plants, you can direct the energy in such a way that it will contribute your prosperity and wealth. In order to avoid energy escaping through the windows, put in its way a plant or any objects pleasing the eye: they will change the direction of energy flow. Desk is the thing of great importance for the success. It is best to choose a table that has a surface not less than 120 x 80 cm. Would you like that your opinions be shared by others? Place larger table even, for example, 150 x 85 cm.

A few words about office desk: This is the most important element in the interior. If you are the boss, safely locate it in the South-West corner of the office, which is in the eastern philosophy called as “master’s sector” and in a good way able to provoke a wise, fair and profitable idea. You should not place the desk back to the door or window: in this position person loses energy and self-confidence. But if you cannot choose different location, hang thick curtain or jalousie on the window. If this condition is difficult to implement too, put on the table a small mirror so that it reflects the patch of blue sky and it will give you full play of your thoughts.

On the contrary, putting the office desk facing the door, you will be able to attract good fortune and material well-being, because feng-shui says that people and money are drawn to those who first welcomed guests. It is not recommended to sit in front of shelves. The horizontal surface is symbolic of knife,They are going into your energy field and damage health. It is considered as positive to stage table In front of the wall, because, according to Feng-Shui wall symbolizes the mountain, which provides people with protection

You should not have a table near a staircase: strength, vigor and sense of purpose at risk “escape” up or down the st airs.

Details in the office decide much! Computer - is essential to any business technique that absorbs energy from the outlet and generates power for a very different kind of creation and creativity. To balance this powerful and direct flow in the right direction, keep on the table objects of bright colors - blue, red, orange - or rock crystal, it will give clarity to your thoughts. In the center of the table (according to Feng-Shui, this area is responsible for the knowledge, expertise and inspiration) put something gray or blue, for example, a mouse pad. It helps make full use of your abilities, will provide creative energy flow. Telephone must also be in a certain location. If you are right handed, put it next to the right, if the left-handed - in the far left corner. This will help you attract good luck, make useful contacts, to achieve financial success. In any case, place the phone so that you do not have to reach for the tube with your right hand to left, with your left hand to right. Crossing the body, arm locks the positive energy.

Writing instruments and office accessories are very important too. Select the folder of bright colors, the best blue and red. Try to get rid of the massive “dossier” and reference books, and store them in the far left corner, or in a drawer-a location attract luck and promote well-being.

You have to throw any unnecessary pieces of paper immediately in the wastebasket that Feng-Shui recommends to put under the table. The fact is that unnecessary papers accumulate negative energy, ensuring a negligent landlord business stagnation.

Hold on to your desktop with a glass of clean drinking water. If you place it on the right edge of the table, it activates the creative power and ingenuity, on the left - knowledge. But remember that the water should be fresh - stagnant fluid accumulates negative energy.

Put on your desktop photos of loved ones. Feng-Shui says that so you do not feel cut off from them, and therefore will not be subconsciously resent the service, because it separates you from your family.

If you often have to use the address book, put it right in the middle of the table or near - that is the place which is responsible for the flow of money, it will bring the maximum benefit. And there is one universal recommendation. To strengthen your position as head of the firm, to support the authority (your own, and the organization's as a whole) in all offices of the firm, place your symbol logo. Company logo is sure to be present on the desktop, at the reception desk in the lobby and treatment rooms.

I offer you ten universal rules that will help maximize and furnish your workplace in the office, in accordance with your desires and inclinations.

1. Put your table so that it is not located directly opposite the entrance to the office;
2. When you are sitting at your workplace, you should be visible front door;
3. It should not be exit back your chair;
4. Protect your work area from other people's views;
5. Direct light should be directed to your working hand;
6. Put the phone on the part of the dominant ear;
7. Place a working things that you use, so easy to get them from a rotating chair;
8. Put in the workplace potted plants;
9. Make sure that the area where is your desktop, you can optionally convert it into a comfortable place to socialize.
10. Keep your work area clean.

At first glance, this seems naive, but, really it is believable.

Compliance with these rules is important not only in terms of aesthetics, but also from the point of view of psychology and health. In this case, you are sure to gain clarity of mind and the wisdom of the mind that are necessary to achieve success in the career.

***Мазарчук Андрей***
Хмельницкий национальный университет (ХНУ), Украина, к.э.н., доцент
***Белёвский Константин***
ХНУ, Украина, к.э.н., доцент
***Григорук Светлана***
ХНУ, Украина, к.п.н., доцент

## ФУНКЦИОНАЛ СОВРЕМЕННОЙ ИНТЕГРИРОВАННОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ УНИВЕРСИТЕТОМ

Система управления университетом в первую очередь должна обеспечивать качественное выполнение основной задачи любого учебного заведения – обучение студентов. На сегодняшний день уже существует целый ряд распространённых информационных систем, обеспечивающих взаимодействие преподавателя со студентом, в частности MOODLE и другие. Однако эти системы не учитывают организационную структуру каждого отдельного университета, не поддерживают национальные формы документов и отчётности, на основе которых может выполняться управление университетом в целом, и учебным процессом в частности.

**რეფორმების შედეგები.** შემცირდა ფასები სურსათზე და ენერგომატარებლებზე, საარსებო მინიმუმამდე გაიზარდა პენსია, გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი დახმარება. ყველა კატეგორიის მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სადაზღვევო პაკეტით, გაიზარდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. კოლეჯებში შემოღებულია უფასო სწავლა, სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გაიცა, სახელმწიფო საბავშვო ბაღები უფასო გახდა, ამოქმედდა ჯანმთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა და სხვა.

**პროგნოზები.** საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს დაგეგმილი იყო ეკონომიკის 6 პროცენტიანი ზრდა, თუმცა მისი ფაქტობრივად შესრულება გამორიცხულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული ოფიციალური პროგნოზის თანახმად 2013 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის დაგეგმილი 6 პროცენტიანი ზრდის ტემპის შემცირება 4 პროცენტამდე, რის მიზეზად დასახელებულია უცხოური ინვესტიციების შემოდინების შენელება, ადგილობრივი ბიზნესის პასიურობა და მისი მოლოდინის რეჟიმში ყოფნის გახანგრძლივება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არარეალისტურად მიიჩნევს გეგმიურ 6 პროცენტიან ზრდას და აფიქსირებს 4-4,5 პროცენტიანი ზრდის შესაძლებლობას.

ჩვენი პროგნოზული გაანგარიშებებით 2013 წელს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა 3 პროცენტს არ გადააჭარბებს. საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში კი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 1,5-2,0 პროცენტის ფარგლებში იქნება. ნებისმიერ ვარიანტში ქვეყანას ეკონომიკური კრიზისი, მისი კლასიკური გაგებით, არ ემუქრება. პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარება მისი ინერციული ბუნების გამო მოსალოდნელია დაიწყოს მხოლოდ 2014 წლის მეორე ნახევრიდან.

**რეკომენდაციები.** ხელისუფლებამ უფრო მეტი მიზნობრივი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ მთავარ დარგებს - სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ვაჭრობას და ტურიზმს. საჭიროა ინვესტიციური ფონდების დროულად ამოქმედება, სახელმწიფო ინვესტიციური ბანკის შექმნა, ეკონომიკაში ფულის მიწოდების გადიდება, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და რეფორმების განვითარებაში უფრო მეტი სისწრაფე და გაბედულობა. ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული ცვლილებებიდან გამომდინარე საჭიროა განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამუშაო პროგრამის შედგენა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებისაკენ, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის სწრაფად ამაღლებისაკენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. **პაპავა ვლ.,** ეკონომიკა კოჰაბიტაციას ემსხვრეპლა, ჰტტპ://წწწ.ამბები.გე/ეკონომიკა/79983-ქეკონომიკა-კოსჰასბისტასცისას-ემსსკჰვერსპლაქ.ჰტმლ
2. **მესხია ი**. არშემდგარი პოლიტიკური კოჰაბიტაციის ეკონომიკური გამოწვევები, ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2013, №2.



**Iasha Meskhia**
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Head of the Department of International Business


## GEORGIA'S ECONOMIC GROWTH UNDER POLITICAL COHABITATION

Revolutionary as well as 'rose-coloured' changes of power in Georgia have split the society into two opposing parts, the fact that is impeding the emergence of a democratic law-bound state. 'Rose government' ensured certain economic growth through applying a liberal model and strong-arm policy. SWOT analysis of social and economic impact of their reforms has revealed the following strengths and weaknesses.

*Strengths* – comparatively high rate of economic growth, increased energy security, improved state budget, simplified tax system, anti-corruption measures at lower and middle levels, stability in the banking sector, expansion of trade turnover, state support for tourism, development and rehabilitation of infrastructure, etc. *Weaknesses* – high unemployment rate, underdeveloped agriculture, rapid growth of foreign debt, highly monopolized market, lack of control of government spendings, high credit costs, adverse balance of trade, high rate of poverty, high level of corruption in top government structures, merger of large-scale business and state structures, violation of property and human rights, etc.

Economy was a hostage of the policy of the previous government. As a result, the new government inherited a lot of complex political, economic and social problems.

*Current situation*. In the period before and immediately after parliamentary elections Georgia experienced decrease of the economic growth rate: annual GDP growth rate fell from 6% to 1.7% (in the 9 months of 2013), inflation was

replaced by deflation and this had a negative impact on economic growth, budget gap is expected, foreign trade turnover has decreased, foreign investments have dwindled. Alongside with the decrease of the economic growth rate certain macroeconomic parameters have improved compared to the previous period.

According to the data of the 8 months of 2013, export has grown considerably. Growth dynamics in this field is evident in relation to the neighbouring countries as well as West European states. Indicators of export to Russia are also positive, especially since the Russian market became accessible for Georgian production. The volume of the goods exported to Russia in these 8 months has exceeded the indicators of the similar period from last year by $ 36 million.

Taking into consideration that Georgian products have successfully entered the Russian market, work on the trade agreement with the European Union has been completed, Georgian businessmen are entering foreign markets, it can be forecasted that in the nearest future adverse balance of trade will be minimized. This will be a major stimulant for the economic growth of the country. Georgia certainly has potential for this through increase of the volume of agricultural production as well as certain branches of processing industry (nitrates, ferroalloy, etc.).

Thus, in the conditions of political cohabitation the country's overall economic growth rate has slowed down, but certain macroeconomic indicators have improved as compared to the previous period.

*Reasons*: political instability and dual power, specific environment characteristic of pre-election period, prolonged 'waiting mode' for businesses and slackened entrepreneurial activity. Negative effect on economic growth is largely due to the actions of the previous government, currently representing opposition, giving priority to the party interests over the state interests on the one hand and over-cautious measures taken by the new government on the other.

*New reforms*: liberating business from state pressure, legal provision of guaranteed property rights, ranking economic priorities according to the interests of the state, reducing ineffective expenses, implementing principles of fairness and transparency, prioritizing the issues of social security, settling economic relations with neighboring states including the Russian Federation, establishing a co-investment fund and encouraging participation of local financial resources in the country's economy. The parliament has passed the "Law on Agricultural Cooperatives" which states that cooperatives will deal with production, processing, packaging and sales of agricultural products.

Small farmers who join the cooperative will become eligible for special government support programs: they are exempt from property tax until January 1, 2017 and enjoy profit tax exemption on their income, etc.

*Results of the reforms*:prices on food and energy carriers have decreased, retirement pay has been raised to reach the living wage, social benefits for vulnerable groups of population have doubled, all citizens are provided with basic insurance package, teachers' pay has increased, colleges provide free education, school textbooks are free, state nursery schools have become free of charge, state health care program has been put into operation, etc.

*Forecasts:* The government of Georgia planned 6% growth of economy for 2013, but this cannot be achieved at present. According to official projections of the National Bank of Georgia planned 6% growth will be reduced to 4% due to dwindling foreign investments, inactivity of local businesses and their operation in prolonged 'waiting mode'. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia also considers 6% growth of economy unrealistic and confirms the possibility of 4-4.5% growth.

Our predictive estimate is that GDP growth for 2013 will not exceed 3%. In the case of serious political confrontation during presidential elections indicator of economic growth will remain within 1.5-2.0%. In any case, the country does not face economic crisis in the classic interpretation of the concept. In the conditions of political stability rapid growth of economy due to its inertial character can only expected from the second half of 2014.

*Recommendations:* The government needs to provide more targeted help for the branches of economy determining its growth – agriculture, processing industry, trade and tourism. Our recommendations also include timely establishment and operation of investment funds, establishment of state investment fund, increased amount of monetary resources directed into economy, signing the free trade agreement with the European Union, ensuring political stability in the country and more rapid and daring reforms. As a result of transformations taking place in the economy and policy of the country it is essential that long-term development strategy is developed and programme of activities outlined both aiming at strengthening economic security of the country and improving the standard and quality of life of its people.

**References**

**Papava V.,** Economy - victim of cohabitation,
http://www.ambebi.ge/ekonomika/79983-qekonomika-koshasbistascisas-emsskhversplaq.html

**Meskhia I.,** Economic challenges of failed political cohabitation**,** Journal "Business and Legislation", 2013, №2.

***მარინა მეტრეველი***
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

# ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურიზმი გამოცხადებულია ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად. ტურიზმი, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის,ტურისტულირესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რაციონალური გამოყენების გზით, ეკონომიკის მაღალეფექტიანი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. იგი ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების დონის ამაღლებას-ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ მომსახურებაზე აქტიური გადახდისუნარიანი მოთხოვნა წარმოადგენს ქვეყანაში დარგის განვითარების მდგრადობის მნიშვნელოვანკრიტერიუმს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მხარდაჭერაზე. ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის განვითარების დადებითი ზემოქმედება განისაზღვრება დარგის განვითარების მდრადობით, განსაკუთრებით, გარემოს მიმართ არამომხმარებლური დამოკიდებულებით.

ტურიზმის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანია დარგის იმგვარი განვითარების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც შეიქმნება ხელსაყრელი პირობები პიროვნების განვითარების, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისა და სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად. ამასთან, უნდა განიხილებოდეს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების გარე და შიდა ფაქტორები, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესების შემზღუდველი რისკის წყაროების, პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა. შესაბამისად, სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური სისტემების განვითარების სტაბილურობისთვის აუცილებელია საფრთხის შემცველი ფაქტორების განსაზღვრა და მათი მონიტორინგი.

ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორთა ზღვრული ანუ კრიტიკული დონე პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ დანაკარგებს იწვევს ტურისტულ და მასთან დაკავშირებულ დარგებში. ნეგატიური ფაქტორების გავლენის არეალის გლობალურობისა და მასშტაბურობის გამო, დანაკარგები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დარგისა და ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგანისინი განსაზღვრავენ პროცესების ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც თან ახლავს ტურისტულ საქმიანობას, მათ შორის სახელმწიფოს, საზოგადოების, ტურისტული ბიზნესისა და პიროვნების უსაფრთხოების სხვადასხვა ფორმას.

რისკის ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს და აფერხებენ ტურიზმის დარგის განვითარებას განეკუთვნება: პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა; სოციალური უთანასწორობა, დესტინაციის მოსახლეობის უმრავლესობის სიღატაკე; ცივილიზაციების კონფლიქტები - რელიგიური და სამოქალაქო დაპირისპირებები; ბუნებრივი სტიქიური კატაკლიზმები; ტექნოგენური კატასტროფები და სატრანსპორტო საშუალებების ავარიები; ტურისტული დესტინაციების ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობა; ინფექციური დაავადებების პანდემიის საშიშროება; გასართობი და მასობრივ-სანახაობრივი ღონისძიებების ტექნიკური გაუმართაობა და ორგანიზების დაბალი დონე და ა.შ.

დესტინაციის ტერიტორიაზე ტურიზმის უსაფრთხოების გარანტიას, როგორც დარგის განვითარების პოლიტიკის ძირითადი გამტარებელი, სახელმწიფო უნდა იძლეოდეს. დესტინაციის ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს ტურისტებისა და მათი ქონების დაცვა; ქვეყნის ხელისუფლებამ საზღვარგარეთ მყოფ თავის მოქალაქეებს საჭიროების შემთხვევაში უნდა აღმოუჩინოს დაცვა და მფარველობა, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს - ეფექტურიდახმარება.

კრიმინოგენური სიტუაციები და ტურისტების უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს არა მხოლოდ ტურიზმის დარგის, არამედ მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის. დესტინაციაში სიტუაციის უკონტროლობასა და კრიმინოგენური დაძაბულობის მატებას შესაძლოა მოჰყვეს ტურისტული ნაკადების შემცირება ან დროებით შეწყვეტა.უფრო მეტიც, კრიმინოგენურ დაძაბულობას ქვეყანაში შესაძლებელია კონკრეტული დესტინაციის იზოლაცია, ტურისტული ნაკადების შეწყვეტა და სხვა ტურისტული დესტინაციის მიმართულებით მათი გადანაცვლება მოჰყვეს - ილახება დესტინაციის იმიჯი, ხოლო რეპუტაციის აღსადგენად საჭირო ხდება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ხარჯების გაღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებს განეკუთვნება: ტურიზმისთვის არახელსაყრელი ქვეყნის იმიჯი; მწვავე კრიმინოგენური მდგომარეობა ტურისტულ ცენტრებში; მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიღატაკე; ტურისტული მომსახურების დაბალი კულტურა და მაღალი ფასები; ტურიზმის სფეროში სოციალურად ორიენტირებული და განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა; ტურისტული დარგის დიფერენცირებული დაბეგვრის სფეროში მსოფლიო ქვეყნების პოზიტიური გამოცდილების არასაკმარისად გამოყენება, რასაც შედეგად მოაქვს დიდი თანხების გადინება უცხოეთის დესტინაციებში; საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისა და ტურიზმის ინდუსტრიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ეკონომიკური მექანიზმების ურთიერთშეკავშირებული ერთიანი სისტემის არარსებობა; განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მატერიალური ბაზა; ქვეყანაში ერთიანი ტურისტული წარმოების, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის - სამამულო და უცხოური ინვესტიციები მიზიდვის ეფექტური მექანიზმების, სტაბილური ეკონომიკური განვითარების, საიმედო პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების არარსებობა; ტურიზმის ინდუსტრიისთვის კადრების პროფესიული მომზადების სისტემის ნაკლებეფექტურობა; არსებული სპეციალისტების დარგის

მოთხოვნებთან შეუსაბამობა; კადრების მომზადების სისტემის არასაკმარისი მეცნიერული უზრუნველყოფა; ტურიზმის დარგის საწარმოებში ჩრდილოვანი ბრუნვის მაღალი წილი და სააღრიცხვო პოლიტიკის დაბალეფექტური მეთოდები; ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა.

სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში ტურისტული ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოება ხასიათდება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან განპირობებული შემდეგი ელემენტთა სისტემით:

1. ტურისტის ეკონომიკური უსაფრთხოება (ტურისტის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის გარანტიები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა, ტურისტთა ინფორმირება საგანგებო მდგომარეობასა და მომეტებულ საფრთხეებთან დაკავშირებით, მოგზაურ პირთა დაზღვევა და ა.შ.);
2. ტურისტული საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება (რესურსების მოხმარების ეფექტიანობის მაჩვენებლები - ფინანსური, მატერიალური, ინტელექტუალური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და საკადრო რესურსები);
3. ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოება (სასტუმრო და სატრანსპორტო ინდუსტრიის, კვების ობიექტების, გასართო-სპორტული, შემეცნებითი, საქმიანი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ტუროპერატორული კომპანიების და ტურსააგენტოების, საექსკურსიო ბიუროების და სხვა ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ტურისტული ინდუსტრიის საქმიანობის სტაბილურობასა და მდგრადობას);
4. ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოება (სოციალურ-ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური და ტექნოგენური ფაქტორების ერთობლიობა);
5. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხეობა (მშპ-ს ზრდის; მოსახლეობის ცხოვრების დონის; ინფლაციის ტემპებისა და უმუშევართა რაოდენობის; ეკონომიკის სტრუქტურის; სახელმწიფო ვალის; საწარმოების ტექნიკური მდგომარეობის, კონკურენტუნარიანობის, იმპორტზე დამოკიდებულებისა (ტურისტთა გაყავანა უცხოეთის ქვეყნებში) და ა.შ. მაჩვენებლები).

ტურიზმის ეკონომიკაში ძირითად რისკებად რჩება ქვეყნების პოლიტიკური არამდგრადობა და განვითარების პროგნოზირების არარსებობა. რისკის ფაქტორები და კრიზისული სიტუაციები ტურიზმის ეფექტიანობას ზღუდავს, რაც შესაბამის უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელსა და ეკონომიკის დარგების განვითარებაზე.

ტურიზმის ინდუსტრიაზე ზემოაღნიშნული ფაქტორების გავლენა არასაკმარისადაა შესწავლილი. მოვლენათა მოდელირება და რისკის ფაქტორთა პროგნოზირება სახელმწიფოს მიერ ტურისტული სფეროს მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფოები აყალიბებენ ეკონომიკური პოლიტიკას, მიმართულს ტურიზმის დარგის განვითარებაზე, რომელსაც შეუძლიათ ბიუჯეტის ეფექტურად და სტაბილურად შევსება, სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და სხვა სახის პრობლემების გადაჭრა.

**გამოყენებული ლიტერატურა და მასალები:**


1. მეტრეველიმ., „ტურიზმისეკონომიკა და პოლიტიკა“, თბ., 2011
2. მეტრეველიმ., „ტურიზმისბიზნესი“, თბ., 2011
3. მეტრეველიმ., „ტურიზმისტერმინთაინგლისურ-ქართულიგანმარტებითილექსიკონი“, თბ., 2006
4. Биржаков М.Б. Экономическая безопасность туристской отрасли, Санкт-Петербург, 2007
5. Всемирная Туристская Организация, «Защита и безопасность туристов: Практические меры для туристских центров», Мадрид, 1997
6. http://www.freycinet.com.au
7. http://www.iata.com
8. http://www.jus.uio.no/...warsaw.convention.1929/doc.html
9. http://www.sunsmart.org.uk/
10. http://www.who.int/en/
11. http://www.who.int/uv/publications/en/touroperators.pdf
12. http://www.unwto.org



***Marina Metreveli***
PhD, Full Professor of Business Engineering Faculty
of the Georgian Technical University


## POLICY OF ECONOMIC SECURITY OF TOURIST INDUSTRY


In many countries of the world, tourism is acknowledged as a priority branch of economy. Tourism, especially in the developing countries, is the means to achieve efficient development of economy by means of rational use of tourist resources and natural and cultural heritage. It promotes employment and improvement of the quality of life of the population, as the active sound demand for tourist services is a significant criterion of the sustainability of the country development.

Implementation of the right tourist policy in a country much depends on the support rendered by the state authority. Positive impact of the tourist development on the economy of the country is determined by the sustainability of the

branch development, particularly by non-consuming-like approach towards the environment.

The goal of the state policy in tourism development is to provide the development of the branch creating the conditions favorable for the personal development and maintenance of the social-economic and political stability of the society and state integrity. Besides, external and internal factors of the economic security of a state must be considered as an important set of the sources, conditions and factors of the risks limiting the economic interests. Accordingly, in order to ensure the stability of the development of the social and economic systems of a country, the threat-containing factors are to be specified and monitored.

Marginal or critical level of risk factors related to tourism causes direct and indirect losses in tourist and related fields. Due to the global and large-scale developmental area of the negative factors, the losses can be significant for the branch or country economy, as they define the economic security of the processes associated with tourism, including different forms of the state, society, tourist business and personal security.

Some of the risk factors causing negative economic outcomes and hampering the development of the branch of tourism are political and social instability, social imparity, poverty of the people at destinations, conflict of civilizations – religious and civic oppositions, natural calamities, technogenic catastrophes and vehicle accidents; ecological state of the tourist destinations; threat of pandemic of infectious diseases, technical faults of mass entertainment events or lack of efficient aid in case of accidents.

Crime rate and tourist security play the most important role in guaranteeing the economic security not only of the branch of tourism, but also in the development of the country. Uncontrolled situations or increased criminogenic stress at the destinations may lead to the reduced or temporarily suspended tourist currents. Moreover, crim stress in the country may cause isolation of a specific destination, suspension or movement of tourist currents to some other destination letting down the image of the destination, while significant budgetary means are needed to restore the tarnished reputation.

Following the above-mentioned, it may be said that the factors hampering the development of the branch of tourism are as follows: image of the country unfavorable for the tourist industry, high crime rate in the tourist centers, poverty of the majority of the population, poor culture of touristic service and high prices, lack of a socially oriented and development-supporting state policy, insufficient use of the positive experience of the world countries in the field of the differentiated taxation of the branch of tourism resulting in the outflow of large amounts to foreign destinations, lack of a single cohesive system of economic mechanisms needed to ensure efficient operation of legislative and normative-legal acts and tourism industry, underdeveloped tourist infrastructure, morally and physically outdated material base, lack of efficient mechanisms of united tourist production and those to ensure favorable investment climate and to attract domestic or foreign investments, stable economic development or reliable political-economic decisions, inefficient staff vocational training system in tourist industry, non-compliance of the specialists' qualification with the demands of the branch, lack of scientific security of the staff training system, high proportion of shade turnover at the tourist enterprises and low-efficient methods of account policy, lack of the system needed to ensure tourism security.

In the scientific-economic literary sources, the economic security of the tourist industry is characterized by the system of the following mutually dependant and stipulated elements:

1. tourist's economic security (guarantees for protection of the tourists' vital interests and meeting their social and economic interests, informing the tourists of the emergencies or increased threats, travelers' insurance, etc.);
2. economic security of a tourist enterprise, efficiency indicators of resource consumption (financial, material, intellectual, political-legal and personnel resources);
3. economic security of tourist industry (a set of state of hotel and vehicle industry, catering objects, entertainment, cognitive, business, curative and health-improving and tour-operating companies and tourist agencies, excursion offices and other organizations ensuring the stability and sustainability of tourist industry business);
4. economic security of the region rendering certain tourist service (a set of social-economic, geographical, political, information, ecological, technological and technogenic factors);
5. economic security of a country (indicators of DGP growth, people's quality of life, rates of inflation and unemployment, structure of economy, state debt, technical state of enterprises, competitiveness, dependence on import (taking tourists to foreign countries), etc.).

The major risks in the tourism economy are still the political instability of the countries and lack of forecasts for development. The risk factors and critical situations limit the tourism efficiency having relevant negative impact on the country's economic stability, employment index and development of the branches of economy.

Today, the impact of the above-listed factors on tourism industry is not thoroughly studied. Modeling of events and forecasting the risk factors by the state is a significant component in managing the field of tourism. Therefore, the states form economic policies oriented on the development of the branch of tourism and capable of filling the budget in an efficient and stable manner and solving the social-economic, political and other kinds of problems.

*ომარ მინდაძე*
იურიდიულ მეცნ. დოქტორი, აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

# უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), როგორც ეკონომიური დანაშაული და მისი თანამედროვე სეგმენტები

თანამედროვე ეტაპზე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და უპირველეს ყოვლისა,ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსავლისაგან.

1990 წელს ჰავანაში გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესზე შემოთავაზებულ იქნა ფულადი სახსრების გათეთრების სამუშაო განსაზღვრება,რომელიც საფინანსო ეკონომიკური კომისიის სპეციალურმა ჯგუფმა გამოიმუშავა-(GAFI).“ფულის გათეთრების პირველი მაგალითები საცნაური გახდა ინგლისელების მიერ ჩინეთიდან ინდური ოპიუმის ექსპორტთან ერთად 1870 წლის მიწურულს“ (ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიიდან).

გაერო-ს მასალებში ფულის გათეთრების საფეხურები სხვაგვარადაა წარმოდგენილი:

1. ნაღდი ფულის გადარიცხვა ცრუმაგიერი პირის ანგარიშზე.
2. ნაღდი ფულადი სახსრების რეალიზაცია ბანკის საგადასახადო დოკუმენტებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების მეშვეობით.
3. ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვა.

კრიმინალური დაჯგუფებები ლეგალურად ცდილობენ იმ ფირმების ანგარიშებზე ინტეგრირებას,რომელთაც საზღვარგარეთზე აქვთ გასვლები.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ცნობილი მკვლევერი პაოლო ბერნასკონი თვლის,რომ კაპიტალი ჯერ პატარა ქვეყნების ფინანსურ და საბანკო დაწესებულებებშიგაედინება,შემდეგ კი მათ იმ ქვეყნების პრესტიჟულ ბანკებში ათავსებან,რომელთაც მძლავრი საგადასახადო სისტემა აქვთ,მაგრამ ისე,რომ მისი რეალური მფლობელის გამოცნობა არ შეიძლებოდეს.ამ კაპიტალის მეორე ნაწილი კი ისე შეინიღბება,რომ არც კი გაივლის ოფშორული ქვეყნების ტერიტორიებს.ასეთ შემთხვევაში იყენებენ ამ ქვეყნებში იურიდიულად მოქმედ რეალურ საზოგადოებებს (ტიპიურია სხვადასხვა ოფშორული კომპანიები,რომლებსაც ანგარიშები შვეიცარიის ბანკებში აქვთ) და იმ ანონიმურ კომპანიებს და ტრასტებს,რომლებიც იურიდიული მისამართით ლა-მანშის სრუტის ან სხვა ქვეყნების კუნძულებზე მდებარეობენ.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მრავალრიცხოვანი გამოძიებები გვიჩვენებს, რა ზომამდეაა მისული უკონტროლო კაპიტალის მარაგი ოფშორულ ქვეყნებში.საუბარია რეალურად არსებულ **შავ სალაროზე,** რომელიც მრავალფეროვან საწარმოთა ჯგუფების ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებმა შექმნეს ამ ქვეყნისა და ოფშორული ქვეყნის იმ ტერიტორიაზე,სადაც თვით ეს ჯგუფი არ იმყოფება.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიცია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება) განმარტავს შემდეგნაირად: „ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა,აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს,ადგილმდებარეობის,განვითარების,მოძრაობის,ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა“.

1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ.ამავე საკითხზე მიღებულიავენის კონვენცია.ხხსენებული კონვენციები ფულის ლეგალიზაციას განმარტავენ,როგორც დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ფულის კონვენტირებას,გადაადგილებას.

უკანონო სემოსავლის მიღებების წყარო შეიძლება იყოს ნარკოტიკებით ვაჭრობა,სათამაშო და პორნობიზნესი, მექრთამეობა,უკანონო სამეწარმეო და სხვა სახის არალეგალური საქმიანობა,რომლიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზებაც ანუ კანონიერი სახის მიღებას ცდილობენ დამნაშავეები.

როგორც წარმოდგენილ ნაშრომშია ასახული დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების დიდი ნაწილი ხმარდება კრიმინალური მეწარმეობის განვითარებას,უძრავი ქონების შეძენას,ამგვარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ლეგალიზება ხდება ვალუტაზე გადაცვლითა და საზღვერგარეთ გადარიცხვით.

დანასაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები,რომელიც არეგულირებს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ფულად საკრედიტო მიმოქცევას.შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის საგანი,კერძოდ ეს არის ფულადი სახსრები ან სხვა ქონება.ფულადი სახსრები შეიძლება იყოს როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში,ხოლო ქონება-მოძრავი ან უძრავი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია „ჭუჭყიანი ფულის“ ლეგალიზაციის სამი საფეხური:

1. ფულის განთავსება (საბანკო გადარიცხვა სხვა რომელიმე ქვეყანაში),

2. მრავალჯერადი საბანკო ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში (ეს ხელს უწყობს ფულის წარმომავლობის გზის აბნევას)

3. ინტეგრირება-მოპოვებული ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება,როგორც კანონიერის.

ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია უკანონო გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის (გათეთრების) ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება როგორც დამთავრებული დანაშაული,ვინაიდან მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე.ამასთანავე,თუ კი ამ ფინანსურ ოპერაციებს ერთსა და იმავე ლეგალიზებად ახორციელებს ქონებასთან მიმართებაში ახორციელებს ერთი პირი,მაშინ ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაული.დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თუნდაც ვერ იქნეს მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.

ლეგალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის,ისე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმით.დანაშაულის ჩამდენ სუბიექტად გვევლინება პირი 14 წლის ასაკიდან, ასევე იურიდიული პირი რომლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება განაპირობა საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებულმა პრაქტიკამ,სადაც იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ანდა მის სასარგებლოდ ყველაზე ხშირია ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისა.

წარმოდგენილი სამეცნიოერო პუბლიკაციის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს მათი პროფესიონალური ცოდნის დონის ამაღლებაში,რადგან ამ ქმედების კრიმინალიზაცვია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და ,უპირველეს ყოვლისა,ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსავლისაგან,ამას მოითხოვს აგრეთვე ორგანოებიც დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები,შესაბამისად ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად პირველ რიგში სამართალსამცავი ორგანოების გვერდით ღირსეულ ადგილს უნდა იკავებდნენ ეკონომიკურ ბლოკში დასაქმებული სახელმწიფო მოხელეები.

რაც შეეხება სიახლეს,აღსანიშნავია,რომ სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შენიშვნაში კანონმდებელმა მოგვცა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განსაზღვრება,რითაც გააფართოვა პასუხისმგებლობის საზღვრები,როცა ლეგალიზაციის საგნად აღიარა უკანონო ანდა დაუსაბუთებელი ქონება,ნაცვლად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა,რომლის შინაარსის ინტერპრეტაცია რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი წარმატებით უნდა შეძლოს დარგის სპეციალისტებმა როგორც იურისტებმა ისე ეკონომისტებმა და სამართლის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულმა პირებმა.

***Omar mindadze***
Doctor of Law, Associate professor of Akaki Tsereteli State University

## THE LEGALIZATION OF ILLEGAL INCOMES (MONEY LAUNDERING) AS AN ECONOMIC CRIME AND HER MODERN SEGMENTS

The present stage of combating organized crimes aimed at protecting the interests of the economic system of the country.

The main objective of the criminal organizations receiving large incomes, large proportion their comes from the drug trade.

In 1990, in Havana in Congress of the United Nations has been offered a working definition income on of money laundering, which is have developed special groups Financial and Economic Committee (GAFI).

Experts from the United Nations - in money laundering singled out the following steps are:

1. Revenues in the financial system of stop by through the of banks or other financial institutions in the form of natural resources.

2. The second stage is connected with well-known method of separation.

3. The third step is will be the integration of proceeds from crime.

Various stages of money laundering are presented in the other materials of the United Nations:

1. Money transfers to the account of a false face.

2 Implementation of cash carried out by means of different taxation documents.

Relevant agencies, of course difficult to track the distribution of money crimes. Because is necessary to have a network of sensors of information, so-called signals, which provide accurate information about the illicit trafficking

funds.

Practical experience shows that the distribution of cash flow, mainly occurs in currency exchanges, casinos and nightclubs.

Before the criminals who laundered large sum of money, is faced with numerous problems - in particular:

1. Take all necessary measures to ensure that that the person is not able to determine the source of the money, and by whom it was distributed among the various agencies and organizations.

2. Illegal accounts of firms or of other institutions surrender of money from abroad to a country where he lives, but legally.

3. Illegal the use of bank accounts. Such a system is very widespread in the countries of Central, Eastern and South-Asia, China, India and Pakistan.

4. Setting of password system.

5. The integration of cash flows.

Criminal groups are trying to legitimately integrate on accounts of those of firms that have a relationship with the purposes in foreign countries. That contributes to, such as joint ventures.

In some foreign countries of there are banks which are not interested in the services of providing information signals of about its customers. Such a guarantee it seems that the attracts of clients. Talk to goes to offshore the banking business, which is currently considered to be highly a promising and profitable business.

Of offshore the territory above all attracts attention because of two targets:

1. Industrially developed countries as compared with a very favorable the fiscal (tax) the regime

2. The legal system that ensures confidentiality.

In countries where is strong tax system, the tax authorities are constantly study and analyze ongoing processes of in offshore zone. For example is enough mention only a few well-known territory:

1. Europe-Luxembourg, Liechtenstein, Ireland, Malta and others.

2. America - Panama and territories of the Caribbean islands (Bahamas, Bermuda, Virginia, etc.).

3. Africa - in Liberia.

Since most of these countries have developed sectors of the economy has not, their political leaders to address the accumulated economic and for social backwardness protecting secrets of the investment.

The financial system of offshore countries provide foreign by investor a lot of important advantages, which are used for criminal purposes. These advantages (gain) may be divided into two categories.

1. The first category is related to commercial activities.

2. The second category of regards the legal offenses and international cooperation.

It mainly provides protection secrets of foreign investors in the course the investigation, which conducts a foreign government and also has full responsibility for the activities related to the use of offshore companies owned by the foreign investors.

Numerous investigations by law enforcement agencies in different countries show the level at which is located uncontrolled capital in offshore countries. The Black ticket office was created and was filled over the years.

Art. 194th Criminal Code legalization of illegal proceeds (money laundering) explains as follows: „the provision of legitimate money or other property“.

November 8, 1990 in Strasbourg, members-states of the Council of Europe adopted the Convention on Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime business (Vienna Convention).

The source of illegal income may be drug trafficking, gambling and pornography, bribery, illegal business and other illegal activities, which are trying to legalize criminals.

As noted in the paper, the criminal proceeds are used for the development of criminal funds, real estate acquisition.

The direct object of the crime is the social relations that regulate economic activities in the area of monetary circulation.

It should be noted that in the world recognized three stages of the legalization of “dirty money”:

1. Transfer money to other countries;

2. Multiple transactions from one country to another;

3. Integration.

The offender is a person 14 years of age, as well as a legal entity.

As for the news, it should be noted that Article 194 of the Criminal Code, there is a note that extended the limits of liability.

***ზურაბ მუნჯიშვილი***
ეკონომიკის მეცნ. დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ასოც. პროფესორი
***ომარ ნაკაშიძე***
ფიზ.-მათემატიკის მეცნ. დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სსახელობის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

# ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სისტემა

კომპიუტერული პროგრამული სისტემით ცოდნის გამოვლენა და შეფასება სასწავლო პროცესის სრულყოფის ერთერთი გზაა. ჩვენ განვიხილავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) დანერგილი კომპიუტერული სისტემით – „კიბერ1“–ით ცოდნის, უნარ-ჩვევების გამოვლენისა და შეფასების პრობლემატიკას[1,2].

კომპიუტერული პროგრამებით ცოდნის გამოვლენისა და შეფასების საკმარისი რაოდენობის პროგრამული სისტემა არსებობს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ მაიკროსოფტის მიერ შემუშავებული და ყველასთვის გამოყენებადი დისტანციური სწავლების კომპიუტერული სისტემა მუდლი. ჩვენი მონაცემებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის გამოვლენასა და შეფასებაში გამოიყენება მუდლი და საქართველოში შემუშავებული ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სისტემები. სამწუხაროდ, შედარებითი ანალიზის მიზნებისათვის, ხელმისაწვდომ წყაროებში, მუდლის გარდა, ჩვენ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების ქართულენოვანი კომპიუტერული სისტემების შესახებ.

ბსუ–ში დანერგილი კომპიუტერული სისტემის შესაძლებლობები ძირითადად მუდლის ფუნქციონალური შესაძლებლობების ანალოგიურია. განსხვავება შემდეგია /ცხრ. 1/

| სისტემის დასახელება | ფუნქციონალური შესაძლებლობები |
|---|---|
| მუდლი | • ტესტების ბაზის შესაქმნელად საჭიროა პედაგოგთა ტრენინგი;<br>• გამოცდის მიმდინარებისას კომპიუტერის ავარიულად მწყობრიდან გამოსვლისას არ ხორციელდება წყვეტის წერტილის დამახსოვრება. ამ დროს მხოლოდ გავლილი დრო ფიქსირდება (მხოლოდ ბროუზერის მუშაობაში შექმნილ პრობლემურ სიტუაციაში), რის გამოც აუცილებელია გამოცდის თავიდან დაწყება;<br>• სისტემა ინტეგრირებული არ არის სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტებთან;<br>• სტანდარტულ კონფიგურაციაში შეუძლებელია ქართულ ენაზე დაწერილი წინადადების გაგება. |
| “კიბერ1” | • ტესტების ბაზის შესაქმნელად საჭირო არ არის პედაგოგთა ტრენინგი. საგნების მიხედვით პედაგოგი ადგენს და თვით წერს მონაცემების ბაზაში ტესტებსა და ამოცანებს. იგი ახორციელებს: აუდიო, ვიდეო, გრაფიკული ფაილების ფორმირებას და დაკავშირებას ტესტთან (ამოცანასთან), ბაზის რედაქტირებას, ტესტების რანჟირებას მარტივი და რთული ტესტების სახით, განსაზღვრავს თემების მიხედვით გასატანი ტესტებისა და ამოცანების რაოდენობას, გამოცდის ხანგრძლივობას და გადასცემს საგამოცდო ცენტრს ან თვით ადგენს, საგნების მიხედვით გამოცდის დავალების შედგენას;<br>• გამოცდის მიმდინარებისას კომპიუტერის ავარიულად მწყობრიდან გამოსვლისას ხორციელდება წყვეტის წერტილის და დროის დამახსოვრება,ამიტომ გამოცდა გრძელდება წყვეტის ადგილიდან გამოცდისათვის დარჩენილი დროის გათვალისწინებით;<br>• სისტემა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის სხვა ფუნქციონალურ ბლოკებთან. |

კომპიუტერული პროგრამებით ცოდნის გამოვლენა და შეფასება ეფექტურია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სხვა მეთოდებთან ერთად. არც ერთი ძალზე დახვეწილი კომპიუტერული სისტემითაც ჯერჯერობით შეუძლებელია შემოქმედებითი უნარის გამოვლენა.

კომპიუტერული სისტემით ცოდნის გამოვლენა და შეფასება შეფასებათა სისტემის ერთ-ერთი მდგენელია. კომპიუტერული სისტემის შემოქმედებითი გამოყენების მაგალითია ბსუ. აქ კომპიუტერული სისტემით შეფასებაზე 60% მოდის, ხოლო 40% კი - ტრადიციული მეთოდებით შეფასებაზე. კომპიუტერული სისტემით შეფასების მდგენელი - 60%–70% შემდეგნაირად ნაწილდება: 20%–30% ორ შუალედურ გამოცდაზე, ხოლო 40% - დასკვნით გამოცდაზე. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდა კომბინირებულია: საშუალოდ 20% - კომპიუტერული სისტემით, ხოლო დანარჩენი 20% კი - ტრადიციული მეთოდით.

ბსუ–ში 2011 წლის შემოდგომიდან შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდება კომპიუტერული სისტემით – კიბერ1–ით.

კომპიუტერული სისტემით – კიბერ1–ით, გამოცდების ჩატარების საფუძველი დახურული და ღია ტესტების, ზოგადად ტესტების, ბაზაა. ტესტები ადეკვატურად უნდა ასახავდეს საგნის არსსა და შინაარსს. დახურულს ვუწოდებთ ისეთ ტესტს, სადაც N რაოდენობის სავარაუდო პასუხებიდან ამორჩეულ უნდა იქნეს ერთი ან ერთზე მეტი სწორი პასუხი. ღიას ვუწოდებთ ისეთ ტესტებს, სადაც დასმულ კითხვაზე პასუხი(ები) დაწერილი უნდა იყოს. პასუხი(ები) შეიძლება იყოს გაანგარიშების შედეგი, დასახელებითი წინადადება წარმოდგენილი სიტყვების (სიტყვათა ფორმების), რიცხვების ერთობლიობის სახით. წინადადებაში რიცხვები შეიძლება იყოს ბუღალტრულ ანგარიშგებათა სისტემის ანგარიშის ნომერი, სამეურნეო ოპერაციის მნიშვნელობა და სხვა. წინადადების დაწერისას

შესაძლებელი უნდა იყოს სიტყვის მცდარი ვარიანტების, აბრევიატურის, სიტყვათა ფორმების გამოყენება. სიტყვების დაწერა ნებადართულ უნდა იყოს განსხვავებული ალფაბეტით.

ტესტების შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები სპეციალურ ლიტერატურაში დეტალურადაა განხილული[3].

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ღია ტესტების წილი შეიძლება 100%-ს უახლოვდებოდეს, როგორიცაა მაგალითად, საგნები - უცხო ენა, ენის მეტყველების კულტურა.

ბსუ–ში დანერგილი პროგრამული სისტემა საშუალებას იძლევა:

- შუალედური და დასკვნითი გამოცდა, ერთდროულად ჩატარებულ იქნეს სტუდენტთა დიდ „მასასთან“ , სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში;
- გამოცდები ჩატარდეს საგანში, მხოლოდ მითითებული სპეციალობის სტუდენტებთან.
- დახურულ ტესტებში შვიდი სავარაუდო პასუხიდან მაქსიმუმ სამი სწორი პასუხის ამორჩევა;
- ღია ტესტებში დასმულ ამოცანაზე მაქსიმუმ 30 სწორი პასუხის ჩაწერა (ჩასაწერი სწორი პასუხების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს);
- ნებისმიერი ტესტის ილუსტრირება ან ამოცანის (კითხვის) დასმა გრაფიკული ან ვიდეო- ინფორმაციით. Bბსუ-ში უცხოელი სტუდენტებისათვის მოსამზადებელ განყოფილებაში საგნებში: ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა, ქართული ენის მეტყველების კულტურა გამოცდები შეკითხვის დასმა აუდი პლეერის გამოყენებით ხორციელდება. სტუდენტი ისმენს ქართულად სიტყვას, წინადადებას. მან სავარაუდო პასუხებიდან უნდა მონიშნოს ან ჩაწეროს, მაგალითად თურქულ ენაზე, მოსმენილი სიტყვა, წინადადება;
- არასწორი პასუხის დაწერისას სწორი პასუხების გამოტანა ან გამოტანის აკრძალვა;
- შეცდომით დაწერილ სიტყვასა და წინადადებაში სიტყვის (ების), ასოების გამოტოვებისას გამაფრთხილებელი შეტყობინების გამოტანა,კერძოდ,პირველი - პასუხში გამოყენებულია სისტემისთვის უცნობი სიტყვა. მაგ., სიტყვა დებეტის ნაცვლად სტუდენტმა დაწერა სიტყვა <ანალიზი>, მეორე- პასუხის ველებიდან მხოლოდ ნაწილია შევსებული. პირველ შემთხვევაში სისტემა ითხოვს დაზუსტებას, მეორეში კი – ეკითხება სურს თუ არა სტუდენტს პასუხი გასცეს დანარჩენ კითხვებს. სწორად გაცემისას სტუდენტს ემატება ქულა, არასწორად გაცემისას კი - გამოიტანება პასუხის სწორი ვარიანტი;
- პასუხის დაწერა ქართული ან ლათინური ალფაბეტით;
- ერთდროულად N რაოდენობის საგანზე სხვადასვა ენაზე (ქართული, ინგლისური, თურქული და სხვა) გამოცდის ჩატარება:
- პასუხის დაწერისას სიტყვათა ფორმების, სიტყვის შესაძლო მცდარი ვარიანტების, აბრევიატურის გამოყენება;
- დასმულ შეკითხვაზე, ამოცანაზე ერთზე მეტი სწორი პასუხის არსებობისას შეფასება ნაწილობრივი შეფასების ან სრული შეფასების პრინციპით;
- მარტივ და რთულ ტესტებში ქულების წილობრივი დაფიქსირება;
- თემების მიხედვით გამოცდის დავალების ფორმირება საგნებისა და სპეციალობების მიხედვით;
- მოცემულ დღეს გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტთა სიის დაბეჭდვა;
- გამოცდის დაწყებისას ყოველი სტუდენტისათვის დავალების მიხედვით ტესტების ალბათურად ამორჩევა;
- დახურულ ტესტებში სავარაუდო პასუხების ალბათურად გადალაგება;
- გამოცდის დამთავრების შემდეგ სტუდენტის მიერ გამოცდის ოქმის დათვალიერება;
- სისტემატიურად განხორციელდეს ტესტების ბაზის განახლება;
- გამოკითხვის შედეგების ავტომატურად შემოწმების გზით მნიშვნელოვნად შემცირებულ იქნეს გამოკითხვისათვის განკუთვნილი დროის ხანგძლივობა;
- გამოცდების მიმდინარეობის პარალელურად განხილულ იქნეს გამოკითხულთა პრეტენზიები, ნაშრომების ხელახლა გადამოწმების გზით;
- ვაწარმოოთ ელექტრონული ჟურნალი;
- ვაწარმოოთ ელექტრონული უწყისები, საგნებში შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებული ქულებით, ასევე სემესტრში ჯგუფის სტუდენტთა საბოლოო შედეგების მიხედვით;

კომპიუტერული სისტემით – კიბერ1–ით.

2012/2013 ს/წ გამოცდები ჩატარდა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე 81 საგანში. ტესტების დაახლოებით 70% იყო ღიაა, ხოლო დანარჩენი კი – დახურული/ცხრ.2/

აუდიო შეკითხვების შემცველი ტესტები გამოყენებული იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის ფლობის დონის შესამოწმებლად საგნებში „ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები“ და „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები“.

ცხრილი 2

| № | ფაკულტეტი | 2012/2013 ს/წ. | |
|---|---|---|---|
| | | I სემესტრი (80 საგანი) | II სემესტრი (81 საგანი) |
| 1 | განათლებისა და მეცნიერების | 2596 | 1395 |
| 2 | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | 1228 | 790 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის | 213 | 137 |
| 4 | საინჟინრო ტექნოლოგიების | 204 | 77 |
| 5 | ტურიზმის | 626 | 435 |
| | სულ | 4867 | 2834 |

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონულ სისტემაში ცენტრალური ადგილი ინფორმაციის დაცვას უჭირავს. ხორციელდება მონაცემების ბაზის დაცვა ტექნიკურ, პროგრამულ, სისტემურ დონეზე. სპეციალური ალგორითმებით წარმოებს ბაზის შიფრაცია.

"კიბერ1" რეალიზებულია კლიენტ - სერვერული ტექნოლოგიით. მონაცემთა ბაზა ორგანიზებულია Microsoft SQL server2008–ზე Windows Server 2008-ის პლატფორმაზე. კლიენტის ნაწილი რეალიზებულია Access 2007/2010. კლიენტის ნაწილში რეალიზებულია Office-s დანართებს შორის ავტომატიზაციის ტექნოლოგია. კლიენტის პროგრამული გარემო დაწერილია ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენაზე VBA.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ზ. მუნჯიშვილი, თ. მუნჯიშვილი, ა. მელაძე. ცოდნის გამოვლენის ელექტრონული სისტემა. საქპატენტი, საავტორო მოწმობა №5222. 2012წ.
2. Мунджишвили 3. Мунджишвили Т. Меладзе А. Система электронного планирования и управления учебным процессом. Труды северно-западного политехнического института. 5 стр. Изд-во СЗТУ. Санкт-Петербург. 2011
3. Челышкова М.Б. Теория и практика конструирования педагогических тестов: учевное пособиею М. : Логос, 2002. – 202 с.



**Zurab Munjishvili**
TSU, Doctor of Economical science, Associated Professor
**Omar Nakashidze**
BSU, Doctor of physics and Mathematical science, Associated Professor


System of revealing and evaluating knowledge

Revealing and evaluating knowledge of computer programming system is one of the way for perfection of educational process. We are discussing knowledge of computer system "cyber1", revealing skills and evaluation problems at Shota Rustaveli state university. [1.2]

There is no enough amount of programming system for Revealing and evaluating knowledge of computer programming. For example, we can name computer system "moodle" – created by Microsoft, useful for everyone, for distance teaching. By our data, in Revealing and evaluating knowledge at Universities of Georgia are used Moodle and created in Georgia Revealing and evaluating knowledge of computer programming system. Unfortunately, for goals of comparing analysis, in accessible sources, except of moodle we couldn't find any information about Revealing and evaluating knowledge of computer programming system in Georgian.

Possibilities of computer system, implanted in BSU, basically, are analogical to Moodle's functional abilities. There are differences /table 1/

| Name of system | Functional possibilities |
|---|---|
| Moodle | 1. For creating of test basis is needed pedagogues training.<br>2. During the exams, in case of computer's emergency defect there is no Implemented remembering of break point. In this time is fixed only passed time (only in problematic situation created during the browsers work) that's why it's necessary to start exam over.<br>3. System is not integrated with other components of learning process.<br>4. In standard configuration it's impossible to understand sentences written in Georgian language. |
| Cyber1 | 1. For creating of test basis is a not required pedagogue training. According to subjects pedagogue creates and writes tests and tasks in database. Pedagogue implements: Formation and connection to the text of Audio, Video or graphical files, redaction of basis, sorting tests by its difficulties, defines amount of tasks and tests according to topics, defines duration of exams and gives to the examination center or sets by himself how to create tasks by the subjects<br>2. During the exams, in case of computer's emergency defect there is Implemented remembering of break point and time. That's why exam continues from the break point considering by remaining time.<br>3. The system is combined with other components of process of training. |

შეიძლება ყურადღება გამახვილდეს გადასახადის ფულად და მიგებით ფორმაზე. კომისიის და "მლზნ"-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით ეხმარებიან პიროვნებას ისეთ სავალდებულო საქმეში, რასაც ჰქვია მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზება. **"ათხოვებენ დღესასწაულის დროს მლზნ-ის დალოცვის საფუძველზე შემოსულ თანხას. შესაბამისად, მოცემული პიროვნებას, მთლიანად ოჯახს ექმნება ზუსტად ანალოგიური ხასიათის ვალდებულება და მხმარეთა მიმართ, რომ გაისტუმროს თანხა. რა თქმა უნდა, ასეთ ვალდებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, პიროვნება ვალდებულად თვლის თავს, ახლობლებში შერცხვენის, თუ მომავალში ასეთი დახმარების ვერ მიღების შიშით"** (მთხრობელი თემურ ლობჟანიძე). საქართველოს მთაში დღესაც არსებობს ტერიტორიულ-სამეზობლო თემი და მას არაფერი აქვს საერთო პირველყოფილ საზოგადოებასთან. სოფელთა გაერთიანებას, ერთ გვარს, ან გვარის განაყოფს (დღეს სვნეთში "ლამხუბი", "მოგვარ"/განაყოფი იგივე თემია), თემის წევრების მიერ არჩეული, ასაკით და შესაბამისად გონიერებით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობით, წეს-ტრადიციების დამცველობით, ქართულის სიყვარულით გამორჩეული მახვში (ხევისბერი, ხუცესი, ხუცი) ჰყავდა. იგი იყო სასულიერო ხელისუფალიც. თემთა გაერთიანებულ შეკრებაზე, ხევის ყრილობაზე სვანეთში გაერთიანებული თემების ხევისბერთან ერთად ირჩეოდა თემის საჭირბოროტო საკითხები: ცხოვრების სტრატეგია, საზღვრების საკითხები, ეკლესიების, ხატმსახურების (მაგ., ხატის მიწებზე მოწეული მოსავლის დღესასწაულებისთვის გამოყენების და ა.შ) მომენტები, გზათა მშენებლობის საკითხები, იურიდიული, ჩვეულებითი სამართლის საკითხები, სასჯელის ფორმები: **"პატივისცემა და რიდი იყო. იცოდი, რომ ყველა გადწყვეტილება შენთვის სასიკეთო იყო.** სვანეთში ყოველგვარი უბრალო, თუ სასისხლო საქმე ადგილობრივ სასამართლოში მორვალის (მსაჯულ-მედიატორის) მეთავეობით განიხილებოდა. აირჩევდნენ ორივე მოდავე მხრიდან, ვისაც შეეძლო სამართლიანად გადაეწყვიტა. **"ისინი განაჩენის გამოტანამდე თხოვდნენ ღმერთს, რომ მიეცა მათთვის სწორი განაჩენის დაყენების უნარი. დამნაშავე მხარე გადაუხდიდა დაზარალებულ მხარეს იმ საფასურს, რასაც დაუდგენდნენ. მართალია ეს სრულიკომპენსაცია არ იყო, მაგრამ ფინანსური მხარეც უუმჯობესდებოდა დაზარალებულს და ემორჩილებოდა განაჩენს".** მთაგორიან საქართველოში მოწეული პროდუქტები მცირე და მწირი იყო. ამიტომ, **"ცხოვრების უკეთესი პირობების მოწყობისთვის, ოჯახის და სტუმარ-მასპინძლის პატივისთვის"** საქართველოს მთისა და მთისწინეთის მკვიდრნი (სვანები და რაჭველ-ლეჩხუმლები) თესვას და დათესილის მოვლას მორჩებოდნენ და გარე სამუშაოებზე ("ფიზიკურად შემძლე სვანის ფასიც უფრო ძვირი იყო ვიდრე სხვებისა" - აღნიშნავენ მთხრობელები) დადიოდნენ. დამქირავებლის ძირითადი ინტერესი ფიზიკურად ძლიერი და მაღალი შრომის ნაყოფიერების მქონე მუშახელი იყო, ხოლო დაქირავებულის მოტივაცია - ფულადი შემოსავლის მიღება. ამინდის ხშირი ჭირვეულობისდაცვალებადობის გამო საჭირო იყო გადარჩენილი მოსავლის დროულად აღება. ეს იყო მიზეზი გავრცელებული შრომის კოოპერაციის მეთოდისა - **წადის.** შრომის ბაზრის განუვითარებლობის პირობებში საუკეთესო გამოსავალი იყო **„გაცვლა" -** შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ეფექტიანობის ამაღლების ერთგვარი საშუალება, **ავანსი,** რომელიც იმავე ფორმით ეტაპობრივ გასტუმრებას საჭიროებდა: **"ოჯახს ეხმარებოდნენ ანაზღაურების გარეშე, სამაგიერო დახმარების იმედით. სვანეთში, ლინდი (მამითადი) გამოიყენებოდა ერთი ოჯახის შესაძლებლობების ფარგლებს აღმატებული ქვის სახლებისა და კოშკების აშენების დროსაც**".საქართველოს ყველა რეგიონში უნდა მიექცეს ყურადღება ტურიზმის განვითარებას, თუმცა ვფიქრობთ, რომ ტურისტული პროდუქტისთვის ისტორიული იერ-სახის შეცვლა და თანამედროვე ტექნოლოგიების მასში შერევა არც თუ სასურველ შედეგს გამოიღებს. ვფიქრობთ ყველა განხილული და სხვა უამრავი საკითხის ჩვენს მიერ შემოთავაზებული კუთხით შესწავლა, საშუალებას მოგცემს გავაანალიზოთ ეთნოსის სამეურნეო და ეკონომიკური მდგომარეობა, საქმიანობის პრობლემები როგორც წარსულში, ისე თანამედროვე პირობებში, შევაფასოთ ტრადიციულ სამეურნეო ყოფასა და წეს-რიტუალებზე ეკონომიკის ზემოქმედების ხარისხი.

***David Shavianidze***
Ph.D. in History, Associate professor of Akaki Tsereteli State University
***Niko Chikhladze***
Doctor of Economics, Doctor of Theology, Full Professor of Kutaisi University

## THE FINANCIAL-ECONOMICAL BASIS OF THE GEORGIAN CUSTOMS
(Based on the ethnographic material)

Latest material gained from the Georgian communities and the observation on Georgian customs makes it clear that personal relationship, personal features and also social rights and condition have undergone some kind of changes.

The ideological and theoretical basis to conduct agricultural activities in Georgia was the Holy Scripture and how to lead the agricultural work was based on it. The latest was considered to be the science about the honest work, to lead the household and in general, the national thrift (economy) with the own strength, to work with love and support on the basis of Christian doctrine. Though, monotheistic Christianity was preceded by the period of faith to influence on nature by the magic way, when people with the help of magic rituals twice a year in spring and autumn perform religious ceremonies and spells to achieve their goals. In the mountainous regions of Georgia there are still some rituals to protect crops and increase productivity.

Among such kind of rituals we can name Thursday of Easter week (Holy Thursday) ritual in Svaneti – "tanpatsaash", that protects the family from the evil eye, it serves to clean and renew the family. Preparations for harvesting started immediately from the early spring. In Svaneti, "lamproba" was celebrated in February on a fixed day. "Lampari" it

was a bunch of a birch tree. The first "Luminari" (lampari) was done in the name of St. Mary the guardian deity of crop capacity, the second one in the name of St. George to protect the man's power and the third one to please the year to be peaceful and plentiful. For this holiday a special pie "lemzirebi" are baked.

In Samegrelo (Megrelia), in order to overcome the illness and ailment and a healthy man to have the opportunity of work and have a lot of harvest, the did not use to work on the land on Saturdays; The prayer "Gimatua" performed in October for the name of the God of places in Samegrelo and "Kolokroba" performed in the upper part of Racha had the same sense.

The similar holiday was and is still celebrated in the mountainous part of Achara "Shuamtoba": This is the middle period of the holiday. On this day we thank God that our life in is fruitful, nature helps us and we have plenty of meat and products. We'll continue to pray to have the abundant future. Rituals like this are known throughout Georgia.

The same can be said about the faith of the full moon phase. As the residents of Okriba, the province in Imereti, say: "I don't know exactly, but according to the observation everything- sowing, harvesting, vintage, keeping products for winter – should be done during the full moon phase not to be spoilt and to be kept throughout the winter. Timber should be cut during the old moon phase to endure and not to be replaced soon. The wedding ceremony also took place during this period to have the good descendants.

Thus, our ancestors knew (though they could not explain), that there exists to be 'desired' and "undesirable" periods in agriculture and it was vital to follow them. It also indicates that there is some kind of divine power of dependence and obedience, and an individual can't neglect everything and everything is from God. The activities liked by God are in return for guarantee.

It is known that in all parts of Georgia except Khevsureti existed big families. It was due to the natural-geographic conditions of the farm. "Big farm needs a lot of manpower. Well kept farm was the basis of a good life and income." This type of families were till the late period of the XIXth century even in those regions where the residents by converted into Moslems force were and were exiled to the Moslem republics of the Soviet union.

Unmarried woman in the family had her share of the land. If she got married not far from the family her share was given or the new land was bought for her. These kind of big families were acceptable for Georgians, as the taxes were very hard for them to pay.

There no longer exists foreman (khevisberi). Though, material gain in Lashkheti proves that there exists a group of 3-4 men and they deal with the problems of community. They solve the problems of the village. When the government funded the village, they give instructions how to spend it. If the officials do not obey them then the whole community opposes. Thus, this is actually a form of local self-government, which is responsible for local needs; this institution serves as the board's representative (called the trustee) function. It is worth noting that in the last years the government carried out State Rural Support Program. The program in its essence implies the various needs of the local population and society's involvement to solve them. The research of the work of the given institution has proved that like the rest of Georgia, a lot of customs and rituals have economical and financial basis. With the committee's decision a person is helped in a range of cases for example to organize funeral.

In the mountainous part of Georgia there still exists territorial – neighboring Community and it has nothing in common with the primitive society. The union of villages and families had a foreman elected by the members of community distinguished from others by his age and intelligence, fairness and impartiality, was tradition protector and devoted to Georgian language. At the community meetings in Svaneti together with the foreman the issues of the community were discussed: the strategy of life, the issues of borders, churches, building the roads, legal points and the forms of punishment: "There was respect and esteem. One knew that every decision was for your benefit." Every point, either simple or difficult was discussed by the local judge-mediator. They were chosen from the both sides. "Before making any decision they begged God for help in making the right verdict. The side, pleaded guilty, had to pay the victim the stated charge. It did not mean the full compensation, but the victim's financial condition was improved and he obeyed the verdict." The harvested crops in the mountainous part of Georgia was little and not enough. So "to create better living conditions, to respect family and guests" the residents of mountain (people from Svaneti and Racha-lechkhumi) while finishing the sowing and other agricultural works they used to go outside to work somewhere else (it is said that "A man from Svaneti in a good physical form was worth more than any other"). Main interest of the employer was to have physically strong and efficient employees, but the motivation of the employee was the financial income. Because of the changeable weather it was necessary to harvest crops in time. It was the reason of the spread working cooperative method – Nadi. As the working market was not developed the best way out was "**exchange**" – one of the ways to increase the working productivity and efficiency,

**Payment on account**, which needed to be paid time by time. The development of tourism should be paid attention in every region of Georgia, though we think that changing the historical exterior and mixing modern technologies in it won't be successful. We think that all the discussed issues from our point of view will help us to analyse agricultural and economic conditions of ethnos, problem in the past and nowadays, evaluate the effect of economy on economic conditions and customs and rituals.

*მანანა შალამბერიძე*
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

# საკომუნიკაციო სამსახურის როლი ფერმერული მეურნეობების მართვაში

საქართველოში კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მთლიანად მოიშალა სოფლის მეურნეობის მომსახურების სისტემა. ფერმერული მეურნეობის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო არის კომუნიკაციის სისტემის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ფერმერული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. რის საუძველზეც ფერმერები მიიღებებენ სწორ გადაწყვეტილებებს, რაც აისახება მათი საქმიანობის შედეგებზე. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ ამერიკელ ფერმერთა 73%, ინგლისელ ფერმერთა 63% და იაპონელ ფერმერთა 85% თვლის რომ, ორგანიზაციებში პრობლემათა წარმოქმნის მთავარი მიზეზი სწორედ არა ეფექტიანი კომუნიკაციაა. როცა საუბარია კომუნიკაციაზე, მხედველობაშია ადამიანები, რომლებიც საუბრობენ ერთმანეთთან სხვადასხვა საშუალებებით, ადგენენ ანგარიშებს. კომუნიკაციები რთული და ყველგან შემღწევი პროცესია, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მეურნეობის მართვის ეფექტიანობა.

თანამედროვე პირობებში ადგილი აქვს ინფორმაციის მოცულობის განუწყვეტელ ზრდას, რაც, ერთი მხრივ, ართულებს ფერმერული მეურნეობის მართვას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის მოთხოვნებს მის მიმართ. ამიტომ ფერმერული მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები ვალდებულნი არიან სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციასთან დაკავშირებული მუშაობის მეცნიერულ საფუძვლებს, რომლებიც მათი საქმიანობისათვის ერთ- ერთი მთავარი პირობაა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მართვის თითოეული ორგანო წარმოადგენს საკომუნიკაციო ქსელს, სადაც ერთმანეთს კვეთს სხვადასხვა წყაროდან მიღებული და სხვადასხვა მისამართით გაგზავნილი ინფორმაციის უამრავი ნაკადი, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაარსის, ინტენსიობის, გადაცემისა და მიღების დროის რეჟიმის მიხედვით. ფერმერული მეურნეობის მართვის ორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული აღნიშნულ მახასიათებლებზე, რომელთა გამორკვევა მისი გათვალისწინებით მართვის სტრუქტურის აგებას და ფუნქციების განაწილებას წარმოადგენს მართვის სისტემაში ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ორგანიზაციის შესწავლის მიზნით.

ფერმერული მეურნეობის მართვა დიდი რაოდენობით ინფორმაციას საჭიროებს. არსებობს ინფორმაციის ორი ნაკადი: ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით. ორივე ნაკადი შეიძლება იყოს გარე და შიდა. გარე ინფორმაცია ძირითადად ეხება მეცნიერებას, პარტნიორებს, ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობას და ა.შ.

ინფორმაციის გარე წყარო მოიცავს სახელმწიფო და კერძო ფირმებს, სააგენტოებს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს და ა.შ., რომელთა მეშვეობითაც ფერმერები საქმიან ოპერაციებს ახორციელებენ მეურენობების მართვის პროცესში. ისინი იყენებენ ინფორმაციის შემდეგ სახეებს.

1. ინფორმაციის ხასიათით - დოკუმენტირებული და არადოკუმენტირებული;
2. დამუშავების ხარისხით - პირველადი და მეორადი;
3. მოძრაობის მიმართულებით - შემოსული და გასული;
4. პერიოდულობის მიხედვით - პერიოდული და ერთჯერადი;
5. სტაბილურობის მიხედვით - მუდმივი და ცვლადი;
6. წარმოდგენის ფორმით - წერილობითი, ციფრული, კოდირებული;
7. საიმედობის მიხედვით - სარწმუნო, არასარწმუნო.

ფერმერული მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს ძირითადად საქმე აქვთ სამი სახის ინფორმაციასთან: ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურთან.

ფერმერი კარგად უნდა ერკვეოდეს ეკონომიკურ კანონებში, რისთვისაც ძალზე დიდი მოცულობის ინფორმაცია და საფუძვლიანი პროფესიული განათლება არის საჭირო. რაც უფრო მაღალია ფერმერის განათლების დონე, მით უფრო მეტია მიღებული ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა. საერთოდ, ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია ყველა ფერმერისათვის, მიუხედავად მათი განათლების დონისა.

შესაძლოა ფერმერმა არ იცოდეს ყველა იმ კულტურის მოთხოვნა მინერალური სასუქების მიმართ, რომელიც მას მოჰყავს. ფასები არ არის მუდმივი, ამიტომ სეზონის დასაწყისში ფერმერმა საჭიროა მიიღოს კონსულტაცია და რეკომენდაციები ფერმერთა სახლებში. რადგან ინფორმაციის ნაკლებობა ამა თუ იმ კანონის გამოყენების დროს უარყოფით შედეგს გამოიწვევს, აუცილებელია, ყველა ფერმერულ მეურნეობაში შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მოიძიებს, შეინახავს, და საჭიროების შემთხვევაში გააანალიზებს საჭირო ინფორმაციებს.

სწორედ ამიტომ ფერმერული მეურნეობების მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება საკომუნიკაციო ცენტრების შექმნას, რომელთა ძირითადი მიზანია:

1. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე ერთიანი საინფორმაციო გარემოს, როგორც ურთიერთობის

ფორმის ჩამოყალიბება პროდუქციის მწარმოებლებს, მეცნიერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის;

2. ახალი მეცნიერული მიღწევების დანერგვა;

3. ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის კონსოლიდირება წარმოების გადამუშავების და მზა პროდუქციის რეალიზაციის უწყვეტ პროცესში.

საქართველოში საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა ორ ათეულ წელსაც არ ითვლის და მისი საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების შეკრება და გადამუშავება მეცნიერულ ტექნოლოგიებად.

ფერმერთა სწავლება შექმნილია, როგორც ერთიანი სისტემა თეორიული სწავლებიდან პრაქტიკულ დახმარებამდე. ფერმერები აძლევენ შეკვეთას ინსტრუქტორებს და სამეცნიერო-კვლევითორ განიზაციებს. ხოლო მეცნიერულ დონეზე დამუშავებულ საკითხებს ინსტრუქტორები ასწავლიან შემკვეთებს.

2012 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს მასშტაბით 54 მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები შექმნა, რომელთა ჩამოყალიბების მთავარი მიზანია მაშტაბური პროგრამების განხორციელება, ფერმერებისათვის უფასო კონსულტაციების გაწევა. ამის საფუძველზე ფერმერი ვალდებულია იფიქროს არა მარტო საკუთარ სარგებელზე, არამედ სხვა ადამიანების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ამისათვის საჭიროა თანამედროვე კომუნიკაციების დანერგვა და მათი ეფექტური გამოყენება.

***Manana Shalamberidze***
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

## THE ROLE OF COMMUNICATION IN THE MANAGEMENT OF FARMING

Georgia is in private ownership and the market economy, the collapse of the agricultural system. Communication system is required for the efficient management of the farm use of new technologies, which are essential to effective functioning of the farm. Farmers will make the right decisions on the basis of which is reflected in the results of their work. Materials obtained show that 73% of American farmers - found the English farmers 63% - and 85% of Japanese farmers - I think that the main reason for the rise in problems in organizations are not effective communication. When we talk about communication, must take into consideration the people who are talking to each other in different ways, draw up reports. Communications and everywhere in the complex process, which is directly dependent on the efficiency of farm management.

"Communication" from the Latin word meaning a way of connecting with one another. This term implies, as well as the language of communication. The constant increase in the volume of information, which makes it difficult to farm management on the one hand, and on the other hand increases the demand against him. Thus, farmers' activities and other rural - agricultural enterprises and specialists are required to be fluent in the scientific basis of the information related to their activities - one of the main prerequisites. Agriculture - agricultural enterprise management is the communication network of the body, where it crosses from different sources and different for a lot of the information sent, they differ from each other in content, intensity, time of delivery and receipt by the regime. Farm management is closely related to the specific characteristics of the organization, which reveal the structure of the building and management of the distribution functions of the control system in order to study the software and the organization.

Farm management requires a large amount of information. There are two information flow: from the top down and bottom up. Both apps can be external and internal. Outside information is mostly related to science, partners, market demand - supply situation, etc.

External sources of information include state and private firms, agencies, scientific research institutions, etc. Through which farmers farming business operations management process.Following types of information for which they are used.

* Information nature - documented and not documented.
* Processing level - primary and secondary.
* Traffic directions - incoming and outgoing.
* According to the periodic - periodic and single.
* According stability - constant and variable.
* Submission form - written, digital, coded.
* According to the reliability - reliable, unreliable.

Farmers' activities and other rural - agricultural enterprise managers mainly deal with three types of information: technical, economic and social well.

Social information includes the social and sociological - a combination of psychological data, which facilitates the management process. They differ from the technical and economic information not only content, but also the sources and methods used. The latter two are characterized by the production of objective factors generalize social information, not less interesting Workers' subjective assessment.

A farmer has to know much about economic laws, for which a very large and comprehensive professional education is required. The higher the education level of the farmer, the greater the efficiency of the use of information received, generally, the information is very important for all farmers, regardless of their educational level. Farmers may not be aware of all the cultural demand for mineral fertilizers, which he cites. Productivity varies according to weather conditions. Prices are not fixed, so the beginning of the season, farmers need to take advice and recommendations to farmers' homes. Because of the lack of information about the application of the law of adverse effects. Therefore, it is necessary for every farm to create a system that searches for, store, and analyze information necessary to remove.

That's why farming management information to ensure the creation of a special function assigned to communications centers, whose main purpose is to:

1. Modern information technology is based on a common information environment, both in the form of product manufacturers, scientists and specialists in agriculture.
2. Introduction of new scientific advances.
3. All interested organizations to consolidate the production processing and sale of finished products in a continuous process.

Georgia Information - consulting services in twenty years and it will not work consists of two main destination: the scientific - technical progress and scientific advances in the gathering and processing technologies.

Farmers' training, scientific - technological method of service is not limited to instruction on what to bring, but is designed as an integrated system of theoretical and practical aid to teaching. Farmers give orders instructors and research organizations. The scientific level of the processed instructors teach clients.

Since 2012, the Ministry of Agriculture of the 54 municipalities of information - consulting services for the main purpose of establishing large-scale programs, free consultations to farmers. On the basis of the farmers are obliged to consider not only their own benefit, but also for other people to satisfy the demand. This requires the introduction of modern communications and their effective use.

***ხათუნა შალამბერიძე***
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და
აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საბანკო სექტორის ტრანსფორმაცია

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია საბანკო სისტემის ფუნქციონირება. სანდო და სტაბილური საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და აღმავალ ხასიათზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო ფუნქციები განიცდიან თანდათანობით ცვლილებებს. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი გამოკვეთილი ტენდენციები:

* მომსახურეობის სახეობების ზრდა – ბანკები თანდათანობით ზრდიან მომსახურეობის სფეროს. ახალი მომსახურეობის სახეობები იქმნება კონკურენციის ზრდასთან დაკავშირებით. ახალ ფუნქციებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ბროკერული ფუნქციები უძრავს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, მონაწილეობა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში, საფინანსო კონსულტაციები, მონაწილეობა ერთობლივ ფონდებში, ფინანსური დაგეგმვა კერძო პირებისათვის, საპენსიო პროგრამების მართვა.
* კონკურენციის ზრდა – მას შემდეგ, რაც ბანკებმა და მათმა კონკურენტებმა გაზარდეს მომსახურების სახეობები, გაიზარდა კონკურენცია ფუნანსური მომსახურების სფეროშიც. კონკურენცია მომავალში კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მომსახურების სახეობების ზრდას.
* ტექნოლოგიური რევოლუცია – იზრდება რა საოპერაციო ხარჯები ბანკები, იძულებულნი არიან განახორციელონ საბანკო საქმის ავტომატიზაცია, ისეთების როგორიცაა: შენატანების მიღება, ჩეკების კლირინგი, ნაღდი ფულის გადახდა, კრედიტების დაფარვა. აქ ყველაზე ეფექტური საშუალებაა ელექტრონული სისტემები (საკასო ავტომატები,

რომლებიც უზრუნველყოფენ 24 საათიან მუშაობას სადეპოზიტო ანგარიშებთან, ტერმინალები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადახდებს შეძენის ადგილაზე.

* კონსოლიდაცია და გეოგრაფიული ექსპანსია – ავტომატიზაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ფართომასშტაბიან საბანკო საქმეში. ამიტომაც ბანკები იძულებულნი არიან გაზარდონ კლიენტების რაოდენობა, გავიდნენ ახალ ბაზარზე და გაზარდონ ბრუნვები ანგარიშებზე. აქედან გამომდინარე, მკვეთრად აქტივიზირებულია ბანკების საქმიანობა განყოფილებებისა და ჰოლდინგური კომპანიების შექმნასთან დაკავშირებით, გაიზარდა საშუალო ბანკის ზომებიც.

* საბანკო საქმის გლობალიზაცია – გეოგრაფიული ექსპანსია და კოსოლიდაცია გავიდა ცალკეული ქვეყნების ფარგლებს გარეთ და მოიცვა მთელი მსოფლიო. დღეს უდიდესი ბანკები ებრძვიან ერთმანეთს ყველა კონტინენტზე. ბოლო წლებში ყველა დანარჩენ კონკურენტს გაუსწრეს იაპონიის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის და აშშ-ს ბანკებმა.

* ბანკროტობის რისკის გაზრდა და დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის დასუსტება – კონსოლიდაცია და გეოგრაფიული ექსპანსია დაეხმარა ბანკებს გამხდარიყვნენ უფრო მდგრადი ეკონომიკური ცვლილებების მიმართ. ამავე დროს კონკურენტული ბრძოლის ზრდამ ბანკებსა და არასაბანკო ინსტიტუტებს შორის ეკონომიკის სტაბილურობის შემცირებასთან ერთად გამოიწვია იმ ბანკების რაოდენობის ზრდა, რომლებმაც განიცადეს კრახი. დერეგულირებამ გააფართოვა ბანკების საქმიანობის შესაძლებლობების სფერო და ამავე დროს უფრო საგრძნობლად გაზარდა რისკები. გარდა ამისა, დეპოზიტების დაზღვევის სფეროში ბოლო წლებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ბანკები მოქმედებენ უფრო რისკიანად.

შეიძლება ითქვას, რომ ბანკი არის წარმოება, რომელიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში. ბანკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებში შეგვიძლია განვიხილოთ საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა (საკრედიტო ფუნქცია), კლიენტების დავალებით გადასახადების წარმოება (გადახდის ფუნქცია), კლიენტების აქტივებისა და უძრავი ქონების მართვა (სატრასტო ფუნქცია და ნაღდი ფულის ნაკადების მართვა), კლიეტებისათვის საინვესტიციო მომსახურების შეთავაზება (ბროკერის ფუნქცია, საინვესტიციო და საშემნახველო ფუნქცია). ძირითადი ტენდენციები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ საბანკო საქმის რევოლუცია: ბანკის მომსახურეობის სფეროს გაზრდა, ბანკის საოპერაციაო ხარჯების ზრდა, კონკურენციის ზრდა ეროვნულსა და საერთაშორისო ფინანსურ ფირმებს შორის, საბანკო საქმისა და ფინანსური ბაზრის დერეგულირება, ავტომატიზაციისა და ელექტრონული საშუალებების გამოყენების ზრდა, კონცენტრაციის ზრდა ბანკების რაოდენობის შემცირებით, ფინანსური ბაზრების ინტერნაციონალიზაცია, ფინანსური კრახის საშიშროებისზრდა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, უპირველესი განსხვავება ორგანიზაციულ სტრუქტურაში გააჩნიათ დიდ და პატარა ბანკებს. პატარა ბანკები მოიზიდავენ მცირე დეპოზიტებს მოსახლეობიდან და გასცემენ სამომხმარებლო კრედიტს კერძო პირებზე და მცირე საწარმოებებზე ( ასეთ ბანკებს ხშირად უწოდებენ საცალო ბანკებს, ხოლო მსხვილ ბანკებს – საბითუმო საკრეიტო-საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც ემსახურებიან დიდი კომერციულ საწარმოებებს და გასცემენ მსხვილ სესხებს კორპორაციებზე). თუ მცირე ბანკს ექმნება პრობლემები, როგორც წესი, ცდილობენ მისი მენეჯერების შეცვლას. მცირე ბანკების არსებობა ასევე დამოკიდებულია რეგიონში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ასეთი ბანკები, როგორც წესი, მუშაობენ დაბალ რისკიან ოპერაციებზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ნაკლებად ვითარდება საბანკო საქმიანობის ახალი ფუნქციები.

მსხვილი ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურა გაცილებით უფრო რთულია. როგორც წესი, ასეთი ბანკები ეკუთვნიან ჰოლდინგურ კომპანიებსს, რომლის აქციონერებიც ირჩევენ დირექტორთა საბჭოს ბანკისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების, რომლებიც აგრეთვე შედიან ჰოლდინგურ კომპანიაში, საქმიანობის მეთვალყურეობის მიზნით. საბჭოს ზოგიერთი წევრი აგრეთვე შედის ბანკის დირექტორთა საბჭოშიც. მთავარი პრობლემა ასეთ ბანკებში არის მართვის დონე. უმაღლესი ხელმძღვანელობა, როგორც წესი, კარგად არის ინფორმირებული ბანკის საქმიანობის შესახებ, მაგრამ ნაკლებად ინფორმირებულია საქმის მდგომარეობის შესახებ ბანკის სხვადასხვა ნაწილში. გარდა ამისა, ასეთი ბანკები მუშაობენ საერთაშორისო ბაზარზე, სადაც პრობლემები ხშირად ნათელი ხდება რამოდენიმე კვირისა და თვეების დაგვიანებით. აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში განვითარება ჰპოვა ე.წ. მოგების მიღების ცენტრების კონცეფციამ, რომლის თანახმად ბანკის კონკრეტული განყოფილება ცდილობს, რომ მიაღწიოს მოგების მაქსიმუმს და გულმოდგინეთ აკონტროლებს ფინანსურ მაჩვენებლებს.

დღეისათვის გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები: 1. ბანკები ხდებიან უფრო რთული ორგანიზაციები, 2. ბაზრის ტექნოლოგიური და ეკონომიკური პარამეტრების ცვლასთან ერთად მკვეთრად იცვლება ბანკის საკადრო მოთხოვნების სტრუქტურაც. ( საჭიროა უფრო მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებსაც ათვისებული აქვთ ახალი ტექნოლოგიები.

საორგანიზაციო სტრუქტურების ვარიანტები – ბანკი შედგება ერთი ან რამოდენიმე ოფისისგან ანუ იმ ტერიტორიისაგან, სადაც პესონალი ურთიერთობს კლიენტთან მომსახურების პროცესში. აღნიშნული ოფისები შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე საბანკო კორპორაციის კონტროლის ქვეშ. განიხილავენ ბანკების შემდეგ საორგანიზაციო სტრუქტურას: ბანკები ერთი ოფისით; ბანკები განყოფილებებით; საბანკო ჰოლდინგური კომპანიები.

ამრიგად, საბანკო სისტემის ტრანსფორმირება - უნდა მოხდეს კონტროლისა და მიზანმიმართული რეგულირების ქვეშ;

- მთელი ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული ბანკების დამოუკიდებლობის სტატუსის გამყარების, ანგარიშსწორების სისტემის სრულყოფისა და საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციების გამკაცრებისაკენ;

- ამავე მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ეფექტური რეგიონალური ანგარიშწორების სისტემის ფორმირების სამუშაოები;

- მას საფუძვლად უნდა დაედოს თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიები და კავშირების საშუალებები;

- ანგარიშსწორების სისტემის მოდერნიზაცია უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისა და რეგიონული საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების საფუძველი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1.ბერიძე რ., „საბანკო მენეჯმენტი“. თბილისი, ,,უნივერსალი'' 2009

2.ქოქიაური ლ. „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“. თბილისი, ,,პოლიგრაფი'' 2009

3.იაშვილი რ. „საბანკო საქმის საფუძვლები“. ქუთაისი 2005

4.მოსიაშვილი ვ. ლომაძე ფ. ქოქოსაძე ფ., „საბანკო საქმე“. თბილისი, ,,დონი'' 2009

5.კაკულია რ., ხელაია გ., “ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია”, თბ., 2003წ

6.კაკულია რ., – “ფინანსების ზოგადი თეორია”, თბ., 2007 წ

7.ვანიშვილი მ.,ნოზაძე.მ „ფინანსების თეორია“, თბ., 2012წ

8.ქოქიაური ლ., „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, თბ., 2010წ.

ჟურნალები:

- ეკონომიკური პროფილი
- ბანკები და ფინანსები
- ეკონომიკა

**ვებ–გვერდები:**

- www.nbg.ge
- www.geoeconomics.ge
- www.banksandfinance.ge
- www.smartcampaign.org
- www.creditinfo.ge



***Khatuna Shalamberidze***

Doctor of Economics, associate professor of

Akaki Tsereteli State University and Kutaisi University


**TRANSFORMATION OF THE BANK SYSTEM IN GEORGIA**

The one of the main determinant of economic stability of any country is the operation of the bank system. Reliable and stable bank system indicates to stable and raising character of the bank system. It' can be said that bank functions are changing gradually. here we can list the following underlined tendencies:

- increasing of service types- banks increase their service sphere gradually. The new services are made regarding the increasing of competition. In new functions we can involve broker functions regarding the immovable securities, participation in activity of insurance companies, financial consultations, participation in joint foundations, financial planning for private persons, managing pension programs.
- increasing competition- since the banks and their competitors have increased their service, the competition has been increased in the financial service either. In the future the competition will support to increasing of service spheres.
- technological revolution- along with operation expenses the banks are forced to do automation of banking as are: taking depositions, cheque clearing, cash payment, payment of credit. The most efficient mean is electric systems (cash machine which will provide 24 hour working with deposit accounts, terminals which will provide payment at the place of sell).
- consolidation and geographic expansion- application of automation facilities and technological innovations is available in a wide banking. That's why banks are forced to increase number of clients, to enter into the new market and increase turnovers on their accounts. Therefore activity of banks are distinctly labialized regarding establishing departments and holding companies, the medium bank sizes are also increased.
- Globalization of banking- geographic expansion and consolidation have been extended out of the countries and it covered the whole world. Nowadays, big banks are fighting against each other in all continents. In recent years the Japan, France, Germany, England and USA banks have outrun to other competitors.
- increasing the risk of bankruptcy and decreasing- consolidation and geographic expansion of the state insurance of deposits made banks to become more stable to economic changes. At the same time increasing of competitive fighting

between banks and non-banking establishments has provoked growing the number of banks which have been bankrupted with reducing the economic stability. Deregulation has enlarged sphere of activity of banks and significantly increased the risks. besides, in recent years in deposits insurance field the tendencies have been moved forward that the banks are acting more hazardously.

It can be said that the bank is a business which plays a great role in economics. In very important functions of the bank we can discuss the credit and investment activity (credit function), payment of duties by help of clients (function of payment), management of immovable property and assets of customers (trust function and management of cash flows), offering investment service to customers (function of broker, investment and saving function), main tendencies which we can call bank revolution: increasing bank service sphere, increasing bank operation expenses, increasing competition between national and international financial firms, deregulation of banking and financial market, increasing using of automation and electric facilities, increasing concentration by reducing bank numbers, internationalization of financial markets, increasing financial crash jeopardy.

AS we mentioned above, the first difference in organization structure has great and small banks. Small banks attract small deposits from population and they issue consumer credits to private persons and small entrepreneur (these type of banks are often called as retail banks, but the big banks- wholesale credit-financial institutions, which serve to great commercial enterprises and they issue big loans to corporations . If the small ban has problems, as a rule, they try to change the manager. Operation of small banks is also depended on economic situation in the region. As a rule, such type of banks work on low risk operations, but in this case n new functions are less developed.

Organization structure of big banks is more difficult. As a rule, such banks belong to holding companies, which shareholders elect board of directors for supervising activities of the bank and other financial organizations, which are also involved in holding company. Some member of the board is a member of the board of directors of the bank either. The main problem in the banks is the level of management. The higher management, as a rule, is well informed on activity of the bank, but it's less informed on case in different parts of the bank. Besides, such banks work in the international market where the problems become clear some weeks and months later. On the basis of the above mentioned in recent years the so-called conception of profit making centers has been developed upon which the specific bank department tried to achieve profit maximum and it diligently controls financial performances.

Presently, the following tendencies are introduced: 1. Banks become more complex organizations, 2. The structure of bank personnel requirements are being changed together with changing of market technological and economic parameters (highly qualified specialist are needed who know new technologies).

The versions of organizational structures- the bank consists of joint or several offices or those territories where the personnel have a relation with customer in the process of servicing. The offices can be united or under some bank corporations. The organizational structures are discussed after banks: banes with one office; banks with departments; banks with holding companies.

Thus, transformation of bank system shall be made under control and aimed regulation;

- The whole effort shall be directed to stability of independency status of banks, improvement of accounting system and making control and supervising functions strict;
- To the same direction the works of formation of the system of efficient regional calculation shall be in course;
- it shall be based on modern bank technologies and communication facilities;
- modernization of calculation system shall become the basis of improvement of monetary-credit policy of the National Bank of Georgia and formation and development of the regional bank system.

*გოდერძი შანიძე*
ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

# დელეგირება მენეჯმენტის საუკეთესო საშუალებაა

სამწუხაროდ ბევრი მენეჯერი არ იყენებს მენეჯმენტის კარგ იარაღს – დელეგირებას, ისინი ცდილობენ რომ საქმეების უმეტესობა უშუალოდ თვითონ შეასრულონ, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს, იმიტომ, რომ ერთ ადამიანს ყველაფრის ერთდროულად სრულყოფილად გაკეთება არ შეუძლია. ამას იმით ხსნიან, რომ თითქოს მის თანამშრომლებს არ შეუძლიათ საქმეები ისე გააკეთონ, როგორც თვითონ გააკეთებდა. რასაკვირველია ეს მცდარი შეხედულებაა და პირიქით, რაც უფრო ჯანსაღ უფლებამოსილების განაწილებას ექნება ადგილი კომპანიაში, მისი მართვა უფრო საინტერესო იქნება.

იმისათვის, რომ მენეჯერმა ეფექტური დელეგირება მოახდინოს, რა თქმა უნდა უპირველესად სანდო და კომპეტენტური თანამშრომლები უნდა ყავდეს კომპანიას, რასაკვირველია მენეჯერმა დეტალურად უნდა აუხსნას თანამშრომელს თუ რა უნდა გააკეთოს და როგორი ხარისხით, რა დროში, რა მნიშვნელობა აქვს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს კომპანიის საქმიანობისათვის, ასევე ხელმძღვანელმა მოტივაცია უნდა აუმაღლოს თანამშრომლებს და ა. შ.

განვიხილოთ ეფექტური დელეგირების რამდენიმე ნაბიჯი:

**თანამშრომლის შერჩევა.** თანამშრომლის შერჩევის დროს უნდა უპასუხოთ შემდეგ კითხვას, რომელ თანამშრომელს მისი პირადი თვისებებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეუძლია კარგად ამ დავალების შესრულება, მაგრამ ამასთან ყველაზე მარტივი საქმეები ყველაზე ძლიერ თანამშრომელს არ უნდა დავავალოთ ხოლმე.

**ამოცანის ახსნა თანამშრომლისათვის.** ამოცანის სწორად ახსნა თანამშრომლისათვის უმნიშვნელოვანესია საქმის წარმატებით შესრულებისათვის. ხშირად ხდება როცა მენეჯერები ნაჩქარევად ავალებენ საქმეს თანამშრომლებს, შედეგად თანამშრომელი სრულყოფილად ვერ გებულობს დავალების შინაარს, საბოლოოდ კი იღებენ უხარისხოდ შესრულებულ საქმეს, როგორც წესი მენეჯერები ამაში თავის თანამშრომელს ადანაშაულებენ, მაგრამ პრობლემის საფუძველი არაეფექტური დელეგირებაა.

**სამუშაოს ხარისხი.** დელეგირებისას მნიშვნელოვანია, რომ კარგად ავუხსნათ საბოლოო შედეგი, ანუ რის მიღება გვინდა ჩვენი თანამშრომლისაგან. ამის გარეშე თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო შეიძლება განსხვავებული იყოს, ამ შემთხვევაში მას მოუწევს ამოცანის ხელახლა შესრულება, ბუნებრივია საქმის უხარისხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება თანამშრომელი, როცა რეალური მიზეზი მენეჯერის მიერ გაკეთებული არაეფექტური დელეგირებაა.

**დრო.** აუცილებელია რომ თანამშრომელს ამოცანის მიცემისას აუხსნათ თუ რა ვადაში უნდა განხორციელდეს ის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რომ მოვისმინოთ მისი მოსაზრებაც, ხშირია შემთხვევები როცა უფროსი ითხოვს ამოცანის შესრულებას შემჭიდროვებულ ვადებში. თანამშრომლის დაურწმუნებლობა ამოცანის კონკრეტულ ვადებში შესრულების თაობაზე იწვევს მის დემოტივაციას, სტრესს რაც საბოლოო ჯამში უხარისხოდ შესრულებულ დავალებაში გადაიზრდება. სწორი დელეგირებისათვის მნიშვნელოვანია რომ უფროსი და მისი დაქვემდებარებული შეთანხმდნენ ამოცანის შესრულების ვადებზე.

**ამოცანის შეფასება.** თანამშრომელს უნდა განვუმარტოთ თუ როგორ მოხდება მის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასება. ის შესაძლებელია იყოს ან ხარისხობრივი ან რაოდენობრივი. თანამშრომელმა უნდა იცოდეს ეს მიზნები იმისათვის რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ მისი შეფასება იყოს ობიექტური.

**ამოცანის მნიშვნელობა.** თანამშრომლების უმეტესობა ვერ ხვდება მათ მიერ შესრულებული საქმის მნიშვნელობას. ყველა საქმე რომელიც მიმდინარეობს კომპანიაში, რომელიღაც დიდი საქმის ნაწილია. აქვე გავიხსენოთ ერთი მაგალითი. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში ერთ-ერთმა ქარხანამ, რომელიც იქამდე საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტების ნაწილებს ამზადებდა ომის დროს დაიწყო თვითმფრინავის ნაწილების დამზადება. შიდა გამოკითხვის შედეგად თანამშრომლების უმრავლესობა ამ საქმეს აფასებდა როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანს და გაურკვეველს. ამ მოსაზრების გასაქარწყლებლად მენეჯერმა ქარხანაში თვითმფრინავი და აშშ-ს საჰაერო ძალების პილოტები მიიყვანა. თანამშრომლებისთვის გაკეთდა პრეზენტაცია იმის თაობაზე თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დამზადებულ ნაწილებს თვითმფრინავებისათვის, ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და ამ პილოტების სიცოცხლისათვის. შედეგმაც არ დააყოვნა თანამშრომლების მიერ შესრულებული საქმის ეფექტურობა შემდეგი ერთი კვირის განმავლობაში გაიზარდა 30%-ით.

**აუმაღლეთ მოტივაცია საქმის დაწყებამდე.** დავალებული საქმის დაწყებამდე შეაქეთ თქვენი თანამშრომელი, უთხარით რომ მიგაჩნიათ ის საკუთარი საქმის პროფესიონალად, რომ მისი იმედი გაქვთ და 100%-ით ხართ დარწმუნებული მის მიერ დავალებული საქმის ეფექტურად შესრულებაში. რასაკვირველია ამ სიტყვების შემდეგ თქვენი თანამშრომლის მოტივაცია ამაღლდება და მისი შესრულებული საქმე გაცილებით უკეთესი იქნება.

საშუალო რგოლის ხელმძღვანალები, ძალიან ხშირად, თვითონ აკეთებენ საქმის უდიდეს ნაწილს და რიგით თანამშრომლებს მხოლოდ ტექნიკური სამუშაოებით ტვირთავენ, ან საერთოდ არ აკეთებინებენ არაფერს. ეს იმის გარდა, რომ ძალიან ბევრი ადამიანის უნარების და შესაძლებლობების გამოყენებას უშლის ხელს, ორგანიზაციის წარმადობას ამცირებს, ამცირებს თვითონ ამ თანამშრომლების შრომით კმაყოფილებას და განვითარების ტემპს, რაც კიდევ უფრო მეტად საზიანოა ორგანიზაციისათვის გრძელვადიან პერიოდში.

ქვეცნობიერად ამ ადამიანებს არ აქვთ სურვილი, ვინმე გამოჩნდეს მათი ქვეშევრდომებიდან უფრო უკეთესი და უნარიანი, ვიდრე თვითონ არიან. საშუალო რგოლის ხელმძღვანელების დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, ქვეცნობიერი

შიში აქვს, რომ ვიღაცა კარგმა თანამშრომელმა მათი ქვედანაყოფიდან, შესაძლოა, მათ კარიერას და მენეჯერთან კარგ ურთიერთობებს შეუშალოს ხელი.

იმის შიშით, ან იმის მიზეზით, რომ საქმე სწრაფად არის გასაკეთებელი და რომ მათი სხვებისთვის დავალება დროსაც გაწელავს და ხარისხსაც გააფუჭებს და, რომ ხელმძღვანელს მაინც დიდი დროის დახარჯვა მოუწევს ჯერ დავალების გაცემაზე, შემდეგ მის შემოწმება-გაუმჯობესებაზე, ხელმძღვანელები თანამშრომლების სამუშაოებში უფრო აქტიურ ჩართვას ერიდებიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროა ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ცოტა მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ სამსახურების შიდა სტრუქტურებს, ანუ იმას, თუ როგორ არის განაწილებული პასუხისმგებლობები სამსახურებს შიგნით და იზრუნონ იმაზე, რომ ეს განაწილება იყოს რაც შეიძლება მკაფიო და სრული. თანამშრომლები ინაწილებდნენ უფრო მეტ და ცხად პასუხისმგებლობას.

საქმიანობის შეფასების სისტემა ორგანიზაციაში გახდეს უფრო ცხადი, ობიექტური და ქმედითი. უნდა შეიქმნას ისეთი ინსტრუმენტები, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც ყველა თანამშრომლის საქმიანობის შეფასებას და ამ შეფასებების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. ვინ რას აკეთებს და როგორ უნდა იყოს ადვილად დასანახი და შესაფასებელი.

ტოპ – მენეჯერი უნდა ცდილობდეს განავითაროს თანამშრომლებთან პირდაპირი კომუნიკაციის არხებიც და არა მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელების მეშვეობით ურთიერთობდეს მათთან. ცდილობდეს უფრო მეტს შეხვდეს, მეტისგან მოისმინოს მათი პირადი მოსაზრებები, თუ რა როგორ შეიძლება გაკეთდეს უკეთესად. სხვადასხვა ფორმატებით უფრო აქტიურად ჩართოს ისინი ორგანიზაციის განვითარების პროცესში.

საშუალო რგოლის მენეჯერების შეფასებაში მიმდინარე საქმის შესრულების ვადებზე და ხარისხზე მეტად წინა პლანზე უნდა წამოიწიოს დელეგირების უნარმა, იმან, თუ როგორ იყენებს ეს ადამიანი საქმიანობაში ქვეშევრდომებს, რამდენად ყავს ისინი ჩართული სამუშაოებში, რამდენად აძლევს მეტ დამოუკიდებლობას თანამშრომლებს და საშუალებას ისწავლონ და განვითარდნენ.

გუნდური მოტივაციის ინსტრუმენტების უფრო აქტიური გამოყენება ასევე ხელს უწყობს დელეგირების ხარისხის ამაღლებას ორგანიზაციებში.

დელეგირება რომ საჭირო რამეა და მის გარეშე არც ორგანიზაცია და არც მისი თანამშრომლები არ გაიზრდებიან, დღეს-დღეობით ყველასათვის ცხადი ხდება. თითქოს არც გვიჭირს კიდეც დელეგირება, როცა ვხედავთ, რომ ვეღარ ვასწრებთ ყველას მაგივრად ყველაფრის კეთებას. დელეგირების ყველაზე რთული მხარე ის არის, რომ ვაცადოთ იმას, ვისაც გადაწყვეტილების მიღება ვანდეთ და არ ჩავერიოთ, როდესაც გვეჩვენება, რომ ის ბევრად უფრო ცუდ გადაწყვეტილებებს იღებს, ვიდრე ჩვენ მის ადგილას მივიღებდით. სწორედ ეს უჭირს ხელმძღვანელებს დელეგირებაში ყველაზე მეტად.

ამის გაკეთება კიდევ უფრო რთულია განსაკუთრებით, როდესაც ვხედავთ, რომ ადამიანი, რომელსაც უფლებამოსილება გავუზარდეთ, ჩვენს მაგივრად იმ საკითხების გადაწყვეტა მივანდეთ, რაშიც ადრე უშუალოდ ვიყავით ჩართულები და ბევრ დროს ვხარჯავდით. სადაც ყველა დეტალი ვიცით ან გვგონია, რომ ვიცით, ჩვენნაირი ყოჩაღი და ნიჭიერი ვერ აღმოჩნდება პირველივე დღიდან. ვხედავთ, როგორ უშვებს უხეშ შეცდომებს და ერთი სული გვაქვს მივიდეთ და ვურჩიოთ, როგორ აჯობებს იგივეს სხვანაირად გაკეთება.

მაგრამ თუ ასეთ დროსაც მოვითმენთ, დავაცდით, გავიხსენებთ როგორ გადაწყვეტილებებს ვიღებდით იგივე როლში პირველ დღეებში და როგორ ვსწავლობდით ამ საქმის კეთებას, არც რჩევებით დავიწყებთ დახმარებას, სანამ თვითონ არ გვთხოვს რჩევას და არც სასწრაფოდ მის მერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას შევუდგებით, ან რაც კიდევ უფრო არასწორია მისთვის ისევ როლის ნაჩქარევად ცვლილებაზე დავიწყებთ ფიქრს იმ მოტივით, რომ კიდევ უფრო მეტად არ გააფუჭოს რამე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება დელეგირება ნამდვილი, ასეთ შემთხვევაში გაიზრდება თანამშრომელი და რეალურად შეძლებს ისწავლოს საქმის უკეთესად კეთება, მხოლოდ ასეთ დელეგირებას შეუძლია გაზარდოს ორგანიზაცია და რაც მთავარია მენეჯერი.

**Goderdzi Shanidze**
Kutaisi University, Akaki Tsereteli State University,
Doctor of Business and Management, Associated Professor

## DELEGATING IS THE BEST SOURCE OF MANAGEMENT

Unfortunately, lots of managers don't use the good source of management – delegating, they try to do most of the jobs directly by themselves, that finally reduces the quality of the done job, because one person is not able to do everything perfectly at the same time. They explain that their employees can't do the jobs that way how they would do them themselves. Certainly, this is not the right view and on the contrary, the more divided the healthy authority in the company the more interesting the company is to run.

In order to delegate effectively, first of all the manager should surely have reliable and competent employees in his company, of course the manager should explain to his employees in details what to do, how to do and in how much time and what importance their done job has for the company's business, also the manager should increase his employees' motivation and etc.

Let's discuss some steps of delegating:

**Choosing the employee** : While choosing the employee you have to answer the following question, which of the employees according to his personal qualities and experience is able to do the job perfectly, but at the same time the simplest jobs must not be given to the strongest ones.

